კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**ბუხუტი სიჭინავა**

# ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეა
# გამოწვევები და პერსპექტივები

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილია

**დისერტაცია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესორი - მაია კაპანაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
თბილისი, 0141, საქართველო
2023

# განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ბუხუტი სიჭინავა

31.05.2022

# ანოტაცია

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ქურთული საკითხის კვლევას, კერძოდ კი ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეას და ქურთების წინაშე არსებულ გამოწვევებს ახლო აღმოსავლეთის ცალკეული ქვეყნებში, ასევე ქურთული საკითხის მოგვარების პერსპექტივებს. ნაშრომში გაანალიზებულია ქურთული საკითხის მნიშვნელობა რეგიონული და გლობალური პოლიტიკის კონტექსტში. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად შესწავლილია ქურთული პრობლემატიკის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები, კერძოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხარვეზები და ნაკლოვანებები, პოლიტიკური და სოციალური განვითარების ეტაპები, რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო მომენტები. ნაშრომში ასევე განხილულია გლობალური აქტორების პოზიციები ქურთულ პრობლემატიკას და ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეასთან დაკავშირებით.

სადისერტაციო თემისთვის შერჩეულია რელევანტური კვლევის მეთოდები, ხოლო სადისერტაციო თემა გაანალიზებულია თვითგამორკვევის, რეალიზმისა და კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის პრიზმაში. ნაშრომში ფართოდ არის წარმოჩენილი ქურთების სოციალური და პოლიტიკური განვითარების ძირითადი ისტორიულ-პოლიტიკური ეტაპები.

ისტორიული-აღწერილობითი და შედარებითი მეთოდების გამოყენებით, სიღრმისეულადაა შესწავლილი ის ისტორიული გეოპოლიტიკური მოცემულობა და პოლიტიკური პროცესები, რამაც ხელი შეუშალა ქურთების კონსოლიდაციას და ერთიანი ეროვნული კერის ჩამოყალიბებას. სადისერტაციო ნაშრომში აღწერილია ქურთული პრობლემატიკის საერთაშორისო საკითხად გადაქცევის ეტაპები, ასევე ის ძირითადი მიზეზები, რამაც დააბრკოლა ქურთი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მისწრაფებები პოსტკოლონიურ ახლო აღმოსავლეთში.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ქურთი ხალხის პრობლემატიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებში, კერძოდ კი თურქეთში, სირიაში, ერაყსა და ირანში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩამოთვლილ ქვეყნებში მცხოვრები ქურთები მრავალი მახასიათებლით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა საერთო ისტორიული მეხსიერება და დამოუკიდებლობის მოპოვების უდრეკი მისწრაფება ზემოხსენებულ განსხვავებებს მეორე პლანზე ანაცვლებს.

შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია 2017 წლის ერაყის ქურთისტანის რეფერენდუმი. შემთხვევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა თუ რა დამოკიდებულება არსებობს ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ დონზე ქურთების სახელმწიფოს შექმნის იდეასთან დაკავშირებით. პოლიტიკის ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესწავლილია ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკასა და რეგიონის ქვეყნებთან მათ სტრატეგიულ მიზნებს თანამშრომლობის ფორმებს ეხება. ამავე მეთოდის გამოყენებით ნათლად წარმოვაჩინეთ რუსეთის, ჩინეთისა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ტენდენციები და მახასიათებლები როგორც ქურთულ საკითხზე, ასევე ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეასთან დაკავშირებით.

ნაშრომში ასევე განხილულია ქურთული პრობლემატიკის ოპტიმალური მოგვარების შესაძლებლობები და საკითხის გრძელვადიანი პერსპექტივები. სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით დასკვნით ნაწილში გადმოცემულია კვლევის შედეგები.

# Annotation

The topic of the research of the present dissertation is the Kurdish issue, namely the idea of the creation of a united Kurdish state and the challenges of Kurds in different countries of the Middle East, also the perspectives of solutions to the Kurdish issue. Within the research, the importance of the Kurdish issue in terms of regional and global political context is analyzed. Within the framework of the dissertation research, the historical and political aspects of the Kurdish issues were studied, in particular, the shortcomings and flaws of the national liberation struggle, the stages of political and social development, and key moments of regional and international politics. The paper also discusses the positions of global actors on Kurdish issues and the idea of creating a Kurdish state.

Relevant research methodologies were selected for the research topic and the dissertation topic is analyzed through the prisms of self-determination, realism, and the Relativistic Quantum Noology. The main historical-political stages of the social and political development of the Kurds are widely reviewed in the paper.

With the use of historical-descriptive and comparative methodologies the historical geopolitical conditions and political processes, which hindered Kurdish consolidation and establishment of the united national cradle, are studied. The dissertation describes the stages of turning Kurdish issues into an international issue, as well as the main reasons that hindered the aspirations of the Kurdish people for a national-liberation struggle in the post-colonial Middle East.

The paper also presents the problems of the Kurdish people in some countries in the Middle East region, in particular in Turkey, Syria, Iraq and Iran. The study found that the Kurds living in the countries listed above differ from each other in many respects, although a common historical memory and an unwavering desire for independence overshadow the above differences.

With the use of case analysis methodology, the 2017 Referendum in Iraq’s Kurdistan is analyzed. The case of the 2017 Iraqi Kurdistan referendum is analyzed with the use of the Case Analysis Methodology.

With the use of the method of policy analysis, we studied the part of the foreign policies of the United States of America, the Russian Federation, and the People's Republic of China, which are directly related to the Middle East policy and their strategic goals with the countries of the region. With the use of the same methodology, we clearly identified the tendencies and characteristics of foreign policies of Russia, China, and the USA, regarding the Kurdish issue, as well as the idea of the establishment of a Kurdish State.

In the dissertation thesis, the optimal solutions to the Kurdish issue and long-term perspectives thereof are discussed. In the conclusion of the general results of the research and recommendations are provided.

# სარჩევი

**შესავალი ........................................................................................................ 8**

**I თავი. ქურთული საკითხის თეორიული და ისტორიული ასპექტები ............... 25**

1.1. ქურთული საკითხის თეორიული ჩარჩო ..........................................................25

1.2. ქურთების პოლიტიკური და სოციალური განვითარების ეტაპები ................40

1.3. ქურთული საკითხის გენეზისი საერთაშორისო პოლიტიკაში.........................51

**II თავი. ქურთები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში....................... 58**

2.1. ქურთების პრობლემატიკა თურქულ პოლიტიკაში...........................................60

2.2. ქურთების საკითხი სირიის არაბთა რესპუბლიკაში .........................................78

2.3. ირანის ქურთისტანის პრობლემატიკა ..............................................................82

2.4. ქურთების საკითხი და ეთნო-კონფესიური პრობლემები ერაყში ..................89

**III თავი. ქურთული საკითხის გლობალური განზომილება და ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივები.................................................................... 99**

3.1. ერაყის ქურთისტანის რეფერენდუმი და საერთაშორისო თანამეგობრობის გამოხმაურება (შემთხვევის ანალიზი) ....................................................................100

3.2. ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივები გლობალური პოლიტიკის პრიზმაში (საგარეო პოლიტიკის ანალიზი)..............................................................108

3.3. ქურთული საკითხის ოპტიმალური გადაჭრის გზა და პერსპექტივა ...........131

3.4. ქურთების საკითხი და საქართველო.................................................................135

**დასკვნა ................................................................................................................ 142**

**ბიბლიოგრაფია..................................................................................................... 147**

# შესავალი

## თემის აქტუალურობა და საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება

ქურთების საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეა პირველი მსოფლიო ომის დასრულების და ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სულ უფრო აქტუალური გახდა, თუმცა გარკვეული სუბიექტური და ობიექტური პოლიტიკური მიზეზების გამო ვერ განხორციელდა. სხვადასხვა მონაცემებით 35-40 მილიონამდე ქურთი დღეს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ერაყის ჩრდილოეთსა და ირანის ჩრდილო-დასავლეთში ცხოვრობს.

გასული საუკუნის 50-60 წლებში ქურთული სახელმწიფოს შექმნის საკითხი კვლავ გახდა აქტუალური, თუმცა უნდა ითქვას, რომ იდეას ოთხივე სახელმწიფოში მცხოვრები ქურთების კონსოლიდაცია არ გამოუწვევია. დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მხრივ ერაყის ქურთები ყოველთვის გამოირჩეოდნენ. მართალია მცირე ხნით, მაგრამ მაინც, ქურთებმა ირანში პირველად მოახერხეს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნა მეჰაბადის რესპუბლიკის სახელწოდებით. განსხვავებით ერაყელი ქურთებისაგან, თურქეთში მცხოვრები ქურთები მხოლოდ კულტურულ ავტონომიას ითხოვენ. თურქეთში მცხოვრები ქურთები ათწლეულებია სერიოზული თავსატეხია თურქეთის მთავრობებისათვის. განსხვავებული ვითარებაა სირიის ქურთებში, სადაც ისინი ათწლეულებია სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული უფლებების მოპოვებისათვის იბრძვიან.

ქურთი ხალხის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა საფრთხის შემცველია ერაყის, სირიის, თურქეთის და ირანის ტერიტორიული მთლიანობისთვის. თითოეული სახელმწიფო დაინტერესებულია ნებისმიერი მეთოდით აღკვეთოს და შეაჩეროს გააქტიურებულ ქურთულ მოძრაობების პოლიტიკური თუ

სამხედრო მოქმედებები, რათა დაიცვას საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

ცხადია, რომ ქურთების პრობლემა ახლო აღმოსავლეთში უკვე სერიოზულ გამოწვევად იქცა, რომელიც დიდი ხანია გასცდა რეგიონის ფარგლებს და გლობალური ხასიათი მიიღო. ხშირად ისმება კითხვა, შეიქმნება თუ არა რეგიონში ერთიანი ქურთული სახელმწიფო, რომელზეც პასუხი ბუნდოვანია.

თანამედროვე ეტაპზე ქურთული სახელმწიფოს შექმნა მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული: უპირველეს ყოვლისა, ესაა ქურთული სახელმწიფოსთვის საჭირო ტერიტორიის არ არსებობა, ქურთებს შორის არსებული რელიგიური და ენობრივი განსხვავებები, სახელმწიფოებრიობის გამოუცდელობა, გლობალური აქტორებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი, რეგიონში გეოპოლიტიკური ცვლილებების საფრთხე და სხვა.

ქურთების სოციალური და პოლიტიკური განვითარების და კულტურული თავისებურებების საკითხები არაერთი მეცნიერის და მკვლევრის შესწავლის ობიექტი გამხდარა, რის გამოც ქურთული საკითხის შესწავლა, ბუნებრივია რომ მხოლოდ ერთი კონკრეტული დისციპლინის შესწავლის ობიექტი ვერ იქნება. საკითხისადმი ინტერდისციპლინური მიდგომა გულისხმობს, რომ ქურთების საკითხი შესწავლილი უნდა იყოს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის პერსპექტივიდან.

ჩვენ მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომში ფართოდ არის შესწავლილი და გამოყენებული სხვადასხვა დისციპლინის წიაღში შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები (ისტორია, პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი) და თეორიული მიდგომები და, ამიტომ, მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ინტერდისციპლინურია.

სადისერტაციო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე კვლევის გეოგრაფიული არეალი პირობითად სამ დონედ შეიძლება დაიყოს: 1. ლოკალური დონე, რომელიც უშუალოდ ქურთისტანის რეგიონს მოიცავს; 2. რეგიონული დონე - ახლო აღმოსავლეთის; 3. გლობალური დონე.

## თემის მიზნები და ამოცანები

**მიზანია** გამოვიკვლიოთ და გავაანალიზოთ:

- ქურთული სახელმწიფოს შექმნის დამაბრკოლებელი ფაქტორები;
- ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივები.

**ამოცანები:**

- ქურთული საკითხის მნიშვნელობის შესწავლა რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში ;
- ახლო აღმოსავლეთში არსებული გეოპოლიტიკური მოცემულობის შეფასება;
- გლობალური აქტორების (აშშ, რუსეთი, ჩინეთი) ინტერესების და მათი პოლიტიკის ზეგავლენის ანალიზი ქურთული სახელმწიფოს შექმნის პროცესზე.

## საკვლევი კითხვები

1. რა სუბიქტურმა და ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ დღემდე არ არსებობს ერთიანი ქურთული სახელმწიფო?

2. რა სავარაუდი ცვლილებებს გამოიწვევს ახლო აღმოსავლეთში ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნა?

## ჰიპოთეზა

ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივას აბუნდოვანებს და მის რეალობაში განხორციელებას შეუძლებელს ხდის, როგორც რეგიონული, ასევე გლობალური პოლიტიკური კონიუნქტურა,

რადგან წამყვანი საერთაშორისო პოლიტიკური აქტორების ინტერესში არ შედის მსგავსი პოლიტიკური და სოციოეკონომიკური ავტონომიური სუბიექტის შექმნა.

## კვლევის საგანი და ობიექტი

**კვლევის საგანი** - ქურთული საკითხის არსი და მისი მნიშვნელობა გლობალურ პოლიტიკაში.

**კვლევის ობიექტი** - ქურთული სახელმწიფოს შექმნის დამაბრკოლებელი ფაქტორები რეგიონულ და გლობალურ დონეზე.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ქურთული საკითხი ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოში ერთ-ერთ გადაუჭრელ თემად მიიჩნევა, რომელიც მრავალი მკვლევრის დაინტერესებას იწვევს. თემის შესწავლის მდგომარეობის მხრივ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქურთების სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივები ქართულ სამეცნიერო რეალობაში სათანადოდ შესწავლილი არ არის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგადად ქურთულ საკითხზე სხვადასხვა პერიოდში არაერთი ნაშრომია მიძღვნილი. ქურთული საკითხის შესწავლის თვალსაზრისით გამორჩეული და ფასდაუდებელია ალბერტ მენთეშაშვილის ღვაწლი და იგი ქართული ქურთმცოდნეობის ღირსეულ წარმომადგენლად შეგვიძლია დავასახელოთ. ალბერტ მენთეშაშვილის მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი არაერთი სამეცნიერო სტატია თუ მონოგრაფია მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა, როგორც ქურთმცოდნეობის, აგრეთვე ჩვენ მიერ შექმნილი სადისერტაციო ნაშრომისათვის.

გასული საუკუნის 80-90 წლებში ქურთული საკითხის კვლევის და ქურთმცოდნეობის განვითარების თვალსაზრისით ღირსშესანიშნავი პერიოდი იყო, რისი თქმის საფუძველსაც გვაძლევს მურტუზ (მურთაზ) ტაიარის, დავით

სააკაძის და მადონა პაქსაშვილის სადისერტაციო ნაშრომები (ირან-თურქეთის სამხედრო კონფლიქტები და ქურთები XIX ს-ის I მეოთხედში; ირან-ერაყის ურთიერთობა და ქურთები XX საუკუნის 60-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში; ქურთთა ემიგრანტული საზოგადოებები და გამათავისუფლებელი მოძრაობა ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნეში) და სამეცნიერო სტატიები (იხ. ბიბლიოგრაფიის სია). ქურთების პრობლემატიკის კვლევას მიეძღვნა შავლეგო ტაბატაძის მიერ შექმნილი დისერტაცია, რომელიც ავტორმა 2020 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა. სადისერტაციო ნაშრომის გარდა შ. ტაბატაძემ ქურთების პრობლემატიკაზე შექმნა რამდენიმე სამეცნიერო სტატია (იხ. ბიბლიოგრაფიის სია).

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანი კონტრიბუცია აღმოჩნდა სიმონ ესაძის, ბაღჩოე ისკოს, დიმიტრი ბოკუჩავას, მამუკა კომახიას, თამარ კუპრეიშვილის, გიორგი ჭიღვარიას, ნათელა დანგაძის, გიორგი სანიკიძის, დიმიტრი ფირბარის, თამთა ბოკუჩავას, მარიამ გურეშიძის, მირანდა ბაშალეიშვილის, თამარ ვახანიას და სხვათა მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი სამეცნიერო შრომები, სადაც ავტორები ქურთული პრობლემატიკის აქტუალურ საკითხებს იკვლევენ, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე რეგიონულ და გლობალურ ჭრილში.

ქურთული საკითხის ზოგიერთი ასპექტი ფართოდ არის წარმოჩენილი და განხილული ისეთი მკვლევრების შრომებში, როგორებიც არიან: დევიდ მაკდაუელი (David McDowall), სტეფანო ტორელი (Stefano M. Torelli), ქერიმ ილდიზი (Kerim Yildiz), ჯენგიზ გუნესი (Cengiz Gunes) და მაიკლ გიუნტერი (Michael Gunter). ისინი მონოგრაფიებში, სამეცნიერო სტატიებსა და სხვა სახის პუბლიკაციებში ისტორიისა და პოლიტიკის პერსპექტივიდან იკვლევენ ქურთული საკითხის რეგიონულ და გლობალურ განზომილებებს, რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებში მცხოვრები ქურთების წინაშე არსებულ გამოწვევებს და პერსპექტივებს, ქურთი ხალხის სოციო-პოლიტიკური

განვითარების ტენდენციებსა და თავისებურებებს. უნდა ითქვას, რომ ქურთული საკითხი კარგად აქვთ შესწავლილი უცხოელ მკვლევრებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უშუალოდ ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეასა და პერსპექტივებზე ნაკლებად მოიძებნება სამეცნიერო ნაშრომები, თეორიები და კონცეფციები.

სადისერტაციო თემის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე კვლევის ფარგლებში შესწავლილია საერთაშორისო ურთიერთობების, გლობალური უსაფრთხოების, ახლო აღმოსავლეთის ისტორიის, დიპლომატიისა და სამართლის უცხოელი და ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები. ამ მხრივ აღსანიშნავია, ალბერტ მენთეშაშვილის, გიორგი სანიკიძის, ალექსანდრე რონდელის, ეკა აკობიას, ემზარ ხვიჩიას, ვახტანგ მაისაიას, ჰანს მორგენთაუს (Hans Morgenthau), კენეტ უოლცის (Kenneth Waltz), ჯონ მერშაიმერის (John Mearsheimer), ჰენრი კისინჯერის (Henry Kissinger), იოჰან გალტუნგის (Johan Galtung), ნოამ ჩომსკის (Noam Chomsky), არნოლდ ტოინბის (Arnold Toynbee), ზბიგნევ ბჟეზინსკის (Zbigniew Brzezinski), მორდეჩაი ჩაზიზას (Mordechai Chaziza), ჯეიმს მაიალის (James Mayall), ნიკოლაი კოჟანოვის (Nikolay Kozhanov), ულრიკე ბარტენის (Ulrike Barten), სტეფან ოტერის (Stefan Oeter) და სხვა მოაზროვნეთა შრომები.

სადისერტაციო თემის ფარგლებში, ასევე შესწავლილია გაერთიანებული ერების მიერ შექმნილი დეკლარაციები, ქარტიები და ცალკეული რეზოლუციები (გაერთიანებული ერების ქარტია, დეკლარაცია კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი, გენერალური ასამბლეის რეზოლუციები - N1803 და N64/298).

ზემოხსენებული სამეცნიერო ნაშრომები, საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტები და ცალკეული ქვეყნის სტრატეგიები მნიშვნელოვანი

კონტრიბუცია აღმოჩნდა წინამდებარე სადისერტაციო თემის გაანალიზებისა და დასკვნების გამოტანის თვალსაზრისით.

**1. ალბერტ მენთეშაშვილი, ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.)** [1] - ერთ-ერთი ფუნდამენტური ქართულენოვანი გამოკვლევაა, სადაც ავტორი ქრონოლოგიურად მიმოიხილავს ქურთების წარმოშობას და მათი სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ისტორიულ ასპექტებს. ნაშრომის პირველ ნაწილში მიმოხილულია ქურთების პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენის და ნახევრად დამოუკიდებელი ქურთული სამთავროების არსებობის პერიოდი. გაანალიზებულია ირან-ოსმალეთის ომების შედეგების მნიშვნელობა ქურთებისათვის. მეორე ნაწილი ეხება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ქურთების გააქტიურებას და ქურთთა საკითხის საერთაშორისო საკითხად გადაქცევას და ასევე ქურთების მდგომარეობას პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. დასკვნით, მესამე ნაწილში, აღწერილია XX საუკუნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები, კერძოდ, ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები მსოფლიო ომთა შორის პერიოდში, ქურთები მეორე მსოფლიო ომში და ერაყელი ქურთების ავტონომიისათვის ბრძოლის საკითხები. აღნიშნული მასალა მნიშვნელოვანი კონტრიბუცია აღმოჩნდა დისერტაციის წერის პროცესში, ვინაიდან ნაშრომში კარგად არის წარმოჩენილი შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი პერიოდების ქურთების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების პერიპეტიები.

**2. ალბერტ მენთეშაშვილი, ქურთები და ქურთისტანი: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები** [2] - აღნიშნულ მონოგრაფიაში ავტორი ფართოდ მიმოიხილავს ერაყის, თურქეთის, ირანისა და სირიის ტერიტორიაზე დასახელებული ქურთი ხალხის გეოგრაფიულ-ეკონომიკურ რაიონებს.

[1] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978.
[2] მენთეშაშვილი, ალბერტ. ქურთები და ქურთისტანი: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1977.

ავტორის მიერ ჩატარებული კვლევა მკაფიოდ წარმოაჩენს ქურთების სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ მდგომარეობასა და ძირითად მახასიათებლებსა თუ თავისებურებებს. ავტორს ყურადღების მიღმა არ გამორჩენია ქურთული კულტურის ზოგიერთი საკითხის შესწავლა. ასევე ნაშრომში ასახულია ქურთისტანის დემოგრაფიული საკითხი და ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის ცალკეული რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

**3. David McDowall, A Modern History of the Kurds** [3] - აღწერილია ქურთების ახალი და უახლესი ისტორიის ძირითადი მოვლენები. ავტორი ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან ისტორიულ და პოლიტიკურ გარემოებებს, რის გამოც ქურთებს არ მიეცათ შესაძლებლობა შეექმნათ თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფო. იგი მიიჩნევს, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული პოლიტიკური პროცესები (სევრის შეთანხმება, ლოზანის საზავო ხელშეკრულება, სამანდატო სისტემის ამოქმედება) გარდამტეხი აღმოჩნდა ქურთული ტომებისთვის, კერძოდ კი მათი პოლიტიკური აზრის ფორმირების თვალსაზრისით. ნაშრომში განხილულია ქურთულ ტომთა სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობა და მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები ყაჯართა დინასტიისა და ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. ქურთული საკითხის განხილვა თურქული და არაბული ეთნო-ნაციონალიზმის კონტექსტში ნაშრომის ძირითადი მიმართულებაა, სადაც ავტორი აღწერს და აანალიზებს სამანდატო სისტემის დასრულების შემდეგ ქურთების ინკორპორაციის პროცესის შედეგებს რეგიონის ცალკეული ქვეყნების მიხედვით.

**4. Emel Elif Tugdar, Serhun Al, Comparative Kurdish Politics in the Middle East** [4] - შედარებითი მეთოდის გამოყენებით გაანალიზებული და შეფასებულია ქურთების პოლიტიკური მდგომარეობა ერაყში, სირიაში თურქეთსა და ირანში.

---

[3] McDowall, David. A Modern History of the Kurds. London: I.B. Tauris & Co Ltd, 2007.
[4] Emel Elif Tugdar and Serhun Al. Comparative Kurdish Politics in the Middle East. Springer Nature, 2018

ნაშრომის მთავარი მიზანი არის გაანალიზოს ის პოლიტიკური პროცესები და აქტივობები, რომლებსაც ქურთები ახორციელებენ რეგიონში თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად.

**5. Kerim Yildiz, The Kurds in Syria: The Forgotten People** [5] - ნაშრომში მიმოხილულია სირიაში მცხოვრები ქურთების უახლესი ისტორიის აქტუალური საკითხები და გარდამტეხი მომენტები. გარდა ისტორიული ანალიზისა, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სირიაში მცხოვრები ქურთების სამოქალაქო, პოლიტიკურ და კულტურულ უფლებებზე. იგი დაწვრილებით აღწერს მათ სამართლებრივ მდგომარეობას და ისტორიის იმ პერიოდებზე საუბრობს, როდესაც სირიის ხელისუფლებებმა რადიკალური და უსამართლო პოლიტიკა აწარმოეს ქურთი ხალხის წინააღმდეგ, რომლის საილუსტრაციოდაც იგი საიღრმისეულად აღწერს ქურთების გენოციდის საიდუმლო გეგმას, ელ-ჰასაქის საყოველთაო აღწერას და არაბული სარტყლის შექმნას. ნაშრომში კარგად არის წარმოჩენილი ქურთების წინააღმდეგ მიზანმიმართული დესტრუქციული პოლიტიკის შედეგები არაბული ნაციონალიზმის პერიოდში. ავტორი ასევე აანალიზებს ჰაფეზ ასადისა და ბაშარ ასადის პოლიტიკურ სტილს და მიდგომებს ქურთულ საკითხთან დაკავშირებით.

**6. Farideh Koohi-Kamali, The Political Development of the Kurds in Iran: Pastoral Nationalism** [6] - ნაშრომში ქრონოლოგიურადაა აღწერილი ირანში მცხოვრები ქურთების უახლესი ისტორიის აქტუალური საკითხები, მათი სოციალური და პოლიტიკური განვითარების ეტაპები, ასევე ქურთების სამართლებრივი მდგომარეობა უახლესი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მეჰაბადის ქურთული რესპუბლიკის შექმნის წინარე პერიოდზე და რესპუბლიკის გაუქმების შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე, ვინაიდან ისტორიის ამ მონაკვეთმა

---

[5] Yildiz, Kerim. The Kurds in Syria: The Forgotten People. London: Pluto Press. 2005.
[6] Koohi-Kamali, Farideh. The Political Development of the Kurds in Iran: Pastoral Nationalism. New York: Palgrave Macmillan, 2003.

მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქურთების პოლიტიკური საქმიანობა შემდგომ წლებში როგორც ირანში, ასევე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ავტორს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ირანის ქურთისტანსა და ქვეყნის დანარჩენ პროვინციებს შორის არსებული უთანასწორობის ზოგიერთი ასპექტი. ავტორი მკაფიო ხაზების გავლებით ცდილობს წარმოაჩინოს მონარქიული და თეოკრატიული პერიოდების ირანის საშინაო პოლიტიკის მსგავსი და განსხვავებული მიდგომები ქურთისტანთან და ქურთებთან მიმართებაში.

**7. Thomas Schmidinger (Translated by Michael Schiffmann), Rojava: Revolution, War, and the Future of Syria's Kurds** [7] - უახლესი სამეცნიერო ნაშრომია, სადაც განხილულია სირიაში მცხოვრები ქურთების ახალი და უახლესი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა. უმთავრესად, იგი ეხება სირიის ტერიტორიაზე როჟავას (სირიის ქურთისტანი ან დასავლეთ ქურთისტანი), როგორც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს. ნაშრომში მიმოხილულია სირიაში მცხოვრები ქურთების ავტონომიისათვის ბრძოლის პერიოდი. ასევე აღწერილია როჟავას ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური (ქურთების, არაბების, სომხების და ასირიელები) და რელიგიური ჯგუფები (მუსლიმები, ქრისტიანები, ალავიტები და ეზიდები). ნაშრომი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში განხილულია 2012 წლიდან განვითარებული პოლიტიკური და სამხედრო პროცესები (სამოქალაქო ომი, ისლამური სახელმწიფო და სხვა).

**8. Stefano M. Torelli (ed.), Kurdistan an Invisible Nation** [8] - ავტორთა ჯგუფის მიერ შექმნილ ნაშრომში მკაფიოდ იკვეთება ქურთული პრობლემატიკის აქტუალურობა როგორც რეგიონულ, ასევე გლობალურ კონტექსტში. ნაშრომის პირველ თავში გამოკვეთილია ქურთისტანის საკითხთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიული ეპიზოდები, კერძოდ პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან ათა-თურქის აღზევებამდე პერიოდი. ამავე ნაწილში

[7] Schmidinger, Thomas (Translated by Michael Schiffmann). Rojava: Revolution, War, and the Future of Syria's Kurds, Pluto Press, London, 2018.
[8] Torelli, Stefano M. Kurdistan an Invisible Nation. Milan: ISPI (The Italian Institute fo rInternational Politica lStudies), 2016

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დასავლეთმა ხელი შეუწყო ქურთული ნაციონალიზმის აღზევებას, რის შემდეგაც ქურთული ძალები ჯერ ოსმალეთის, მოგვიანებით კი ათა-თურქის წინააღმდეგ გამოიყენა. ქურთისტანის მუშათა პარტიასა და თურქეთი ხელისუფლებას შორის მრავალწლიან დაპირისპირებას ეძღვნება ნაშრომის მეორე თავი, რომელშიც ასევე განხილულია ქურთული საკითხის მომავალთან დაკავშირებული სცენარები. წიგნში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყველაფერი თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე არის დამოკიდებული. ავტორები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ოფიციალური ანკარის ამჟამინდელი პოლიტიკური რიტორიკა და არჩეული პოლიტიკური სტრატეგია შეამცირებს ქურთებთან მოლაპარაკების დროს ლავირების საშუალებას და ქვეყანას დიდი შერიგების შანსს დააკარგვინებს. ნაშრომის შემდეგი თავი ქურთული დაჯგუფებების მიერ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული წარმატებების განხილვას ეთმობა. მეოთხე თავი ენერგეტიკულ ფაქტორს და ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებელ სუბიექტად ფორმირების მისწრაფებებს ეხება. ნაშრომის ბოლო თავში წარმოჩენილია შეხედულება, რომ ქურთული სახელმწიფოს არარსებობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დიდმა გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა და ქურთულ საკითხთან დაკავშირებით დასავლეთის საუკუნო დილემამ გამოიწვია.

**9. Alireza Nader, Larry Hanauer, Brenna Allen, Ali G. Scotten, Regional Implications of an Independent Kurdistan** [9] - ნაშრომში განხილულია ერაყში მცხოვრები ქურთების საკითხი. ნაშრომის შესავალ ნაწილში გაანალიზებულია ქურთული ნაციონალიზმის მნიშვნელობა და გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. პირველ თავში განხილულია ქურთული საკითხის ისტორიული კონტექსტი, სადაც მიმოხილულია ქურთების მდგომარეობა სადამ ჰუსეინის რეჟიმამდე და სადამ ჰუსეინის რეჟიმის შემდეგ, ასევე ქურთების მდგომარეობა თანამედროვე ეტაპზე. ნაშრომის ცალკეულ თავებში გაანალიზებულია ერაყის,

[9] Alireza Nader, Larry Hanauer, Brenna Allen, Ali G. Scotten. Regional Implications of an Independent Kurdistan. Santa Monica: RAND Corporation, 2016.

თურქეთის და ირანის პოზიციები და რეაქციები ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით.

**10. Cengiz Gunes, The Kurds in a New Middle East: The Changing Geopolitics of a Regional Conflict** [10] – წიგნში მკაფიოდაა წარმოჩენილი ქურთების პრობლემატიკა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის ფონზე, რადგანაც ნაშრომში თავმოყრილია უახლესი ცნობები რეგიონში განვითარებული მოვლენების შესახებ. ნაშრომის ცალკეულ თავებში ავტორი სიღრმისეულად განიხილავს ქურთების საკითხის ევოლუციას სირიასა და ირანში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქურთული ძალების მიერ სირიაში ბოლოდროინდელი სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური უპირატესობის მოპოვების გარემოებებისა და შედეგების განხილვას. ნაშრომის ბოლო თავში გაანალიზებულია ქურთული პრობლემატიკის პერსპექტივები როგორც მთლიანად ახლო აღმოსავლეთის კონტექსტში, ასევე რეგიონის ცალკეული ქვეყნების მიხედვითაც. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქურთული სამხედრო დაჯგუფებების მიერ რეგიონში მოპოვებული ბოლოდროინდელი წარმატებები და უპირატესობები უპრეცედენტოდ მასშტაბურია. თუმცა, იქვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქურთების შესაძლებლობები რეგიონული აქტორების (უმთავრესად ირანი და თურქეთი) მოქმედებების ფონზე შეზღუდულად გამოიყურება.

## კვლევის თეორიული საფუძვლები

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია:

**თვითგამორკვევის თეორია** - ერთ-ერთი საკვანძო საერთაშორისო სამართლის პრინციპია, რომელიც თეორიულ პრიზმაში განიხილავს ერების,

[10] Gunes, Cengiz. The Kurds in a New Middle East: The Changing Geopolitics of a Regional Conflict. Springer International Publishing; Palgrave Macmillan, 2019.

ხალხების და უმცირესობების თვითგამორკვევის საკითხებს და მის თეორიულ-პრაქტიკულ შესაძლებლობებს.

**ძალთა ბალანსის თეორია** - საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიაა, რომლის მიხედვითაც თითოეული სახელმწიფო მსოფლიოს ანარქიულ სისტემაში თვითგადარჩენისათვის იბრძვის.

**კვანტური რელატივისტური ნოოლოგია** - ახალი სამეცნიერო პროდუქტია, რომელიც კაცობრიობის განვითარების ისტორიულ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს ლოგიკური და ახლებური გააზრების შესაძლებლობას გვთავაზობს.

## კვლევის მეთოდები

დისერტაციის თემის ფარგლებში სამეცნიერო კვლევა ორ ეტაპად წარიმართა: პირველი ეტაპი - სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით არსებული რელევანტური, კომპეტენტური და ობიექტური ლიტერატურის მოძიება, დახარისხება და დაჯგუფება; მეორე ეტაპი - მოპოვებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა, ანალიზი და რელევანტური კვლევის მეთოდების შერჩევა.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის შემდეგი მეთოდები: ისტორიულ-აღწერილობითი, შედარებითი, საგარეო პოლიტიკის ანალიზი, კონტენტ ანალიზი და შემთხვევის ანალიზი (Case study).

ისტორიულ-აღწერილობითი მეთოდის გამოყენებით ისტორიულ კონტექსტში გაანალიზდა ქურთების სოციო-პოლიტიკური განვითარების თავისებურებები და ტენდენციები.

შედარებითი მეთოდის გამოყენებით შევისწავლეთ ერაყში, სირიაში, ირანსა და თურქეთში მცხოვრები ქურთების სოციალური და პოლიტიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები. აგრეთვე, განხილულია ზემოჩამოთვლილ ქვეყნებში ქურთების დღევანდელი მდგომარეობა და მათ წინაშე არსებული გამოწვევები და საფრთხეები.

Case study-ის მეთოდის გამოყენებით შევისწავლეთ 2017 წლის ერაყის ქურთისტანის რეფერენდუმის შემთხვევა.

საგარეო პოლიტიკის ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზდა გლობალური აქტორების დამოკიდებულებები ქურთულ საკითხთან და ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივასთან მიმართებაში. კვლევის ამ მეთოდის გამოყენებით სადისერტაციო ნაშრომში განხილულია გლობალურ აქტორების (აშშ-ის, რუსეთის, ჩინეთის) საგარეო პოლიტიკის სტრატეგიები, მიზნები და ხედვები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ახლო აღმოსავლეთის რეგიონსა და ქურთისტანს.

## ნაშრომის სამეცნიერო სიახლე

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული მრავალშრიანი კვლევის შედეგად შევისწავლეთ ქურთული საკითხის გამოწვევები და მისი მოგვარების პერსპექტივები, როგორც რეგიონის ცალკეულ ქვეყნებში, ასევე გლობალურ დონეზე. მივიჩნევთ, რომ სადისერტაციო ნაშრომს აქვს რამდენიმე სამეცნიერო სიახლე:

- ქართულ სამეცნიერო სივრცეში შეიქმნა პირველი აკადემიური ნაშრომი ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეასთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნება დარგის განვითარების თვალსაზრისით და იგი ამ თემით დაინტერესებულ მკვლევარსა თუ ექსპერტს გამოადგება მეცნიერული კვლევა-ძიების წარმართვის პროცესში.

- უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა პერიოდში ქურთების თემატიკაზე შექმნილი შრომები ქურთულ პრობლემატიკას მხოლოდ ლოკალურად და ფრაგმენტულად ასახავენ. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი გამოირჩევა თავისი მასშტაბურობით და იგი ქურთების პრობლემატიკას ერთიან კონტექსტში განიხილავს, რომელიც ნაშრომის სტრუქტურაშიც მკაფიოდაა წარმოდგენილი.

- აგრეთვე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა პერიოდში ქურთების საკითხზე შექმნილი შრომები კონკრეტულად ერთი დარგის კონტექსტშია შესწავლილი, ხოლო წინამდებარე ნაშრომი თავისი ინტერდისციპლინურობით გამოირჩევა და იგი აერთიანებს ისეთ მიმართულებებს როგორებიცაა: საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო უსაფრთხოება, საერთაშორისო სამართალი, ქურთმცოდნეობა, ისტორია, პოლიტიკური გეოგრაფია, გეოპოლიტიკა.

- ახალი სამეცნიერო თეორიის - კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის - მიხედვით პირველად გაანალიზდა ქურთული საკითხი. კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქურთები ძლევის მანიის კლასის ერს მიეკუთვნებიან. ამავე თეორიის წიაღში არსებული ციკლური ლოგიკის აპარატით შევისწავლეთ მსოფლიოს ერთიანი ცივილიზაციური ციკლების ცვლის ლოგიკა, რამაც საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა მთავარი მახასიათებლები, რაც ძლევის მანიის კლასის ერს ახასიათებს ძლევისა და მართვის ორმაგი ეფექტის ფაზებში.

- სადისერტაციო თემის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად წარმოვაჩინეთ ქურთების საკითხის გადაჭრის ის პოლიტიკური მოდელები, რომლებსაც პროქურთული პოლიტიკური პარტიები თუ ჯგუფები ანიჭებენ უპირატესობას. დადგინდა, რომ დემოკრატიული ავტონომია, ფედერალიზმი, ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნა და კულტურული უფლებების პოლიტიკური მოდელები აქტუალური და პოპულარულია ქურთების პრობლემატიკის გადაწყვეტის პოლიტიკურ ხედვებს შორის.

- ვფიქრობთ, რომ ნაშრომში მოყვანილი ფაქტობრივი მასალები და ანალიტიკური შედეგები საყურადღებოა უსაფრთხოების მიმართულებითაც და იგი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმარებაზე მომუშავე შესაბამისი სამსახურებისთვის ანალიზის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს. ვინაიდან კვლევის პროცესში ეთნიკური და ჯგუფების სადაზვერვო მიზნით გამოყენების ნიშნები გამოიკვეთა, რამაც შესაძლებელია ქვეყნებს შორის ურთიერთობებში გაურკვევლობები წარმოშვას.

- საკვლევი თემის გეოგრაფიული დონის (ლოკალური, რეგიონული და გლობალური) შესწავლის შედეგად დაყოფის შედეგად წარმოჩინდა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ქურთული საკითხს დღემდე გადაუჭრელს ხდის. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქურთებს შორის არსებული კონფესიურ-ლინგვისტური განსხვავებები და შიდა კონფრონტაციები შეუძლებელს ხდის ქურთი ხალხის კონსოლიდაციას და ერთიანი სტრატეგიით დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ სწრაფვას. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული ანტიქურთული განწყობები და გლობალურ აქტორთა (აშშ, რუსეთი და ჩინეთი) განსხვავებული პოლიტიკური მიდგომები საგრძნობლად აფერხებს ქურთი ხალხის დამოუკიდებელ სუბიექტად ფორმირების სურვილს.

- საბიბლიოთეკო კვლევა-ძიების შედეგად სადისერტაციო ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში ავსახეთ ქურთების საკითხზე საქართველოს სამეცნიერო სივრცეში სხვადასხვა პერიოდში შექმნილი აკადემიური ნაშრომები, რომელიც ვფიქრობთ რომ სიახლეს წარმოადგენს, ვინაიდან მას მანამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ასევე აღნიშნული მასალა საინტერესო და ნაყოფიერი იქნება ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევრებისთვის, რადგან ბიბლიოგრაფიაში თავმოყრილი სამეცნიერო შრომები და წყაროები გააადვილებს საკითხის შემეცნების პროცესს.

და ბოლოს, მივიჩნევთ, რომ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი და მისი კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნება ქურთმცოდნეობის

განვითარების თვალსაზრისით და გამოვთქვათ მოსაზრებას, რომ იგი მას ახალ საფეხურზე აიყვანს.

## თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგად მიღებული ცოდნა, დასკვნები და პერსპექტივები მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნება დარგის თეორიული განვითარების თვალსაზრისით. ნაშრომი გამოირჩევა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობითაც და იგი გამოადგება სტუდენტებს, ახალგაზრდა მკვლევრებს, ექსპერტებს და იმ პირებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქურთული საკითხით, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკით, ისტორიით და საერთაშორისო ურთიერთობებით. ნაშრომის შედეგები საინტერესო იქნება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველყოფასა და დაგეგმარებაზე მომუშავე შესაბამისი სამსახურებისთვისაც. სადისერტაციო ნაშრომის გამოყენება მიზანშეწონილია სალექციო კურსის ფარგლებში.

## ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

წინამდებარე დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, თერთმეტი ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიის სიისაგან. სულ 160 გვ.

# I თავი. ქურთული საკითხის თეორიული და ისტორიული ასპექტები

## 1.1. ქურთული საკითხის თეორიული ჩარჩო

ქურთული საკითხი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა, რომელსაც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდამდე ჩაეყარა საფუძველი. ქურთები საუკუნეზე მეტია იბრძვიან ეროვნული კერის შესაქმნელად, თუმცა ისინი დღემდე სახელმწიფოს გარეშე არიან, რაც მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზით არის განპირობებული.

თვითგამორკვევის პრინციპის მიხედვით, ხალხს ან ერს, რომელსაც საერთო ისტორიული, ენობრივი, რელიგიური, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური ან კიდევ ტერიტორიული საზღვრები აკავშირებს, აქვს ლეგიტიმური უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი საერთაშორისო სისტემაში და ამავდროულად დამოუკიდებლად წარმართოს მათი კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ასევე, თვითგამორკვევა ეროვნულ რესურსებსა და სიმდიდრეზე სუვერენიტეტს გულისხმობს. თეორეტიკოსები ერთმანეთისაგან განასხვავებენ გარე და შიდა თვითგამორკვევის სახეებს. შიდა თვითგამორკვევა ერად ან ხალხად კლასიფიცირებულ ჯგუფის მიერ უფრო მეტი თვითმმართველობის უფლების მიღებას, ხოლო გარე თვითგამორკვევა სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას გულისხმობს.

საერთაშორისო სამართალში თვითგამორკვევის უფლებას რამდენიმე გამოვლინება აქვს. უპირველეს ყოვლისა, იგი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვას, კულტურულ და პოლიტიკური ავტონომიასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნას გულისხმობს. ამასთან მიმართებაში გამოიყოფა თვითგამორკვევის შემდეგი სახეები: ანტიკოლნიური, ტრანსსახელმწიფოებრივი, გაფანტული და მკვიდრი ხალხების, სახელმწიფოს

შიგნით და წარმომადგენლობითი თვითგამორკვევა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს კატეგორიები უნივერსალური და ყოვლისმომცველი არაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩამოყალიბდა და შეიქმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ქარტია თუ რეზოლუცია, რომელიც ხალხთა, ერების და თვითგამორკვევის უფლებებს ეხმიანება. ამ მხრივ აღსანიშნავია:

- 1945 წელს მიღებული გაერთიანებული ერების ქარტია;[11]
- 1960 წლის დეკლარაცია კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ;[12]
- 1962 წლის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია - N1803;[13]
- 1970 წლის გაერო-ს დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ;[14]
- 1975 წლის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი და სხვა.[15]

თვითგამორკვევა მხოლოდ გამოყოფის არ გულისხმობს, იგი ასევ გაერთიანებასაც მოიაზრებს. ერთა თვითგამორკვევასთან დაკავშირებით, პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტი, ჯეიმს მაიალი (James Mayall) ორ საფრთხეზე ამახვილებს ყურადღებას. იგი საერთაშორისო დღის წესრიგის ესენციალისტურ საფრთხეს აიგივებს ირედენტიზმთან, ხოლო რაციონალისტურ საფრთხეს - სეცესისთან. სტატიაში „ნაციონალიზმი და

---

[11] The United Nations. "Charter of the United Nations and Statute of the International Court of Justice." San Francisco, California, October 24, 1945. https://treaties.un.org/doc/publication/ctc/uncharter.pdf (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

[12] The United Nations General Assembly. "Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples." New York, December 14, 1960. https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/152/88/PDF/NR015288.pdf?OpenElement (ბოლო ნანახია 20.05.2022)

[13] The United Nations General Assembly. "Permanent Sovereignty over Natural Resources." New York, December 14, 1962. https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/ProfessionalInterest/resources.pdf (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

[14] The United Nations General Assembly. The Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States. Geneva, October 24, 1970. https://www.un.org/ruleoflaw/files/3dda1f104.pdf (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

[15] Organization for Security and Co-operation in Europe. The Helsinki Final Act. Helsinki, Finland, August 1, 1975. https://www.osce.org/files/f/documents/5/c/39501.pdf (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

საერთაშორისო წესრიგი“ ავტორი იქვე განმარტავს და განიხილავს ირედენტიზმიდან და სეცესიიდან მომდინარე საფრთხეებს.[16]

თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნასთან დაკავშირებით რაიმე სახის მკაცრად რეგლამენტირებული დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა აუცილებელი წინაპირობაა, რომ სუბიექტები კვალიფიცირდნენ, როგორც ხალხი. ხალხის დეფინიცია საკმაოდ კომპლექსური და სადისკუსიო საკითხია, ვინაიდან ტერმინები, როგორიცაა ხალხი და ერი, ჯერ კიდევ დაუზუსტებელია.

ხალხის, როგორც ტერმინის ფართოდ აღიარებული და გავრცელებული განმარტება გერმანელ იურისტს დიტრიხ მურსვიკს (Dietrich Murswiek) ეკუთვნის, რომლის მიხედვითაც ხალხმა, რომელმაც თვითგამორკვევის უფლებით შეიძლება ისარგებლოს უნდა ცხოვრობდეს კონკრეტულ და მკაფიოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე უმრავლესობით, ამავდროულად საუბრობდნენ საკუთარ ენაზე და შეეძლოთ კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების პრაქტიკაში განხორციელების საშუალება.

1989 წელს პარიზში იუნესკოს ეგიდით გაიმართა კონფერენცია „ექსპერტთა საერთაშორისო შეხვედრა ხალხთა უფლებების კონცეფციის შემდგომი შესწავლის შესახებ“. დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების დახმარებით შემუშავდა ანგარიში და რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც ხალხი განისაზღვრა, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოჩამოთვლილ მახასიათებლებს ერთობლივად ან კიდევ რომელიმე მათგანს.[17]

- საერთო ისტორიული ტრადიცია;
- რასობრივი ან ეთნიკური იდენტობა;
- კულტურული ჰომოგენურობა;

[16] თურმანიძე, თ., ურუშაძე, ე., დუჩიძე, ლ. რედ. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია: ქრესტომათია. თბილისი: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004. გვ. 158.
[17] International Meeting of Experts on Further Study of the Concept of the Rights of Peoples. Paris, 1989. (https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000085152 (ბოლოს ნანახია 21.05.2022)

- ლინგვისტური ერთიანობა;
- რელიგიური ან იდეოლოგიური მიკუთვნებულობა;
- ტერიტორიული კავშირი;
- საერთო ეკონომიკური კავშირები.

თავდაპირველად თვითგამორკვევა პოლიტიკურ მნიშვნელობად განიხილებოდა, თუმცა მან მოგვიანებით ტრანსფორმაცია განიცადა და იგი საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმად გადაიქცა.

თვითგამორკვევის პრინციპის ჩამოყალიბებას არც თუ შორეულ წარსულში მივყავართ. მისი ისტორიული საფუძვლები XVIII საუკუნის 70-80 - იანი წლებიდან იღებს სათავეს. ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა (1776 წ.) და საფრანგეთის რევოლუცია (1789 წ.) თვითგამორკვევის კლასიკურ შემთხვევებად შეიძლება განვიხილოთ. ამავდროულად, ორივე მაგალითში, მკაფიოდ იკვეთება თვითგამორკვევის ორი განსხვავებული განზომილება, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში გარე და შიდა თვითგამორკვევის სახელწოდებით არის ცნობილი. ამ კონკრეტულ შემთხვევებში ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა ბრიტანეთისგან გარე თვითგამორკვევის მაგალითად შეძლება კვალიფიცირდეს, ხოლო საფრანგეთის რევოლუცია - შიდა თვითგამორკვევის მაგალითს მივაკუთვნოთ, ვინაიდან იგი იმ პერიოდში არსებული რეჟიმისა და სისტემის ტრანსფორმაციისაკენ იყო მიმართული.

თვითგამორკვევის ცნების მასშტაბის გაზრდა XIX საუკუნეში ევროპის კონტინენტზე მიმდინარე რევოლუციურ პროცესს უკავშირდება. სწორედ ამ პერიოდიდან შეიძინა მან თანამედროვე მნიშვნელობა, რაც მოგვიანებით ვუდრო ვილსონის მიერ ინიცირებული 14 პუნქტიან გეგმაში აისახა კიდევაც. იგი გახდა ერთგვარი დემოკრატიული იდეალი, რომლის მიხედვითაც ხალხებსა და ერებს შესაძლებლობა გაუჩნდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად. ვილსონის მიერ საერთაშორისო თანამეგობრობისათვის შეთავაზებული „14 პუნქტიანი გეგმა“ შეფასებულია ვილსონისეულ

იდეალიზმად, რომელსაც რეალისტური მიზნები გააჩნდა, რაც შემდგომ შემდგომ პერიოდში ნათლად გამოავლინა. აშშ-ს იზოლაციონისტური პოლიტიკის დასასრული სწორედ პირველ მსოფლიო ომთან არის დაკავშირებული. მანამდე შეერთებული შტატები მონროს დოქტრინის (1823 წ.) საფუძველზე ცდილობდა თავის პოზიციები გაეძლიერებინა ამერიკის კონტინენტზე. საერთაშორისო არენაზე ამერიკის გამოჩენისათვის ხელსაყრელი დრო და პირობები იყო.

საერთაშორისო დონეზე თვითგამორკვევის მხარდაჭერამ გააქტიურა ერების გამოცოცხლების პროცესი, რის შედეგადაც მსოფლიოს სამი დინასტიური იმპერია - რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი და ოსმალეთი - დაიშალა, ხოლო მათ ნამსხვრევებზე დამოუკიდებელი სუბიექტები აღმოცენდნენ. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ „ერების გამოღვიძების“ პროცესი, გაცილებით ადრე, XIX საუკუნეში დაიწყო. 1920 წლიდან ერთა ლიგის მიერ თვითგამორკვევა საერთაშორისო კანონიერების ახალ პრინციპად იქნა აღიარებული. იგი, ერთი მხრივ, გულისხმობდა სუვერენიტეტის სახალხო პრინციპის გაიგივებას ევროპაში დარჩენილი დინასტიური იმპერიების წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო მოგვიანებით, მთლიანად ანტი-კოლონიალიზმთან. მეორე მხრივ კი, კონფლიქტების გადაწყვეტის კონსტიტუციური გზების დათმობას პოლიტიკური გარიგებების სასარგებლოდ.[18]

ვილსონისეული თვითგამორკვევის პრინციპის შესახებ სამართლის ასოცირებული პროფესორი და მკვლევარი ულრიკე ბარტენი (Ulrike Barten) სავსებით სამართლიანად გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „იმის ცოდნის გარეშე, თუ ვის შეიძლებოდა მოეპოვებინა თვითგამორკვევა, ის მიჩნეული იქნა პოლიტიკურ ინსტრუმენტად ძლიერთათვის, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა მათი გადაწყვეტილების შესაბამისად. იმ დროისათვის

[18] თურმანიძე, თ., ურუშაძე, ე., დუჩიძე, ლ. რედ. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია: ქრესტომათია. თბილისი: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004. გვ. 152.

ჯერ არ არსებობდა თვითგამორკვევის არანაირი უფლება. მის პრინციპად მიჩნევაც კი შეიძლება იყოს გადაჭარბება. ლექსიკონში „პრინციპი“ განმარტებულია როგორც "თანმიმდევრული და ფუნდამენტური კანონი, დოქტრინა ან ვარაუდი“ ან „ქცევის წესი ან კოდექსი“. თვითგამორკვევა დანამდვილებით არ წარმოადგენდა ფუნდამენტურ კანონს პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და ვინაიდან ის გამოიყენებოდა ზედმეტად არათანმიმდევრულად, რთულია ამ შემთხვევაში ქცევის კოდექსზე საუბარი“ (Barten 2015).

ცხადია, რომ თვითგამორკვევის პრინციპმა სხვადასხვა პერიოდში გარკვეული ცვლილებები განიცადა. დეკოლონიზაციის პროცესის შეუქცევადმა ხასიათმა ცივი ომის პერიოდში თვითგამორკვევას სულ სხვა მნიშვნელობა შესძინა, რის გამოც იგი ხშირად „დეკოლონიზაციის უფლებად“ იყო აღქმული. თავისთავად კი დეკოლონიზაციის უფლება ვრცელდებოდა კოლონიურ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხზე და არა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე.[19]

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში თვითგამორკვევის პრინციპმა ახალი ატრიბუტები შეიძინა. თვითგამორკვევის თანამედროვე ხასიათი მნიშვნელოვნად განსაზღვრა ცივი ომის დასრულებამ, კერძოდ საბჭოთა კავშირის და ვარშავის პაქტის დაშლამ, რის შედეგადაც პოლიტიკურ რუკაზე მრავალი დამოუკიდებელი და სუვერენული ერთეული გაჩნდა. თვითგამორკვევის თანამედროვე ხასიათზე საუბრისას ულრიკე ბარტენი მიიჩნევს, რომ თანამედროვე პერიოდში შიდა თვითგამორკვევა გაცილებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე ეს იყო ადრინდელ ეპოქაში. მისივე მოსაზრებით, თეორიულ დონეზე მაინც არსებობს იმის დაშვება, რომ ძლიერ შიდა თვითგამორკვევას თან სდევს სუვერენიტეტის ხარისხის გაძლიერებაც და მისი შედარებით დაქვეითებაც. ბერტენი, ადასტურებს გარე თვითგამორკვევის

[19] Raic, David. Statehood and the Law of Self-Determination. Vol. XLIII. The Hague: Kluwer Law International, 2002. p. 209.

აქტუალობას თანამედროვე მსოფლიოში და მიიჩნევს, რომ თვითგამორკვევის ეს განზომილება ხშირად ხდება კონფლიქტების წარმოშობის მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ გარე თვითგამორკვევა არსებობს და იგი საკმაოდ აქტუალურია, თანამედროვე ეპოქაში ამ მიდგომის გამოყენება მნიშვნელოვნადაა შეზღუდული, ვინაიდან იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს.[20]

2008 წლის 17 თებერვალს სერბეთისგან კოსოვოს ცალმხრივმა გამოყოფამ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში შექმნა პრეცედენტი, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თვითგამორკვევისა და ტერიტორიულ მთლიანობის პრინციპების ერთმანეთთან შეუთავსებლობის ფაქტი. ჰამბურგის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი სტეფან ოტერი (Stefan Oeter) თავის სტატიაში მომხდარ ფაქტს სამწუხარო პრეცედენტს უწოდებს და სამართლიანად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კოსოვოს სერბეთისგან ცალმხრივმა გამოყოფამ საერთაშორისო საზოგადოებაში, მათ შორის ევროკავშირშიც, დიდი განხეთქილება გამოიწვია. სტეფან ოტერის აზრით, თვითგამორკვევა ასე მარტივად არ უნდა იყოს აღქმული და იგი არ უნდა გაიგივდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შექმნის სწრაფვასთან.[21]

კოსოვოს სერბეთისგან გამოყოფის და ცალმხრივი დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტზე, 2008 წლის 8 ოქტომბერს, გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო სასამართლოს მიმართა, რომელსაც დაევალა იმის შეესწავლა იყო თუ არა კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადება საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობაში. მრჩეველთა დასკვნის საფუძველზე, 2010 წლის 22 ივლისს, საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს მიერ მიღებული დამოუკიდებლობის დეკლარაცია არ არღვევდა საერთაშორისო

[20] Barten, Ulrike. Minorities, Minority Rights and Internal Self-Determination. Springer International Publishing, 2015. doi:10.1007/978-3-319-08876-1. pp. 191-196.
[21] Oeter, Stefan. 2015. "The Kosovo Case - An Unfortunate Precedent." Heidelberg Journal of International Law, 51-74. https://www.zaoerv.de/75_2015/75_2015_1_a_51_74.pdf (ბოლოს ნანახია 22.05.2022)

სამართალს. გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ, იმავე წლის 9 სექტემბერს, მიიღო რეზოლუცია N64/298, რითაც მან საერთაშორისო სასამართლოს მრჩეველთა დასკვნის შინაარსი აღიარა.[22]

ცხადია, რომ ვილსონისეულმა თვითგამორკვევის კონცეფციამ იმ პერიოდში მნიშვნელოვნად განსაზღვრა საერთაშორისო პოლიტიკის დინამიკა და მან მსოფლიოს ახალ დღის წესრიგს ჩაუყარა საფუძველი, რომელიც ვერსალ-ვაშინგტონის სახელწოდებით არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ თვითგამორკვევის პრინციპი საერთაშორისოდ აღიარებულ პოლიტიკურ-სამართლებრივი ნორმად გადაიქცა ქურთებს მაინც არ მიეცათ შესაძლებლობა განეხორციელებინათ თავიანთი იდეა. მათ არათუ სახელმწიფოს შექმნა, არამედ რეგიონის ცალკეულ ქვეყნებში ავტონომიის მოპოვებაც ვერ მოახერხეს.

ზემოხსენებული კრიტერიუმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისიც ცხადია, რომ ქურთები ყველა პირობას აკმაყოფილებენ. ისინი უძველესი დროიდან ცხოვრობენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ქურთისტანის ტერიტორიაზე. ასევე მეტყველებენ ქურთულ ენაზე[23] და მათი უმრავლესობა ერთი რელიგიის აღმსარებელია. თანამედროვე ქურთისტანი დღეს ახლო აღმოსავლეთის ოთხი სახელმწიფოს მიერ არის გადანაწილებული და მათ საზღვრებშია მოქცეული. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ერაყელი ქურთები დანარჩენი ქურთებისაგან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგანაც, 2003 წელს, სადამ ჰუსეინის დამხობის შემდეგ, ისინი ფართო ავტონომიის სტატუსით სარგებლობენ, რაც შეერთებული შტატების ძალისხმევით იქნა მიღწეული. სირიაში, თურქეთსა და ირანში ქურთების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებები შეზღუდული და მინიმალურია. მიუხედავად ხსენებული კრიტერიუმებისა, ისინი ავტონომიის

[22] International Court of Justice. Accordance with international law of the unilateral declaration of independence in respect of Kosovo. The Hague, July 22, 2010. https://www.icj-cij.org/en/case/141 (ბოლოს ნანახია 22.05.2022)

[23] ქურთული ენის რამდენიმე დიალექტი გამოიყოფა. ქურთები ძირითადად კურმანჯისა და სორანის ქურთული ენის დიალექტებზე საუბრობენ.

მოპოვებასა და სახელმწიფოს შექმნას მაინც ვერ ახერხებენ, რადგანაც გარკვეული სახის წინააღმდეგობებს აწყდებიან რეგიონის სახელმწიფოებისაგან. გარდა ამისა, საერთაშორისო დონეზეც არ არსებობს ერთიანი პოზიცია ქურთული საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ისინი გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლნი არიან.

ქურთების საკითხის რეალიზმის პრიზმაში განხილვა მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგანაც რეალისტური სკოლა საკმაოდ კარგად აღწერს პოლიტიკური პროცესების იმ დინამიკას, რის გამოც ქურთებს დღემდე არ გააჩნიათ სახელმწიფო.

რეალიზმი, როგორც სამეცნიერო სკოლა გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდა და მან მალევე მოიპოვა გავლენა. მიუხედავად იმისა, რომ იგი XX საუკუნეში დაფუძნდა, მანამდეც გამხდარა არაერთი მოაზროვნის დაკვირვების ობიექტი. ანტიკური და შუა საუკუნეების პერიოდში გამოჩენილ მოაზროვნეთა (თუკიდიდე, პლატონი, ჰეროდოტე, არისტოტელე, მაკიაველი) მიერ შექმნილ ნაშრომებში მკაფიოდ იკითხება რეალიზმის ძირითადი მახასიათებლები და კონცეპტები, რომლებიც დღემდე არ კარგავენ აქტუალურობას.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები ერთმანეთისაგან განასხვავებენ კლასიკურ და სტრუქტურულ რეალიზმს, იგივე ნეორეალიზმს.[24] კლასიკური რეალიზმის თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა (თუკიდიდე, ნიკოლო მაკიაველი, თომას ჰობსი) თავიანთი პოლიტიკური ხედვები და მოსაზრებები დააფუძნეს ადამიანის თანდაყოლილ ბნელ მხარეებზე, როგორიცაა ეგოიზმი, მზაკვრობა, ბოროტება და სხვა ნეგატიური მხარეები. ნეოკლასიკური რეალიზმის წარმომადგენელმა ჰანს მორგენთაუმ

[24] აკობია, ეკა. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006. გვ. 17.

თავის ნაშრომში (Politics Among nations: The Struggle for Power and Peace, 1985) ჩამოაყალიბა და შემოგვთავაზა პოლიტიკური რეალიზმის 6 პრინციპი:

1. პოლიტიკა ფესვგადგმულია ადამიანის პერმანენტულად უცვლელ ბუნებაში, რომელიც არის ეგოისტური და ეგოცენტრული.[25]

2. პოლიტიკა არის ავტონომიური სფერო და არ შეიძლება მისი დაყვანა ეკონომიკამდე (როგორც ამას მარქსიზმის მიმდევრები აკეთებენ), ან მორალამდე (როგორც ამას კანტის ლიბერალური თეორიის მიმდევრები აკეთებენ ხოლმე). სახელმწიფო მეთაურებმა უნდა იმოქმედონ პოლიტიკური სიბრძნის დიქტატის მიხედვით. მათთვის გზის გაგნების მთავარი საშუალება ეროვნული ინტერესების კონცეფციაა.[26]

3. პირადი ინტერესები არის ადამიანური არსების გამომხატველი ფაქტი. ყველა ადამიანის პირადი ინტერესების მინიმუმი არის თვითგადარჩენა და უსაფრთხოება. პოლიტიკა არის არენა, სადაც ეს ინტერესები გამოიხატება და ეს ინტერესები აუცილებლად ერთმანეთს შეეჯახება რაც ადრე თუ გვიან გამოიწვევს კონფლიქტს. საერთაშორისო პოლიტიკაც ასევე არის სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების არენა. სახელმწიფოთა ინტერესები კი იცვლება დროში და გარემოში. რეალიზმი არის დოქტრინა, რომელიც რეაგირებას ახდენს ცვალებად პოლიტიკურ რეალობაზე.[27]

4. საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკა არის პოლიტიკური და სიტუაციური ეთიკა, რაც ძალზედ განსხვავდება პირადი მორალისაგან. პოლიტიკურ ლიდერს არ აქვს თავისუფლება მოიქცეს მორალურ პრინციპებზე დაყრდნობით რიგითი მოქალაქისგან განსხვავებით, რადგან იგი პასუხისმგებელია ხალხის წინაშე და მის ხელშია მათი უსაფრთხოება და

[25] აკობია, ეკა. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006. გვ. 21.
[26] იქვე, გვ. 21.
[27] იქვე, გვ. 21.

კეთილდღეობა. შესაძლებელი შედეგებიდან ყველაზე მომგებიანის შერჩევა პოლიტიკოსის უმაღლესი მიღწევაა.[28]

5. რეალიზმი მიიჩნევს, რომ არც ერთი ერის და სახელმწიფოს ზნეობრივი მიზნები არ შეიძლება მივიჩნიოთ საყოველთაო ზნეობრივ კანონებად (თვით ისეთი დემოკრატიული ერისაც კი, როგორიც არის აშშ) და არ შეიძლება ისინი ძალის გამოყენებით დაკისრებული იქნეს სხვა სახელმწიფოზე. რეალისტები გამოდიან ამის საწინააღმდეგოდ, რადგან ეს საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას. შესაძლებელია, რომ რაღაც მომენტში ძალით დაკისრებულმა იდეოლოგიამ საპირისპირო შედეგი გამოიღოს და თვით "ჯვაროსან" ქვეყანას საფრთხე შეექმნას[29].

6. პოლიტიკოსის უმაღლესი ზნეობა და მორალი არის მისი ქვეყნის ინტერესები[30].

ნეორეალიზმი, რომელსაც სტრუქტურულ რეალიზმსაც უწოდებენ, საერთაშორისო სისტემის ანარქიულ სტრუქტურაზე ამახვილებს ყურადღებას. ამ მიდგომის მიხედვით, საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა იწვევს კონკურენციასა და კონფლიქტს ქვეყნებს შორის. ანარქიულ სისტემაში სახელმწიფოებს შეუძლიათ ერთმანეთთან ითანამშრომლონ, თუმცა ამას ორი მიზეზი უშლის ხელს: ღალატის საშიშროება და ფარდობითი მოგება.[31]

ჯონ მერშაიმერმა თავის ნაშრომში (The False Promise of International Institutions, 1994-1995) შემოგვთავაზა რეალიზმის დახასიათება და ასევე ამ თეორიის მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი.[32] პირველი მოსაზრების მიხედვით საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, რაც იმას ნიშნავს რომ სისტემა დამოუკიდებელი ერთეულებისაგან შედგება; მეორე მოსაზრების

---

[28] იქვე, გვ. 21.
[29]აკობია, ეკა. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006. გვ. 21.
[30] იქვე, გვ. 21.
[31] იქვე, გვ. 23.
[32] იქვე, გვ. 22.

მიხედვით სახელმწიფოებს ბუნებრივად თანდაყვებათ აგრესიის იარაღი, რაც შეიძლება ერთმანეთის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული; მესამე - სახელმწიფოები არასდროს არიან არ არიან დარწმუნებულები იმაში თუ რა განზრახვა შეიძლება ამოძრავებდეს სხვა სახელმწიფოს; მეოთხე - სახელმწიფოების მამოძრავებელი მოტივი თვითგადარჩენაა; მეხუთე მოსაზრების მიხედვით, სახელმწიფოები ფიქრობენ სტრატეგიულად საერთაშორისო სისტემაში გადასარჩენად.[33]

საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლის სხვადასხვა თეორიის მიხედვით დგინდება, რომ საერთაშორისო ანარქიული სისტემა კონფლიქტური ბუნებისაა. რეალიზმის სკოლის წიაღში აღმოცენებული ძალთა ბალანსის თეორია ერთ-ერთ ძირითადი მიმართულებაა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სხვადასხვა პერიოდში ძალთა გადანაწილების ძირითადი თავისებურებების დადგენა. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისთვის ძალთა ბალანსის პრინციპები საკმაოდ ცნობილი მოვლენაა, რადგანაც იგი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ბევრჯერ გამოვლინდა, განსაკუთრებით ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის ეპოქაში.

დარგის სპეციალისტები ხსენებულ თეორიას განსხვავებულად აღიქვამენ და განმარტავენ, რის გამოც ძალთა ბალანსის თეორიის უნიფიცირებული განსაზღვრება არ არსებობს. თუმცა არსებობს რამდენიმე განმარტება, რომელიც საკმაოდ კარგად გადმოსცემს ძალთა ბალანსის ძირითად შინაარსს. შვეიცარიელი იურისტისა და დიპლომატის ემერიხ დე ვატელის (Emer de Vattel) მიხედვით: „საქმის ვითარება, როდესაც არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია აბსოლუტური უპირატესობის ქონა და სხვებზე მბრძანებლობა“.[34]

---

[33] აკობია, ეკა. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006. გვ. 22.

[34] პიერ დე სენარკლენი და იოან არიფენი. საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები. გადათარგმნილია ნანა ცქიტიშვილის მიერ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2014. გვ. 38.

ინგლისელი ისტორიკოსის არნოლდ ტოინბის (Arnold Toynbee) განმარტებით: „ძალთა ბალანსი არის პოლიტიკური დინამიკის სისტემა, რომელიც თამაშში შედის ყველგან, სადაც საზოგადოება (ამ შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოება) გაყოფილია რამდენიმე ლოკალურ სახელმწიფოებად“.[35]

საერთაშორისო ურთიერთობების ქართველი სპეციალისტი ალექსანდრე რონდელი ძალთა ბალანსის საკმაოდ შინაარსიან და სიღრმისეულ განმარტებას გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც: „ძალთა წონასწორობის კონცეფცია გულისხმობს ისეთი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში ან გლობალურ მასშტაბში (პირველ ყოვლისა, სამხედრო ძალთა) წონასწორობის დამყარებას და შენარჩუნებას“.[36]

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები ძალთა ბალანსის ფუნქციურ ასპექტებზეც ამახვილებენ ყურადღებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ჰედლი ბულის (Hedley Bull), ჯეიმს დოგერტის (James Dougherty) და რობერტ პფალცგრაფის (Robert Pfaltzgraff) შეხედულებები. მკვლევართა მიერ ძალთა ბალანსის ფუნქციებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების მოკლე ანალიზის მიხედვით ძალთა ბალანსის ფუნქციებია: საყოველთაო ჰეგემონობის თავიდან არიდება, საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობის შენარჩუნება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.[37]

გეოპოლიტიკური კონფიგურაციით ნაკარნახები ძალთა ბალანსის პირობებში ძლიერი აქტორები ერთმანეთის ბალანსითა და შეზღუდვით სტატუს კვოს შენარჩუნებას ახერხებენ, რაც ცხადია, რომ ახალი წესრიგის დამყარებას გარკვეულწილად აფერხებს.

[35] მაისაია, ვახტანგ. შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2003. გვ. 21.
[36] რონდელი, ალექსანდრე. საერთაშორისო ურთიერთობები. მესამე გამოცემა. თბილისი: ნეკერი, 2006. გვ. 144.
[37] იქვე, გვ. 147.

ახლო აღმოსავლეთი თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო ყოველთვის იყო დიდი სახელმწიფოს დაინტერესების ობიექტი და ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ რეგიონზე თავის გავლენების გაზრდასა და გაფრთოებას. ნაშრომში ძალთა ბალანსის კონტექსტში თემის განხილვა რელევანტური და ოპტიმალურიცაა, ვინაიდან იგი კარგად ასახავს რეგიონში გლობალური აქტორების ძალთა გადანაწილების სურათს.

ქურთების საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ პოზიციას ავითარებს კვანტური რელატივისტური ნოოლოგია. იგი წარმოადგენს დ. უზნაძის განწყობის თეორიის გაგრძელების შედეგად მიღებულ ახალ თეორიას, რომელიც ქართველი მეცნიერის ემზარ ხვიჩიას მიერ იქნა შექმნილი. განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის აღმოჩენის შედეგად მიღებულ ფსიქიკურ სტიქიებს ოთხი განსხვავებული მნიშვნელობის მიღება შეუძლია; მათ დასახასიათებლად ავტორმა შემოიღო მოსახერხებელი ტერმინები: ფორმის მანია, ძლევის მანია, ცხრომის მანია და მართვის მანია.[38] ხსენებულ ოთხ მანიას მოქმედების ასპქტები ეწოდებათ და ისინი ოთხი ურთიერთგანსხვავებული ფსიქიკური კომპლექსის არსებობის საფუძველს წარმოადგენენ. მოქმედების ოთხი ასპექტის არსებობის საფუძველზე ავტორმა პიროვნების, ერისა და ცივილიზაციის ტერმინების განმარტება და სრულყოფა მოახერხა, ხოლო, ამავდროულად, პიროვნება ერი და ცივილიზაცია ახალი ტერმინებით ჩაანაცვლა (პიროვნება - ნოოიდი; ერი - ნოოსი; ცივილიზაცია - ნოოცენოზი).

მოქმედების ოთხი ასპექტის აღმოჩენის შედეგად:

- არსებობს ოთხი ფსიქოტიპის პიროვნება (მართვის მანიის, ფორმის მანიის, ძლევის მანიისა და ცხრომის მანიის პიროვნებები, იგივე ნოოიდები);

[38] მანიის გამოყენება ფსიქიკური სტიქიების დომინანტურობის ხაზგასმას ემსახურება.

- ოთხი ფსიქოტიპის კლასის ერი (მართვის მანიის კლასის ერი - შუმერები, პელაზგები, ქართველები, შოტლანდიელები, ირლანდიელები, ბასკები, კელტები და სხვა; ფორმის მანიის კლასის ერი - ეგვიპტელები, ბიზანტიელები, ჩინელები, სომხები, გერმანელები, უკრაინელები, მონღოლები და სხვა; ძლევის მანიის კლასის ერი - აქადელები, რომაელები, რუსები, სერბები, ქურთები და ცხრომის მანიის კლასის ერი - ძველი ბერძნები, ინგლისელები, ფრანგები, ამერიკელები და სხვა ინგლისურენოვანი სამყარო);

ცივილიზაცია ფსიქიკურ სტიქიათა აქტუალობის ეტაპების მონაცვლეობის პროცესის „ცივილიზაციურ ფაზათა“ ცვლის რეალიზაციაა.[39] ცივილიზაციის ანუ ნოოცენოზის სტრუქტურა, მისი მდგომარეობების ცვლის ხასიათი განსაზღვრულია ფსიქიკურ სტიქიათა ურთიერთმიმართების სინქრონული და დიაქრონიული ასპექტებით.[40] ამის განხილვას აადვილებს ლოგიკური აპარატი, რომელსაც „ციკლური ლოგიკა ეწოდება“, რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის პროცესები ციკლური ლოგიკის კანონებს ექვემდებარება. ამ აპარატის გამოყენებით შესაძლებელია ფაზების ცვლის შედეგად პოლიტიკური პროცესების გამომწვევი მიზეზების ანალიზი და დროის გარკვეულ მონაკვეთში მოსალოდნელი ტენდენციების პროგნოზირებაც. ფაზების დროის ხანგრძლივობა საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფაზები 20 წლიანი დროითი მონაკვეთით ენაცვლებიან ერთმანეთს. მაგალითად 2008-2027 წლებში ფორმის მანიის ფაზაა.[41]

---

[39] ხვიჩია, ემზარ. ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო. თბილისი, 2012. გვ. 27.

[40] იქვე, გვ. 27.

[41] ხვიჩია, ემზარ. ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. თბილისი: ახალი პარადიგმა, 2020. გვ. 218-242. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/327937/1/Noologia.pdf (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

ასევე, თეორიის მიხედვით დგინდება, რომ არსებობს პიროვნებისა და ერის განვითარების საფეხურები:

- პირველი - ტოტემური საფეხური;
- მეორე - მითოსური საფეხური;
- მესამე - რელიგიური საფეხური;
- მეოთხე - მეცნიერული საფეხური.

კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის მიხედვით ერი ერთი ისტორიული აქტი და განწყობის კომპონენტებით გაერთიანებული ჯაჭვია, რომლის ჩამოყალიბება წინა ისტორიული იდენტიფიკაციის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. თვისებრივი ტიპის ერთა კლასიფიკაცია და მათი შესაბამისი პარამეტრები მკაფიოდ არის არის წარმოჩენილი ე. ხვიჩიას მიერ შექმნილ შრომებში[42] და იგი კარგი გზამკვლევია იმისთვის, რომ გავიგოთ ერების მსოფლმხედველობითი და ურთიერთობის პრინციპები, ასევე ძირითადი სოციალური და პოლიტიკური კატეგორიები, საზოგადოებრივ ერთობად შეკავშირების პრინციპები და სხვა.[43]

## 1.2. ქურთების პოლიტიკური და სოციალური განვითარების ეტაპები

ქურთები მსოფლიოს უძველეს ხალხთა რიცხვს მიეკუთვნებიან და ისინი საუკუნეებია ცხოვრობენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს ქურთისტანის სახელითაა ცნობილი. თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი წარმოშობის საკითხი

[42] შრომები: ემზარ ხვიჩია, ერი როგორც ფილოსოფიური კატეგორია და ონტოლოგიურ-გნოსეოლოგიური პრინციპი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997; ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია. გამომცემლობა ნეკერი, 2004; ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო. დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2012; ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა - საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. გამომცემლობა ახალი პარადიგმა, 2020.

[43] ხვიჩია, ემზარ. ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. თბილისი: ახალი პარადიგმა, 2020. გვ. 218-242. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/327937/1/Noologia.pdf (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

ჯერ კიდევ ბუნდოვანია. მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია, რომ ისინი ირანული წარმოშობის არიან. შუმერული ისტორიული წყაროების მიხედვით ტიგროსის დინების ქვედა ნაწილი მრავალრიცხოვანი ტომებით ოდითგანვე იყო დასახლებული. ასურულ წყაროებში ეს ტომები გუთის, ქუთის ან ქურთის სახელწოდებითაა მოხსენიებული.[44]

ქურთები ოდითგანვე ბრძოლისა და წინააღმდეგობების გაწევის გასაოცარი უნარითა და სიმტკიცით გამოირჩეოდნენ. ისინი ებრძოდნენ შუმერებსა და ხეთებსა. აქემენიანთა ირანში ქურთები სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ და ქსერქსემ და კიროსმა სწორედ ქურთი მებრძოლების დახმარებით გაანადგურეს ნინევია და ბაბილონი.[45]

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ქურთები VII საუკუნეში გამოჩნდნენ და სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო დამოუკიდებელი და ნახევრად დამოუკიდებელი ქურთული სამთავროებისა და დინასტიების ჩამოყალიბება. VII-XII საუკუნეებში რეგიონში რამდენიმე დამოუკიდებელი ქურთული დინასტია და სამთავრო აღმოცენდა. ქურთი ისტორიკოსი ამინ ზაქი რეგიონში 14 ქურთულ დინასტიას ასახელებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია მარვანიანთა, აიუბინათა, რავადიანთა და შადადიანთა დინასტიები.[46]

დიარბაქრის (თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინცია) ტერიტორიაზე მარვანიანთა დინასტიის დამაარსებელი ქურთული ტომის ბელადი იბნ ბაზი იყო. მისი ნახევარსაუკუნოვანი მმართველობის პერიოდი მარვანიანთა ქურთული სამთავროს აღორძინებისა და ძლიერების ეპოქად მიიჩნევა. იგი აქტიურ რეგიონულ პოლიტიკას აწარმოებდა და აგრესიისაგან თავდაცვის მიზნით ცდილობდა მეგობრული ურთიერთობები დაემყარებინა მეზობელ სახელმწიფოებთან. მარვანინათა ქურთული

[44] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 7.
[45] იქვე, გვ. 7.
[46] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 10.

სამთავროს კარგი ურთიერთობა ჰქონდა იმ დროისათვის მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოსთან ბიზანტიასთან და ჩრდილოეთ სირიაში გაბატონებულ ფატიმიანებთან. ახლო აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკების გამოჩენამ შეცვალა რეგიონში მანამდე არსებული მოცემულობა. მალიქ-შაჰის პოლიტიკის შედეგად 1085 წელს მარვანინათა ქურთულმა სამთავრომ არსებობა შეწყვიტა და იგი თურქ-სელჩუკთა იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ასევე ხან მოკლე აღმოჩნდა სომხეთის აღმოსავლეთ ტერიტორიებზე და რანში შადადიანდების, ხოლო აზერბაიჯანში გაბატონებული რავადიანთა ქურთული დინასტიების მმართველობაც, რადგანაც მარვანიანთა დინასტიის მსგავსად ისინიც თურქ-სელჩუკების სახელმწიფომ გაანადგურა. ანისის ტერიტორიაზე გაბატონებულ შადადიანთა მეორე შტომ არსებობა 1199 წელს შეწყვიტა, როდესაც თამარ მეფემ იგი საქართველოს სამეფოს შემოუერთა.

ქურთულ დინასტიებს შორის ყველაზე სახელგანთქმულად აიუბინათა სამეფო დინასტია არის მიჩნეული. დინასტიის დაარსება შადი იბნ მარვანის სახელს უკავშირდება. აიუბინათა დინასტიამ თავის ძლიერებას სალაჰ ად-დინ იუსუფის (1138-1193), იგივე სალადინის მმართველობის პერიოდში მიაღწია და სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი  ახალი და ძლევამოსილი ქურთული დინასტიის მმართველობას ახლო აღმოსავლეთში. იერუსალიმის დაპყრობის (1187) შემდეგ სალადინმა გააძევა ჯვაროსნები თავისი სამფლობელოებიდან, თუმცა მანამდე საღვთო ომის საბაბით მან ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა ქურთები, თურქები და არაბები. სალადინმა აიუბინათა ძლიერ სამეფოს ჩაუყარა საფუძველი, თუმცა, მიუხედავად ამისა, მასაც არ შეუქმნია ქურთული სახელმწიფო. 1193 წელს სალადინის გარდაცვალების შემდეგ დიარბაქრში აიუბიანების ორი შტო გაბატონდა. დიარბაქრის ტერიტორიაზე შემდეგ საუკუნეებშიც არსებობდნენ ქურთული დინასტიები, თუმცა ისინი თურქმანული ტომების პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდნენ. რეგიონში არსებული ომების გამო ინალიანთა, ართუკიანთა, ისირდის და სხვა ქურთულმა დინასტიებმა  ვასალობა აღიარეს და სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

XIII საუკუნის პირველ ნახევარში ახლო აღმოსავლეთში მონღოლთა იმპერიის სახით ახალი პოლიტიკური აქტორი გამოჩნდა, რომელმაც რეგიონში მანამდე არსებული თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო ჩაანაცვლა. 1258 წელს ჰულაგუ-ყაენმა აიღო ბაღდადი, რის შედეგადაც არაბთა სახალიფომ და თავისთავად მმართველმა აბასიანთა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა. ჰულაგუმ დაიმორჩილა ანატოლია, ერაყი, ირანი და ამიერკავკასია და ამით მან რეგიონში ილხანათა იმპერიას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც თითქმის ერთი საუკუნე არსებობდა. მას შემდეგ, რაც ილხანთა იპერიის დაშლის პროცესი დაიწყო მის ტერიტორიაზე ჯალაირიელთა და ჩუფანიანთა ადგილობრივი დინასტიები აღმოცენდნენ. ერაყსა და ქურთისტანში ჯალაირიელები გაბატონდნენ, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ ყარა-ყოინლუსა და თემურ ლენგის ლაშქრობებს.

ქურთების და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ეს პერიოდი კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის პერსპექტივით შემდეგნაირად შეიძლება გაანალიზდეს. ქურთული სამთავროების წარმოშობა და ჩამოყალიბება მათი კონსოლიდაციის შესაძლებლობას იძლეოდა, თუმცა თურქ-სელჩუკების გამოჩენამ ეს პროცესი გააჩერა. ქურთებმა, როგორც ძლევის მანიის კლასის ერმა, ძლევის მანიის ფაზას (800-1150 წლები) დაგვიანებულად უპასუხეს, რის გამოც თურქ-სელჩუკებმა, ასევე მეორე ძლევის მანიის კლასის ერმა, მოახერხეს ინიციატივის აღება. ძლევის მანიის დასრულების შემდეგ ახალ ცხრომის მანიის ფაზაში (1150-1500 წლები) თურქ-სელჩუკებს მოუწიათ ინიციატივის დათმობა, რის შედეგადაც ქურთები ისევ გამოვიდნენ ასპარეზზე. მიუხედავად ამისა, მათი გამოჩენა პოლიტიკურ სარბიელზე მცირე ხნიანი აღმოჩნდა მონღოლთა იმპერიის დაპყრობითი ომების გამო, რომელიც ასევე ძლევის მანიის კლასის ერს განეკუთვნება.

ყარა-ყოინლუმ, რომლის ძალაუფლება სამხრეთ ირანზე და ომანზე ვრცელდებოდა, მოისურვა ჩრდილოეთ ქურთისტანის ტერიტორიის შემოერთება, რის გამოც იგი დაუპირისპირდა აყ-ყოინლუს სახელმწიფოს. ომი

ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო ყარა-ყოინლუმ, რომელმაც თავის დროზე ილხანთა იმპერია გაანადგურა, თავისი არსებობა შეწყვიტა.

ოსმალეთის იმპერიის გაძლიერება და საზღვრების გაფართოება აყ-ყოინლუს სახელმწიფოს დასუსტებას იწვევდა. 1473 წელს უზუნ ჰასანის მარცხი ოსმალთა იმპერიასთან გარდამტეხი აღმოჩნდა აყ-ყონლუსათვის, თუმცა ამ უკანასკნელის განადგურება ირანის სეფიანთა დინასტიის დამაარსებელს უკავშირდება. 1508 წელს, ისმაილ I-ის მიერ  ბაღდადის აღების შედეგად, აყ-ყოინლუს სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკიდან საერთოდ გაქრა. X-XV საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთში კიდევ რამდენიმე ქურთული პოლიტიკური ერთეული არსებობდა. რეგიონში მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავათ ლურისტანში გაბატონებულ ფაზლუილების და ჰასანვეჰიანების დინასტიებს, რომლებიც იმპერიებს შორის გამართულ ბრძოლებს შედეგად გაქრნენ პოლიტიკური ასპარეზიდან.

XVI საუკუნის დასაწყისიდან ახლო აღმოსავლეთში ფაქტობრივად ორი უძლიერესი იმპერია გაბატონდა. ირანისა და ოსმალეთის იმპერიებმა გადაინაწილეს როგორც ქურთისტანი, ასევე რეგიონის სხვა მიმდებარე ტერიტორიები. მიუხედავად ირანისა და ოსმალეთის აქტიური მცდელობისა ქურთები ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროების სახით მაინც განაგრძობდნენ არსებობას და ისინი შაჰისა და სულთნის ძალაუფლებას მხოლოდ ნომინალურად აღიარებდნენ. XVI საუკუნეში ოსმალეთის ტერიტორიაზე ქურთების რამდენიმე მსხვილი სამთავრო და საამირო არსებობდა (ბოჰთანი, ჰაკარი, ბაჰდინანი, სორანი და ბაბანი), ხოლო ირანში, მხოლოდ, ერთი, არდელანის ქურთული სამთავრო იყო წარმოდგენილი.[47]

XVI საუკუნემ გარკვეულწილად განსაზღვრა ქურთების მომავალი და მათი შემდგომი ბედი.[48] მიუხედავად იმისა, რომ ქურთული სამთავროები

[47] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 20.
[48] იქვე, გვ. 20.

არსებობდნენ ოსმალეთი და ირანი მათ იურიდიულად არ ცნობდნენ. სამემკვიდრო უფლება ქურთული დინასტიებს ირანის შაჰისა და ოსმალეთის სულთნისაგან სიგელებით უნდა მიეღოთ, რაც ფაქტობრივად ქურთების ადგილობრივი მმართველი დინასტიების უფლებების აღიარებასა და ცნობას ნიშნავდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქურთული სამთავროები თუ საამიროები სოციალური და ეკონომიკური განვითარების მხრივ სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო გეოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივი პირობებით, ხოლო, მეორე მხრივ კი, დამოკიდებული იყო ამირას ძალაუფლებასა და პიროვნებაზე. ქურთული ტომების, სამთავროებისა თუ საამიროების განსხვავებულობა და გაბნეულობა ართულებდა და ბლოკავდა მტრების წინააღმდეგ მათ კოორდინაციასა და გაერთიანებას.

ირანში სეფიანთა დინასტიის და თურქეთში ოსმალთა პოზიციების განმტკიცების შემდეგ, ორივე იმპერია ამიერკავკასიაში, ქურთისტანსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ერაყში თავიანთი გავლენების გავრცელებით დაინტერესდა. XVI საუკუნეში სეფიანთა ირანმა მოახერხა სომხეთისა და ქურთისტანის დაპყრობა. ირანის შაჰმა ისმაილმა ქურთების მიმართ უზუნ ჰასანის პოლიტიკა გააგრძელა, რაც ქურთული ტომების ბელადების ჩანაცვლებით გამოიხატებოდა. შაჰისა და სულთნის პოლიტიკა ქურთების მიმართ ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. სელიმის პოლიტიკა ქურთი ამირების ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვებაზე იყო ორიენტირებული, რის გამოც სულთანი მათ სხვადასხვა სიგელებსა და მემკვიდრეობით მიღებულ სამფლობელოებს უდასტურებდა. საპირისპირო პოლიტიკას აწარმოებდა ისმაილი ქურთების მიმართ, რაც ქურთების განაწყენებას იწვევდა და, რის გამოც, ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთები, ხშირად, ოსმალურ ვექტორს ირჩევდნენ. ქურთებისადმი ოსმალეთის ამგვარ დამოკიდებულებას

თავისი მიზეზი ჰქონდა. სულთანი კარგად აცნობიერებდა მათ ძალის მნიშვნელობას ირანის წინააღმდეგ დაგეგმილ კამპანიაში.

ირან-ოსმალეთს შორის 1514 წელს ჩალდირანის ველზე გამართულ ომში ირანი დამარცხდა, რის შედეგადაც მან დაკარგა ადრინდელი გავლენები ქურთებზე. ოსმალეთ-ირანის ომის დასრულებიდან ერთი წლის შედეგ სულთანმა ქურთებთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც ქურთმა მმართველებმა დამოუკიდებლობა და სამფლობელოებზე მემკვიდრეობითი უფლებები შეინარჩუნეს. თავს მხრივ, ქურთები ოსმალეთს უნდა დახმარებოდა საგარეო ომებში, რასაც ისინი თითქმის ერთ-ნახევარი საუკუნე პირნათლად ასრულებდნენ. ქურთი ამირებისა და მებრძოლების დახმარებით ოსმალთა იმპერიამ შემოიერთა ირანული გავლენის ქვეშ არსებული ტერიტორიები. სელიმის ავტორიტეტი ქურთებში გაიზარდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავდა სელიმის კარგ დამოკიდებულებას მათ მიმართ. სელიმის მიზანი ქურთების თურქეთის მხარეზე გადმობირება და ტერიტორიული ექსპანსია იყო. თურქეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკისთვის ქურთული ძალა მნიშვნელოვანი კონტრიბუციას წარმოადგენდა.

ნახევრადავტონომიური ქურთული სამთავროებისა და მათი მმართველების პარტიკულარიზმი თურქეთისთვის თავსატეხად იყო ქცეული და ეს ფაქტი სელიმის პოლიტიკურ ინტერესებში ნამდვილად არ შედიოდა. ამის აღსაკვეთად მან ადმინისტრაციული რეფორმების გატარება დაიწყო, თუმცა თავისი გეგმები ბოლომდე მაინც ვერ განახორციელა. სელიმის გათვლებით ქურთული სამთავროებისა და საამიროების სანჯაყებად დაყოფა შეასუსტებდა მათ პარტიკულარიზმს და იმედოვნებდა, რომ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმების შედეგად იგი დაასუსტებდა და ძირს გამოუთხრიდა ქურთისტანს. ახალი რეფორმის თანახმად დიარბაქრი დაიყო 19 სანჯაყად. იმ ტერიტორიებზე სადაც სელიმმა ადმინისტრაციული რეფორმა განახორციელა ქურთებმა მაინც შეინარჩუნეს გარკვეული ავტონომიურობა და

ცენტრალური ხელისუფლებისა და სულთნის ძალაუფლება მხოლოდ მოჩვენებითი იყო.

სელიმის სიკვდილის შემდეგ სულთნის ტახტი სულეიმან I-მა (1520-1566) დაიკავა, რომლის დროსაც ქურთისტანში ოსმალთა ძალაუფლება კიდევ უფრო განმტკიცდა. სულეიმანი კარგად აცნობიერებდა ქურთული ძალის მნიშვნელობას და სწორედ ამიტომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქურთისტანს. სულეიმანი ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა და მისი წინამორბედის მსგავსად მასაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქურთების მნიშვნელობა საგარეო ომებში. სულეიმანი და ოსმალეთის იმპერიის სხვა მმართველები ქურთების მიმართ „დაყავი და იბატონეს" პრინციპს ხშირად იყენებდნენ. ერთი მხრივ, ისინი ამით ქურთების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას აბალანსებდნენ, ხოლო მეორე მხრივ, თავიანთ გავლენას აძლიერებდნენ ქურთისტანში. ამ მიზნით, ხშირად ოსმალეთი განზრახ აღვივებდა რელიგიურ დაპირისპირებას ისლამსა და ეზიდ ქურთ მმართველებს შორის და ამით ცდილობდა თავისი ძალაუფლება და კონტროლი განემტკიცებინა ქურთისტანზე.

ირანის ტერიტორიაზე ქურთები უკმაყოფილონი იყვნენ შაჰის პოლიტიკით, რამაც ოსმალეთთან მათი დაახლოება გამოიწვია. ეს ფაქტი ირან-ოსმალეთის ახალი ომი დაწყების საბაბად იქცა. 1555 წელს, ომის დასრულების შემდეგ დაიდო ამასიის ზავი, რომლითაც ირანმა და ოსმალეთმა ქურთისტანი ოფიციალურად გადაინაწილეს პირველად. თუმცა ირანსა და ოსმალეთს შორის ქურთისტანისთვის ბრძოლა საბოლოოდ ზოჰაბის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა (1639 წელი), რომლის თანახმადაც მხარეებმა ოფიციალურად დაადგინეს თავიანთი საზღვრები ქურთისტანში.[49]

---

[49] ტაიარი, მურთაზ. ირან-ოსმალეთის კონფლიქტები და სასაზღვრო გამიჯვნის პირველი ცდები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, N3. თბილისი: 1982. გვ. 68-69.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთსა და ირანში დაწყებულმა შიდა პოლიტიკურმა კრიზისებმა ქურთების, არაბების და სხვა ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც XVII საუკუნეშიც გაგრძელდა. ქურთებსა და არაბებს შორის თურქების წინააღმდეგ კონსოლიდაციის არარსებობისა და უთანხმოების გამო ამბოხი უშედეგოდ დასრულდა. ქურთების განმათავისუფლებელი ბრძოლები შემდეგ საუკუნეებშიც გაგრძელდა. XVIII საუკუნეში ავსტრიასთან და რუსეთთან ოსმალეთის მარცხმა ქვეყანის შიგნით სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს ჩაუყარა საფუძველი, რაც კიდევ უფრო გაამწვავა დაპყრობილი ხალხების აჯანყებებმა. იმავე საუკუნეში კრიზისში იმყოფებოდა ირანის იმპერიაც. ყოველივე ამან შექმნა ხელსაყრელი პირობები ქურთული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელახლა დასაწყებად, რომელსაც ევროპაში დაწყებული რევოლუციების ექო ამძაფრებდა და მათ განმათავისუფლებელ ბრძოლას კიდევ უფრო ოპტიმისტურს ხდიდა.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის ექსპანსიამ სამხრეთით იგი თურქეთისა და ირანის მეზობელ სახელმწიფოდა აქცია. სწორედ ამ პერიოდიდან იზრდება რუსეთის დაინტერესება ქურთების მიმართ. რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომებში რუსეთი ცდილობდა ქურთების ნეიტრალიტეტის მოპოვებას, თუმცა ქურთები სკეპტიკურად იყვნენ რუსეთის სიძლიერის მიმართ განწყობილნი. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქურთების კომპაქტური დასახლებები მას შემდეგ გაჩნდა, როდესაც გულისტანის ზავით (1813 წ.) და თურქმანჩაის ხელშეკრულებით (1828 წ.) რუსეთმა ირანისგან მიიღო ყარაბაღისა და ერევნის სახანოები.

რუსეთის-თურქეთ ომის (1828-1829 წ.წ.) დროს სამხრეთ ქურთისტანს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო აღმოსავლეთ თურქეთის ვასალურმა სამთავროებმა ნეიტრალიტეტი აირჩიეს. 1829 წელს რუსეთმა დაიპყრო ერზრუმი, რასაც წინ უძღოდა ქურთების გავლენიან მმართველებთან მოლაპარაკება რუსეთის მხარეზე გადასვლის შესახებ. თუმცა

ქურთებმა იმის შიშით, რომ რუსეთი საკმარისად ძლიერი არ იქნებოდა და ოსმალეთი მალევე დაიბრუნებდა თავის ტერიტორიას, უარი განაცხადეს რუსეთთან დაახლოებაზე.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ოსმალეთი კვლავ პოლიტიკურ კრიზისში აღმოჩნდა, რაც საბერძნეთსა და რუსეთთან მარცხით იყო განპირობებული. ოსმალეთის განცდილი მარცხის შემდეგ ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალი აჯანყდა. დასუსტებული თურქული ჯარი რამდენიმეჯერ დამარცხდა. ფაშას აჯანყების პარალელურად ოსმალეთის ქურთისტანში ქურთებმა დაიწყეს ამბოხი, რომლის ცენტრად ამჯერად რევანდუზის მთიანი მხარე იქცა. აჯანყების მიზეზი თურქების მიერ ქურთი ხალხის ფართო მასების უმოწყალო ექსპლუატაცია იყო.[50] აჯნყებამ მხოლოდ ოსმალეთი როდი მოიცვა, მან ირანშიც გადაინაცვლა, რადგანაც 1838-1837 წლებში რევანდუზელი ქურთული მოძრაობის მთავარი მიზანი, როგორც ოსმალეთის, ასევე ირანის ხელისუფლების წინააღმდეგაც იყო მიმართული. აჯანყება ქურთების პოზიციების გაძლიერებასა და ქურთისტანის შექმნას ემსახურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი და ირანი რეგიონში ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული სახელმწიფო იყო მათ ქურთებთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია გააჩნდათ. მათმა კოალიციამ რევანდუზელი ქურთების ამბოხი ჩაახშო.

აჯანყებული რევანდუზელი ქურთების მარცხის მიუხედავად ქურთ ბელადებსა და ფეოდალებში დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის სულისკვეთება არ განელებულა, პირიქით, იგი კიდევ უფრო გამძაფრდა შემდეგ წლებშიც. ქურთების შემდეგი ანტიოსმალური გამოსვლები „იეზდენშირის აჯანყების“ სახელწოდებითაა ცნობილი. აჯანყება 1854 წელს დაიწყო და მან მნიშვნელოვნად დაასუსტა ოსმალეთი, რამაც რუსეთს შეუქმნა ხელსაყრელი პირობები ოსმალეთის აზიურ ნაწილში თავისი შემდგომი

---

[50] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 65.

სამხედრო წარმატებისათვის. ასეთი ვითარება, ამავდროულად, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა რუსეთისა და ქურთების დაახლოებისათვის, თუმცა ინგლისის დიპლომატიის შედეგად მათი დაახლოება მხოლოდ მცდელობად დარჩა. ინგლისელმა დიპლომატებმა მოლაპარაკებებზე ქურთებს შესთავაზეს წინადადება შეეწყვიტათ გამოსვლები. ასევე არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ინგლისმა მოისყიდა რამდენიმე ამბოხებული. ამის შემდეგ, აჯანყების ჩახშობა დიდი სიძნელეებთან აღარ იყო დაკავშირებული.

ქურთების შემდეგი აჯანყება უკავშირდება შეიხ ობეიდულას სახელს. იგი ქურთისტანის ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალი და ამავდროულად რელიგიური ლიდერი იყო, რის გამოც ის დიდი ავტორიტეტით გამოირჩეოდა ქურთებს შორის. ობეიდულა იმედოვნებდა, რომ ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად რუსეთისა და ინგლისის მხარდაჭერას მოიპოვებდა და რეგიონში ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ტერიტორიების საზღვრებთან დიდ ქურთულ სახელმწიფოს შექმნიდა, რომლის დედაქალაქადაც მოსული გამოცხადდებოდა. 1880 წელს ობეიდულას ხელმძღვანელობით დაწყებულ ანტიოსმალური აჯანყება, ერთი მხრივ, მძიმე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფონით, ხოლო, მეორე მხრივ, ქურთული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილით იყო გამოწვეული. ობეიდულას სახელწოდებით ცნობილი აჯანყება ქურთებისთვის მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტად არის მიჩნეული. აჯანყების დაწყებამდე ქურთული ტომების ბელადებმა და შეიხებმა შექმნეს „ქურთული ტომების ლიგა“. ნერში გამართული ყრილობა ფაქტობრივად ქურთული ტომების პოლიტიკური კავშირის შექმნის პირველი ცდა იყო (მენთეშაშვილი 1978).

აჯანყებით შეშფოთებული იყო თეირანი და იგი დიდი ინტერესით ადევნებდა ოსმალეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესების დინამიკას. ლიგამ მიიჩნია, რომ განმათავისუფლებელი აჯანყება ჯერ ირანში უნდა დაწყებულიყო, რადგანაც ვარაუდობდნენ, რომ მათ ადვილად დაამარცხებდნენ, ხოლო დომინოს პრინციპით ამბოხის ტალღა ოსმალეთში უნდა

გაგრძელებულიყო. აჯანყებულმა ქურთებმა მალევე შეძლეს ირანის საზღვრების გარღვევა. ირანმა 20 ათასიანი არმიის მობილიზება მოახერხა, რომელსაც ავსტრიელი ოფიცრები მეთაურობდნენ. რუსეთისა და ინგლისის დახმარებით ოსმალეთმა  მსხვილი სამხედრო შენაერთების მობილიზება მოახერხა. ურმიის მისადგომებთან ქურთები დამარცხდნენ და იძულებულნი გახდენ უკან დაეხიათ. ქურთების ეს გამოსვლაც უშედეგოდ დასრულდა.

ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მცდელობები, როგორც უკვე ზევით დავინახეთ, გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო წარმატებით ვერ განხორციელდა. ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მარცხს მკვლევრები და დარგის სპეციალისტები რამდენიმე მიზეზს უკავშირებენ:

- ქურთების სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე;
- რუსეთისა და ინგლისის დიპლომატია ქურთული მოძრაობის წინააღმდეგ;
- ქურთების არაორგანიზებულობა და სტიქიურობა;
- ცუდი შეიარაღება;
- არაერთგვაროვანი სოციალური შემადგენლობა;
- გვაროვნული და ტომობრივი დაპირისპირებები;
- მკაფიოდ განსაზღვრული სამოქმედო გეგმისა და მიზნების არარსებობა.

### 1.3. ქურთული საკითხის გენეზისი საერთაშორისო პოლიტიკაში

XIX საუკუნის ბოლო პერიოდში ოსმალეთის პოლიტიკამ ქურთების მიმართ გარკვეულწილად ცვლილებები განიცადა. თურქეთმა ადრინდელი მტრული დამოკიდებულება ნორმალიზაციის პოლიტიკით შეცვლა. ოსმალეთის ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქურთი ფეოდალებისა და გვაროვნულ-ტომობრივ ზედა ფენის წარმომადგენლების გადაბირების მიზანს ემსახურებოდათურქეთის მთავრობა ყველანაირად

ცდილობდა თავისი შერყეული მდგომარეობა გამოესწორებინა, რის გამოც იგი ქურთული ტომის ბელადებსა და შეიხებს თანამდებობებს, ჩინ-მედლებსა თუ სხვადასხვა საჩუქარს უძღვნიდა. თურქეთის მთავრობის ინიციატივით ქურთებისათვის სტამბოლსა და ბაღდადში 1892 წელს დაფუძნდა „ტომების სკოლები" (აშირეთ მექთებლერი"), რომლის მიზანი არსებული რეჟიმისათვის ახალგაზრდა ქურთი დიდებულების ლოიალური და კეთილგანწყობილი თაობის აღზრდა იყო.[51] თურქეთის მთავრობამ პარალელურად რეგულარული ცხენოსანთა ლაშქრების ჩამოყალიბება დაიწყო და ახლადშექმნილ ქურთულ კავალერიას აბდულჰამიდ II-ის პატივსაცემად „ჰამიდიე" ეწოდა. „ჰამიდიეს" ჩამოყალიბებითა და ქურთების ჩართვით სამხედრო სამსახურში თურქეთის მთავრობამ რამდენიმე მიზანი დაისახა:

- თურქეთის ადმინისტრაციის მკაცრი კონტროლის მეშვეობით ქურთების დამორჩილება;
- ქურთების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სწრაფვისათვის ბოლოს მოღება;
- ქურთების ეტაპობრივი ასიმილაცია;
- ქურთების გამოყენება საგარეო ომებში;
- ქურთების ცხენოსანი რაზმების გამოყენებით იმპერიის საზღვრებში არათურქული მოსახლეობის მოსალოდნელი გამოსვლების აღკვეთა.[52]

პირველ ეტაპზე, ჰამიდიეში ქურთული ტომების შესვლა წარმატებით წარიმართა. თურქეთის მთავრობა მათ იარაღით ამარაგებდა, ხოლო სამხედრო სწავლების კონტროლს გერმანული მისია ხელმძღვანელობდა. მიუხედავად ამისა, თურქეთისა და აბდულჰამიდ II-ის „ჰამიდიეს" სათავისოდ გამოყენების მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. ქურთულმა ტომებმა ჰამიდიეში

[51] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 91.

[52] მენთეშაშვილი, ა. ადმინისტრაციული წყობა და მმართველობის სისტემა ერაყში ინგლისთა ბატონობის პერიოდში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე 6 (27). თბილისი: მეცნიერება: 1965. გვ. 64.

გაწევრიანებაზე უარი განაცხადეს, ხოლო ზოგიერთი ტომის ბელადი ირანში გადასახლდა, რათა ამით ჰამიდიეში შესვლისთვის თავი აერიდებინა. ამის გამო, ჰამიდელთა სამხედრო შენაერთების სრულად დაკომპლექტება ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, ჰამიდიელთა სამხედრო შენაერთი მცირერიცხოვანი, ბრძოლისუნარიანობა დაქვეითებული და უდისციპლინო იყო, რაც შემდგომ ოსმალეთის მიერ წარმოებულ სამხედრო კამპანიებში ნათლად გამოვლინდა. ამავდროულად, თურქეთმა ვერ გათვალა ის საფრთხეები, რაც ჰამიდიეს შექმნას შეიძლება მოჰყოლოდა. თურქეთის მთავრობის მიერ ქურთებისათვის ბოძებულმა იარაღმა ისინი სასტიკ ძალად აქცია ოსმალეთში. ჰამიდელთა მიერ განხორციელებულმა თავდასხმებმა დააზარალა სომეხი და ასირიელი მშვიდობიანი მოქალაქეები, რაზეც თურქეთი თვალს ხუჭავდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ქურთების თვითნებობამ საფრთხეს შეუქმნა არ მხოლოდ ქრისტიანებს, არამედ თვით მუსლიმებსაც, თურქეთის ხელისუფლებამ მათთვის იარღის ჩამორთმევა გადაწყვიტა. რა თქმა უნდა, ისინი არ დაემორჩილნენ მთავრობის გადაწყვეტილებას და მათ წინააღმდეგობაც კი გაუწიეს, რამაც ქურთისტანში პოლიტიკური ვითარების გამწვავება გამოიწვია. 1892-1894 წლებში თურქეთის მთავრობის მიერ ქურთისტანსა და თურქეთის სომხეთში ორი კომისია გაიგზავნა. მოგვიანებით გაირკვა, რომ კომისიის მიზანი ქურთების მოქმედებების შეწყვეტას კი არ ემსახურებოდა, არამედ სომეხთა გამოსვლების გამოწვევა იყო მათი მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მოსაწყობად. 1894 წელს დაწყებულ სომეხთა აჯანყებების ჩასახშობად თურქეთმა ჰამიდელთა რაზმებიც გაგზავნა. თუმცა ის ქურთები, რომლებიც ჰამიდიეში გაერთიანებული არ იყვნენ, სომეხთა ხოცვაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ; უფრო მეტიც, ზოგიერთი წყაროს მიხედვით ქურთები აჯანყებული სომხების მხარესაც კი იბრძოდნენ.[53] თურქეთის მთავრობის გეგმა, რომ ქურთები და სომხები ერთმანეთთან დაეპირისპირებინა, ვერ განხორციელდა. თურქების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა საფუძველი ჩაუყარა მომავლის კონფლიქტებს.

---

[53] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 94-95.

მათ მიერ სომხების წინააღმდეგ განხორციელებულმა მასობრივმა ხოცვა-ჟლეტამ საერთაშორისო აქტორებს კარგი საბაბი მისცა ოსმალეთის საშინაო საქმეებში ჩასარევად. არსებული ვითარებიდან გამომდინარე ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ და რუსეთმა თავიანთი მიზნებისა და გავლენების განმტკიცება დაიწყეს ოსმალეთის იმპერიაში. ამასთან დაკავშირებით ა. მენთეშაშვილი აღნიშნავს, რომ ქურთული ცხენოსანი რაზმების (ჰამიდიე) აქტიურმა მონაწილეობამ სომხების წინააღმდეგ თურქეთის მიერ მოწყობილ დამსჯელ ექსპედიციებში ხელი შეუწყო ქურთთა საკითხის გადაქცევას საერთაშორისო პრობლემად, რომელიც ახლა უკვე მრავალი ქვეყნის ინტერესებს ეხებოდა.[54]

ვინაიდან, ჰამიდიე უკვე სერიოზულ მრისხანე ძალს წარმოადგენდა ოსმალეთისთვის, ამ ფაქტით ისარგებლეს ევროპულმა სახელმწიფოებმა და თურქეთის საგარეო და საშინაო საქმეებში თავიანთი გავლენა კიდევ უფრო გააძლიერეს. თურქეთის მიერ ჰამიდიეს შექმნამ და სომხების წინააღმდეგ განხორციელებულმა ქმედებებმა, ერთი მხრივ, დაასუსტა ოსმალეთი და ევროპული სახელმწიფოების პოზიციების გაძლიერებას შეუწყო ხელი თურქეთის საგარეო თუ საშინაო საქმეებში, ხოლო, მეორე მხრივ, ქურთების საკითხმა რეგიონულიდან საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში გადაინაცვლა.

XX საუკუნის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. რეგიონში გაძლიერდა საერთაშორისო აქტორების გავლენები. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ანტანტის სახელმწიფოები გამარჯვების შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიებს გადანაწილებაზე ფიქრობდნენ. ლონდონისა და პარიზის კაბინეტებში საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკას, რომლის საფუძვლადაც 1916 წლის საიქს-პიკოს შეთანხმება იქცა. მოგვიანებით,

[54] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 95.

შეთანხმებას რუსეთიც შეუერთდა, თუმცა რევოლუციის დაწყების შემდეგ მან ის დატოვა. შეთანხმების მიხედვით, სამანდატო ტერიტორიებად უნდა გადანაწილებულიყო დამარცხებული ოსმალეთის სამფლობელოები. შეთანხმებაში იგნორირებული იყო რეგიონის რელიგიური და ეთნიკური მოზაიკა და, შესაბამისად, მასში ქურთების საკითხიც არ ფიგურირებდა. ვერსალის კონფერენციის (1919 წ.) შედეგად შექმნილმა ერთა ლიგამ (1920 წ.) დამარცხებული ოსმალეთის ტერიტორიები სამანდატო სისტემას დაუქვემდებარა. ფორმალურად სამანდატო ტერიტორია კოლონია არ იყო. სტატუსით იგი უფრო პროტექტორატს უახლოვდებოდა და მანდატორი ქვეყნის საქმიანობა საერთაშორისო კონტროლს ექვემდებარებოდა.[55] მანდატორი ქვეყანა ვალდებულებას იღებდა კონსულტაციების სახით დახმარება გაეწია სამანდატო ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისათვის, რათა შემდგომ დამოუკიდებელ სუბიექტებად ქცეულიყვნენ. ვერსალის კონფერენციის შემდეგ ვუდრო ვილსონის მიერ ინიცირებული თვითგამორკვევა საერთაშორისო პოლიტიკურ ქვაკუთხედად იქცა, რაც სევრის (1920 წ.) ხელშეკრულებაში კიდევ ოფიციალურად აისახა.

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და სამანდატო სისტემის ამოქმედების შემდეგ ქურთები ოთხ სახელმწიფოში გადანაწილდნენ. მანამდე ქურთისტანი შედიოდა ორი სახელმწიფოს, ოსმალეთისა და ირანის, შემადგენლობაში. დამოუკიდებელი სახელმწიფოსა შექმნის მოთხოვნით ქურთების აჯანყებები ამჯერად, როგორც ოსმალეთის, ასევე მანდატორი ქვეყნების წინააღმდეგაც იყო მიმართული. ამზოხის მხრივ ერაყელი ქურთები გამოირჩეოდნენ, რომლებმაც XX საუკუნის 20-იან წლებში რამდენიმე აჯანყება მოაწყვეს. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ თანამედროვე ერაყის ქურთები დღესაც გამოირჩევიან პოლიტიკური აქტიურობითა და სახელმწიფოს შექმნის მცდელობებით. ქურთულმა მოძრაობებმა ქემალისტურ თურქეთში, ირანში, სირიასა და ერაყში საფუძველი ჩაუყარეს ანტიიმპერიალისტური და

[55] გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი: გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018. გვ. 246.

ანტიინგლისური ხასიათის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას. მიუხედავად იმისა, რომ ერთა თვითგამორკვევას მხარი დაუჭირა საერთაშორისო აქტორებმა, ქურთებს მაინც არ მიეცათ შესაძლებლობა შექმნათ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო. ჯერ კიდევ ვერსალის საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც თვითგამორკვევის ახალი პოლიტიკური სუბიექტები კონცეფციით უნდა აღმოცენებულიყო - ქურთების ავტონომიაც იყო მოხსენიებული. ამის მზაობა 1920 წლის სევრის ხელშეკრულებაში კიდევ ერთხელ დადასტურდა. სევრის ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში ქურთების ავტონომიის შექმნას ითვალისწინებდა, რომელსაც შემდგომში, ერთა ლიგის თანხმობის შემთხვევაში დამოუკიდებლობის მიღება შეეძლო. თუმცა მას შემდეგ, რაც თურქეთის პრეზიდენტი მუსტაფა ქემალ ათათურქი გახდა მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ სევრის შეთანხმება თურქეთისათვის მომგებიანი ხელშეკრულებით ჩაენაცვლებინა. მოკავშირეებსა და ახლადშექმნილ თურქეთს შორის მიღწეული 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებით გაბათილდა სევრის 1920 წლის შეთანხმება. ლოზანის კონფერენციის დადგენილების თანახმად თურქეთმა შეინარჩუნა ტერიტორიული მთლიანობა, მოსულის გარდა ჩრდილოეთ ერაყში.[56] ახალი ხელშეკრულების დადგენილების შედეგად, ქურთების ავტონომიისა და სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივა გაურკვეველი დროით გადაიდო დღის წესრიგიდან. მოგვიანებით, ქურთების გარკვეული ნაწილი ახლადშექმნილი ერაყის სახელმწიფო საზღვრებში მოექცა.

თავიანთი განსახლების თანამედროვე არეალს ახლო აღმოსავლეთში ქურთები სხვადასხვა სახელით აღნიშნავენ:[57]

- ბაკური - ჩრდილოეთი ნაწილი (თურქეთის შემადგენლობაში);

---

[56] სანიკიძე გიორგი, ალასანია გიული, გელოვანი ნანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011. გვ. 217.

[57] გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი: გეოპოლიტიკა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019. გვ. 195.

- ბაშური - სამხრეთი ნაწილი (ერაყის შემადგენლობაში);
- როჟავა - დასავლეთი ნაწილი (სირიის შემადგენლობაში);
- როჟჰილათი - აღმოსავლეთ ნაწილი (ირანის შემადგენლობაში).

ქურთების ბრძოლა ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის შემდეგ წლებში გაგრძელდა და დღემდე უშედეგოდ მიმდინარეობს.

## II თავი. ქურთები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური დღის წესრიგი შეიქმნა. ოსმალეთის ყოფილი სამფლობელოები ევროპული სახელმწიფოს სამანდატო სისტემას დაექვემდებარა, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ სამანდატო ტერიტორიები მალევე სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდნენ, ქურთებს მაინც არ მიეცათ თავიანთი ეროვნული და დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის ფორმირების შესაძლებლობა და შეიძლება ითქვას, რომ ისინი ვერსალის კონფერენციის შედეგად ჩამოყალიბებულ გეოპოლიტიკურ დღის წესრიგში ბედის ანაბარად დარჩნენ.

ქურთები დღეს, ძირითადად, თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ოთხ სახელმწიფოში (თურქეთი, სირია, ერაყი და ირანი) არიან წარმოდგენილნი. რეგიონში ქურთებით დასახლებულ ადგილს ქურთისტანი ეწოდება, რომლის სავარაუდო ფართობი დაახლოებით 409,650 კმ2-ია. ისტორიული წყაროების თანახმად ტერმინი ქურთისტანი (ქურთების მიწა, ქურთებით დასახლებული ადგილი) XII საუკუნიდან ფიგურირებს, როდესაც თურქ-სელჩუკების უკანასკნელმა სულთანმა, აჰმედ სანჯარმა (1117-1157), XII საუკუნის 50-იან წლებში შექმნა ამავე სახელწოდების პროვინცია. სანჯარის მიერ შექმნილი ქურთისტანის პროვინციის საზღვრები, თითქმის ემთხვევა თანამედროვე ირანის ქურთისტანის ტერიტორიას.[58] ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ პოლიტიკურ რუკაზე ქურთისტანი XVI საუკუნიდან ფიგურირებს.

თანამედროვე მდგომარეობით ქურთისტანი გეოგრაფიულ ტერიტორიად არის მიჩნეული, რომელსაც მკაფიოდ განსაზღვრული საზღვრები არ გააჩნია. ქურთისტანის ტერიტორიის საზღვრებთან დაკავშირებით სახელმწიფოებს, ორგანიზაციებსა თუ ინდივიდებს სხვადასხვაგვარი აღქმა და

[58] Hamit Bozarslan, Cengiz Gunes, Veli Yadirgi, ed. The Cambridge History of the Kurds. Cambridge: Cambridge University Press. 2021. p. 2.

დამოკიდებულებები გააჩნიათ. თურქეთი წლებია ცდილობს უარყოს ქურთების, როგორც ეთნიკური ჯგუფის, ასევე ქურთისტანის ტერიტორიის არსებობის ფაქტი. სირიის ხელისუფლება თავის ტერიტორიაზე ქურთისტანის საზღვრების ნაწილის არსებობის ფაქტს არც კი განიხილავს. ხოლო, რაც შეეხება ირანსა და ერაყს, ისინი თავს იკავებენ იმ ფაქტის და მოცემულობის აღიარებისაგან, რომელსაც ქურთები ავრცელებენ ქურთისტანის საზღვრებთან დაკავშირებით. ქურთისტანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთის, ირანისა და სირიის საზღვრებშია მოქცეული, ხოლო ქურთისტანის ტერიტორიის ყველაზე მცირე ნაწილი სირიაში (იხ. **ცხრილი N1**).

| ქვეყანა | ფართობი (კვ.კმ) |
|---|---|
| თურქეთი | 194,400 |
| სირია | 18,300 |
| ერაყი | 72,000 |
| ირანი | 124,950 |
| **მთლიანი ფართობი** | **409,650** |

**ცხრილი N1** - ქურთისტანის სავარაუდო ფართობი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ცალკეული ქვეყნების მიხედვით.[59]

მსოფლიოში ქურთების რაოდენობა სხვადასხვა მონაცემებით 30-45 მილიონის ფარგლებში მერყეობს. ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ქურთი მოსახლეობის საერთო რაოდენობა რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებში დაუზუსტებელია. თუმცა მიჩნეულია, რომ ახლო აღმოსავლეთში ყველაზე მეტი ქურთი თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობს, შემდეგ ირანსა და ერაყში, ხოლო მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი სირიის არაბულ რესპუბლიკაში (იხ. **ცხრილი N2**). პარიზის ქურთული ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით ევროპაში ქურთული დიასპორა 1.2 მლნ-დან 1.5 მლნ-მდე მერყეობს, ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცეში დაახლოებით ნახევარი მილიონია. ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ქურთების ზუსტი რაოდენობის იდენტიფიცირება

[59] Koohi-Kamali, Farideh. The Political Development of the Kurds in Iran: Pastoral Nationalism. New York: Palgrave Macmillan, 2003. p. 26.

რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებში სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგანაც, ერთი მხრივ, მთავრობები ცდილობენ დამალონ მათი ზუსტი რაოდენობა, ხოლო, მეორე მხრივ, ქურთები ცდილობენ რომ გაზარდონ მათი რიცხოვნობა. მხარეთა ამგვარი პოლიტიკა, რასაკვირველია, იწვევს ბუნდოვანებას, რის გამოც კვლევის პროცესში ვერიდებით ქურთების ზუსტი რაოდენობის დასახელებას და ვიყენებთ შედარებით მეთოდს საკითხის დასაზუსტებლად. ქურთი მოსახლეობის რაოდენობის დადგენა გაცილებით იოლია თურქეთში, რასაც ვერ ვიტყვით რეგიონის დანარჩენ ქვეყნებზე. ევროკომისიის 2014 წლის ანგარიშის მიხედვით თურქეთში დაახლოებით 14-18 მილიონამდე ქურთი ცხოვრობდა.[60] [61]

| ქვეყანა | მინიმალური შეფასებით (მლნ) | მიმდინარე შეფასებით (მლნ) |
|---|---|---|
| თურქეთი | 15 | 20 |
| სირია | 3 | 3,6 |
| ერაყი | 8 | 8,5 |
| ირანი | 10 | 12 |
| **სულ** | **36** | **44,1** |

**ცხრილი N2** - ქურთი მოსახლეობის რაოდენობა ახლო აღმოსავლეთის ცალკეული ქვეყნების მიხედვით (წყარო: The Kurdish Institute, https://www.institutkurde.org ბოლოს ნანახია 01.06.2021)

### 2.1. ქურთების პრობლემატიკა თურქულ პოლიტიკაში

ჯერ კიდევ ოსმალეთის პერიოდიდან მოყოლებული ქურთები დიდი თავსატეხი იყო თურქებისათვის. ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ქურთების ერთი ნაწილი ახლადშექმნილი თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის

[60] The Kurdish population. The Kurdish Institute. https://www.institutkurde.org (ბოლოს ნანახია 01.06.2021)

[61] სიჭინავა, ბუხუტი. "ქურთები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში." აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, 2020. გვ. 31.

დროს თურქეთის ჯარებმა სირიასა და მესოპოტამიაში მწარე მარცხი განიცადეს და ოსმალეთი ამ ომში საბოლოოდ დამარცხდა, ქურთულმა თვითგამორკვევამ და სახელმწიფოს შექმნის სურვილმა კიდევ უფრო იმატა.

პირველი ომის დამთავრებისთანავე თურქეთში არსებულმა ქურთულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა აქტიური მუშაობაა დაიწყეს ქურთული ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად. პარიზის კონფერენციაზე შერიფ ფაშას ხელმძღვანელობით გაგზავნილი ქურთული დელეგაცია, ერთი მხრივ ქურთების გააქტიურების, ხოლო მეორე მხრივ ქურთული პრობლემატიკის საერთაშორისო საკითხად გადაქცევის მანიშნებელია. პარიზში გამართულ კონფერენციაზე ინგლისელებმა მხარი დაუჭირეს ქურთი ნაციონალისტების მოთხოვნებს, რაც, შემდგომში, კიდევაც, სევრის საზავო ხელშეკრულებაში (1920 წ.) აისახა.

ხსენებულ საზავო ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის შემდეგ ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე შეიქმნებოდა ავტონომიური მმართველობის პროექტი. ხელშეკრულებაში საუბარი იყო ასევე იმ გეოგრაფიულ არეალზე, სადაც უნდა შექმნილიყო ქურთების ავტონომიური სახელმწიფო და იგი მოიცავდა სომხეთის სამხრეთით, მდინარე ევფრატის აღმოსავლეთით და თურქეთ-სირიისა და თურქეთ-მესოპოტამიის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს. ქურთების ავტონომიური სახელმწიფოს პროექტის შექმნის ინიციატორები ინგლისი, საფრანგეთი და იტალია იყვნენ. აღნიშნული ტერიტორია მკაცრი კლიმატური პირობებით გამოირჩევა და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქურთისტანის ნავთობით მდიდარი საბადოები ირანისა და ერაყის შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო. ასევე საფრანგეთმა და ინგლისმა მხარი დაუჭირეს მოსულის ვილაიეთში მცხოვრები ქურთების შესვლის გეგმას ქურთისტანის სახელმწიფოს საზღვრებში.

ანტანტას წევრი სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ქურთული ავტონომიური სახელმწიფოს შექმნის პროექტი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო

ომის პერიოდში დამარცხებისათვის განწირული ოსმალეთის ტერიტორიის შემცირებასა და მისი სამფლობელოების გადანაწილებას ემსახურებოდა მიზნად. თუმცა მოკავშირეთა მიერ მხარდაჭერილ პროექტს მალე სრული ფიასკო ელოდა წინ. პოლიტიკურად გაძლიერებულმა ქემალისტებმა მალევე უარყვეს და შეცვალეს სევრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მას შემდეგ, რაც ქემალისტებმა გაიმყარეს თავიანთი პოზიციები ქვეყნის შიგნით, დაუყოვნებლივ დაიწყეს ეთნიკური უმცირესობების მიმართ შოვინისტური პოლიტიკის წარმოება. ეთნიკური უმცირესობების მიმართ თურქების პოლიტიკა ნათლად არის ჩამოყალიბებული 1920 წელს მიღებულ „ეროვნულ აღთქმაში", რომელშიც ნათქვამი იყო: „ოსმალეთის იმპერიის იმ ნაწილის ბედი, რომელიც არაბებითაა დასახლებული, უნდა გადაწყდეს მოსახლეობის თავისუფალი გამოკითხვით. დანარჩენი ნაწილი, რომელიც დასახლებულია ოსმალურ-მუსლიმური უმრავლესობით, გაერთიანდება რელიგიურ და რასობრივ საფუძვლებზე... იგი შეადგენს ერთ მთელს და მისი გაყოფა ყოვლად დაუშვებელია" (მენთეშაშვილი 1978).

გაძლიერებულმა თურქეთმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სევრის ხელშეკრულება ახალი, უფრო მომგებიანი, ხელშეკრულებით ჩაენაცვლებინა. 1923 წლის 24 ივლისს მხარეებს შორის ხელმოწერილმა დოკუმენტმა საბოლოოდ ჩაანაცვლა 1920 წლის სევრის ხელშეკრულება, რომელიც ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი იყო ქურთებისთვის. ლოზანის ხელშეკრულებაში საერთოდ არ იყო ნახსენები ქურთული ავტონომიური სახელმწიფოს შექმნის პროექტი, რომელიც თავის დროზე სევრის ხელშეკრულებაში ფიგურირებდა. თუმცა ლოზანის მე-5 მუხლი თურქეთის მთავრობას ავალდებულებდა ეღიარებინა ეთნიკური უმცირესობების უფლებები. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თურქეთმა არამც თუ აღიარა და დაიცვა ეროვნული უმცირესობების უფლებები, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა სახელისუფლებო ზეწოლა მათზე. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ლოზანის ხელშეკრულების მეხუთე მუხლში არ იყო დაზუსტებული თუ რას ნიშნავდა ეროვნული უმცირესობების უფლებები.

სასულთნოს (1922 წ) და სახალიფოს გაუქმების (1924 წ) შემდეგ ქურთულ საზოგადოებაში მანამდე არსებული დღის წესრიგი რადიკალურად შეიცვალა.[62] ამ ცვლილებების შედეგად ქურთებზე თურქეთის მთავრობის ნეგატიური დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდა. თურქეთის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ახალმა პოლიტიკამ საგრძნობლად შეარყია ადგილობრივი ქურთი აღებისა და შეიხების პრივილეგიები და გავლენები, რამაც რამდენჯერმე აჯანყებაც გამოიწვია. ცნობილია, რომ თურქეთის საშინაო პოლიტიკით განაწყენებული მეამბოხეების უკან ინგლისური დიპლომატიის აჩრდილიც დაიარებოდა. ინგლისის მიერ ქურთების წახალისება თურქეთის წინააღმდეგ ასაჯანყებლად ლონდონის ქურთების ბედისადმი ღელვით ნამდვილად არ იყო ნაკარნახები. ინგლისი ამ აჯანყებით ცდილობდა მოსულის კრიზისის მოგვარებას. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ა. მენთეშაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თურქეთში დაწყებული ქურთების აჯანყებები არ შეიძლება მხოლოდ იმპერიალისტურ ხრიკებს მივაწეროთ.[63]

1920 წლებიდან მოყოლებული ქურთების საკითხი სერიოზულ გამოწვევად იქცა თურქეთის ქემალისტური მთავრობისათვის. თურქეთის მთავრობა ყველა შესაძლებლობას იყენებდა იმისთვის, რომ ქურთული საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა. ქემალისტური თურქეთის საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილო ქურთებმა „ქურთთა კომიტეტები“ ჩამოაყალიბეს, რომელთა ოფიციალური სახელწოდება იყო - „ქურთისტანის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების კომიტეტი“. ახლადშექმნილ კომიტეტებს ქურთული სასულიერო და ფეოდალური წრიდან წარჩინებული ქურთი მოაზროვნეები და ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ. ხსენებული კომიტეტები არსებობდნენ ალეპოში, სტამბოლში, ერზურუმში, ბაღდადში, მოსულსა და კირკუკში, თუმცა ყველზე მეტად აქტიურობით ერუზურუმის კომიტეტი გამოირჩეოდა, რომელიც აქტიურ საგანმანათლებლო და კულტურულ პოლიტიკას ახორციელებდა.

[62] Philip G.Kreyenbroek, Stefan Sperl, ed. The Kurds: A Contemporary Overview. London and New York: Taylor & Francis, 2005. p. 14.
[63] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 152.

სწორედ ეს უკანასკნელი გახდა 1925 წლის აჯანყების ინიციატორი. აჯანყებულთა წარმატებამ სერიოზული კრიზისი გამოიწვია თურქეთის მთავრობაში, რის შედეგადაც შეიცვალა მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო ახალმა მეთაურმა ქურთების მიერ აჯანყებულ რაიონებში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. მოგვიანებით კი თურქეთის მეჯლისმა წესრიგის დაცვის მიზნით ახალი კანონი აამოქმედა. თურქეთის პოლიტიკურმა და სამხედრო უპირატესობამ ქურთი ამბოხებულების დამარცხება გამოიწვია. აჯანყების წარმატებად დამარცხების შემდეგ თურქეთის მთავრობამ ქურთების გადასახლება დაიწყო ქვეყნის შუაგულისაკენ, რათა ამით დაექსაქსათ და ძლიერი დარტყმა მიეყენებინათ ქურთული მოძრაობებისათვის. აჯანყებიდან ორი წლის შემდეგ თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი, რომლითაც მთავრობამ აღმოსავლეთ ვილაიეთებიდან დასავლეთ ვილაიეთებში ათასობით ქურთი გადაასახლა.

აჯანყებების უშედეგოდ დასრულების მიუხედავად ქურთები მაინც აგრძელებდნენ თურქეთის წინააღმდეგ გამოსვლებს, თუმცა ყველაფერი მაინც უშედეგოდ სრულდებოდა, რადგანაც ქურთების წინააღმდეგ ბრძოლა თურქეთის მთავარ ეროვნულ პოლიტიკად იქცა. თურქებმა დაიწყეს ასიმილაციის პოლიტიკის სრული სიმძლავრით ამოქმედება, აიკრძალა ქურთული ენა, წიგნების გამოცემა და სხვა; სიტყვები „ქურთი“ და „ქურთისტანი“ ამოიშალა ყველა წიგნიდან, ხოლო თურქეთში ჩასულ უცხოელებს აეკრძალათ ქურთების სახელის გამოყენება, რისთვისაც მთავრობამ ალტერნატიული სახელწოდება - „მთის თურქები“, შემოიტანა.[64]

თურქების მიერ დევნილმა და დაქსაქსულმა ქურთებმა ლიბანში გამართულ დამფუძნებელ კონგრესზე ორგანიზაცია შექმნეს, რომელსაც „ჰოიბუნი“ დაარქვეს. ახლადშექმნილი ორგანიზაცია ქურთი ემიგრანტების, ინტელიგენციის წარმომადგენლებისა და მემამულეებისაგან შედგებოდა.

[64] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 156.

სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ქურთისტანის ერთიანი პოლიტიკური პარტიის შექმნას, ყველა ქურთის გაერთიანებს ერთ სახელმწიფოში და ერთობლივი ძალებით ქემალისტური თურქეთის წინააღმდეგ კოორდინირებულ მოქმედებებს, რისთვისაც მათ სირიის, ერაყისა და ირანის მთავრობებთან კარგი ურთიერთობების დამყარება დაისახეს მიზნად. ამავდროულად სირიასა და ერაყში ქურთების მოთხოვნა მხოლოდ კულტურული ავტონომიის მოპოვების უფლებით უნდა შემოფარგლულიყო. ქურთების ირანთან ურთიერთობის დამყარება თურქებსა და ირანელებს შორის არსებული რელიგიური კონფლიქტით იყო ინსპირირებული და ამიტომ ქურთები ირანზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.[65]

ჰოიბუნელთა მიზნები წარმატებით ვერ განხორციელდა მრავალი ხელისშემშლელი გარემოებიდან გამომდინარე. მათ ვერ შეძლეს საერთაშორისო მხარდაჭერა მოეპოვება, უარი განაცხადეს არაბულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კოალიციაზე, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მათ ნათლად არ ჰქონდათ გააზრებული ის ფაქტი, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ დამოუკიდებლად არ უნდა ემოქმედათ. ჰოიბუნელთა კავშირმა ასევე სტრატეგიული მნიშვნელობის შეცდომა დაუშავა, როდესაც მათ ქურთი გლეხები არ გამოიყენეს თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობაში. ყოველივე ამან კი გამოიწვია ის, რომ ქურთების ეს მცდელობაც წარუმატებლად დასრულდა.

ქურთების მიერ მოწყობილი ყოველი აჯანყების შემდეგ თურქეთის მთავრობის პოლიტიკა ქურთების მიმართ სულ უფრო და უფრო მკაცრი ხდებოდა. 1932 წელს თურქეთის მთავრობის მიერ მიღებული ახალი კანონით ქურთებით დასახლებული ტერიტორიაზე ადმინისტრაციული რეფორმა განხორციელდა. ამავე კანონის თანახმად ქურთებს ოფიციალურად ეწოდათ „მთის თურქები“. ორი წლის შემდეგ თურქეთმა კიდევ ერთი კანონი გამოსცა,

---

[65] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 157.

რაც ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი იყო. მიღებული კანონით შინაგან საქმეთა მინისტრს ეძლეოდა უფლება ეთნიკური უმცირესობების საცხოვრებელი ადგილები შეეცვალა.[66]

თურქეთისათვის ქურთები საშინაო პოლიტიკის პირველ გამოწვევად რომ იქცა ამაზე 1936 წელს მეჯლისის გახსნაზე ათათურქის გამოსვლის სიტყვებიც მეტყველებს. მან გამოსვლაში აღნიშნა, რომ თურქეთისათვის ქურთების პრობლემა ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო და მთავრობას ამ პრობლემური საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრისაკენ მოუწოდა, რათა ამით საბოლოოდ მოეღოთ ბოლო მათი ეროვნული მისწრაფებებისათვის.[67] ორი წლის შემდეგ, თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მას შემდეგ რაც დერსიმის ოლქში 1937 წელს ქურთ აჯანყებულებს მთავრობა სასტიკად გაუსწორდა, განაცხადა, რომ ქურთების პრობლემა თურქეთში აღარ არსებობსო.

1920 წლებიდან მოყოლებული 1938 წლამდე თურქეთის მმართველობით განაწყენებული ქურთები 17-ჯერ აჯანყდნენ, რომელთაგან მნიშვნელოვნად 1925, 1930 და 1937 წლების ამბოხი მიიჩნევა.[68] XX საუკუნის ამ პერიოდში თურქეთის მთავრობა, რომლის მთავარი პოლიტიკა თურქიფიკაცია იყო, საკანონმდებლო თუ სამთავრობო დონეზე ცდილობდა შეეზღუდა და შეევიწროებინა არათურქული ეთნიკური და კულტურული ელემენტები თავის ტერიტორიაზე.

1938 წლიდან 1984 წლამდე თურქეთში მცხოვრებ ქურთებსა და მთავრობას შორის ურთიერთობები შედარებით მშვიდ და წყნარ პერიოდადაა შეფასებული. თუმცა მიუხედავად ამისა, თურქეთში ქურთების მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შეცვლილა. 1950 წლებში თურქეთში ლიბერალური მთავრობის არჩევის შემდეგ მთავრობაში ხელახლა აღორძინება დაიწყო

---

[66] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 160.

[67] იქვე, გვ. 160.

[68] Heper, Metin. The State and Kurds in Turkey: The Question of Assimilation. Palgrave Palgrave, 2007. p. 1.

ისლამურმა ელემენტებმა და ამის პარალელურად თურქეთის დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო გაიზარდა. თურქეთის მთავრობის მაღალჩინოსნები კვლავ აგრძელებდნენ ადრინდელ რიტორიკას და ამჯერად იმას ამტკიცებდნენ რომ ქურთები თურქული წარმომავლობის იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში თურქეთი შედარებით ლიბერალური და დასავლური ტიპის სახელმწიფო ხდებოდა, მან თავის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1961 წელს, საკანონმდებლო სტატუს კვო შეინარჩუნა და ახალ კონსტიტუციაში ქურთების უფლებები არ გაითვალისწინა. თურქეთის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულმა დაბალმა ეკონომიკურმა განვითარებამ და ცუდმა სოციალურმა მდგომარეობამ ქურთების ხელახალ გააქტიურებას ჩაუყარა საფუძველი.

თურქულ-ქურთული ურთიერთობების ისტორიის კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა 80-90-იანი პერიოდის ანალიზი და თურგუთ ოზალის ფიგურის შესწავლა, რომელიც ათათურქის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან და გავლენიან ფიგურად ითვლება თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში. ზოგჯერ მას, მრავალი მიზეზის გამო, პოსტქემალისტური პერიოდის ადრეულ წარმომადგენლად მიიჩნევენ. თურგუთ ოზალის პოლიტიკა ქურთებთან მიმართებაში პირობითად ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ: 1. პრემიერ-მინისტრობის პერიოდი (1983-1989 წლები); 2. პრეზიდენტობის პერიოდი (1989-1993 წლები). მას შემდეგ, რაც ოზალი ხელისუფლებაში მოვიდა, მან ქურთების მიმართ თურქეთის ტრადიციული ასიმილაციის პოლიტიკა გააგრძელა. ქვემოაღნიშნული მაგალითები მკაფიოდ ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მისი ადრინდელი და ბოლო პერიოდის პოლიტიკა ქურთებთან მიმართებაში რადიკალურად განსხვავებული და წინააღმდეგობრივი ხასიათის იყო.

1985 წელს ჩამოყალიბდა სოფლის მცველთა სისტემა (თურქ. Türkiye Güvenlik Köy Korucuları; ინგ. Security Village Guards of Turkey), რომელშიც ქურთების გარდა ჩართულნი იყვნენ თურქები, ჩერქეზები, ავღანელები,

უზბეკები, ყირგიზები. ერთი მხრივ, ამგვარი სისტემის ამოქმედება ემსახურებოდა ქურთისტანის მუშათა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო, მეორე მხრივ, თურქეთის სახელმწიფო სამხედროების რაოდენობის გაზრდას. მოგვიანებით, ორი წლის შემდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა 11 პროვინციას, ამოქმედდა ე.წ. საგანგებო მდგომარეობა (*თურქ.* OHAL - Olağanüstü Hâl Bölge Valiliği; *ინგ.* Governorship of Region in State of Emergency).[69] 1987 წელს ამოქმედებული საგანგებო მდგომარეობის განკარგულება რეგიონის გუბერნატორს დასახლებების გადატანისა და ევაკუაციის პრეროგატივას ანიჭებდა. 1990 წლის 9 აპრილის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული 413-ე განკარგულებით გუბერნატორის უფლებები კიდევ უფრო გაიზარდა, რის შედეგადაც მას უფლება ჰქონდა კანონით აეკრძალა, ჩამოერთვა და დაეჯარიმებინა სხვადასხვა სახის გამოცემები, დაეხურა სტამბები, გაეკონტროლებინა პროფკავშირების საქმიანობა, ასევე მისი პრეროგატივა იყო „უსაფრთხოების“ მიზნით სოფლებისა და სხვა ტიპის დასახლებების მასობრივი ევაკუაციის განკარგულების გაცემა ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სამართლებრივი პროცესის დაწყება და სხვა.[70] ზემოხსენებული მაგალითები ნათელი დასტურია სახელმწიფოს მხრიდან ქურთებზე განხორციელებული მასობრივი რეპრესიებისა. სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე 1987 წელს ამოქმედებული საგანგებო მდგომარეობის განკარგულება 2002 წელს გაუქმდა.

ოზალის პოლიტიკა და დამოკიდებულება ქურთების მიმართ მისი პრემიერ- მინისტრობის ბოლო წელს კარდინალურად შეიცვალა. ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრად ყოფნის მიწირულს ოზალმა ქურთების საკითხის გადაფასების შესახებ დაიწყო საუბარი და რესპუბლიკის პირველ წლებში სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო დაშვებული შეცდომების აღიარების საკითხზე გაამახვილა ყურადღება. 1990 წლის აპრილს, პრეზიდენტობის რანგში მყოფმა

[69] Gunter, Michael M. "Turgut Özal and the Kurdish question: Political Islam, Kemalism and the Kurdish Issue." Edited by Joost Jongerden and Marlies Casier. Routledge. 2010. p. 88.
[70] Whitman, Lois Destroying Ethnic Identity: The Kurds of Turkey: An Update. Human Rights Watch. 1990. p. 13.

ოზალმა თურქ მრეწველთა და ბიზნესმენთა ასოციაციის შეხვედრაზე კიდევ ერთი სერიოზული გზავნილი გააჟღერა, კერძოდ მან სახელმწიფოს მხრიდან ქურთების პრობლემატიკის არაძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის გზების ძიების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.[71]

ქურთული ფესვების მქონე ოზალმა ქურთების საკითხზე მანამდე არსებული მრავაწლიანი ტაბუ დაამსხვრია. 1991 წელს ნაწილობრივ გააუქმა 1983 წელს მიღებული კანონი N2932, რის შედეგადაც ქურთული ენა ყოველდღიურ საუბრებსა და ფოლკლორში ნებადართული გახდა, თუმცა ოფიციალურ დაწესებულებებში, გამომცემლობებსა და საგანმანათლებლო სივრცეში თურქული ენის გარდა სხვა ეთნიკურ უმცირესობათა ენის გამოყენება კვლავ შეზღუდულად დარჩა. მომდევნო წელს, ოზალმა კიდე უფრო თამამი ნაბიჯი გადადგა ქურთული ენის სახელისუფლებო ბორკილებისაგან გათავისუფლების თვალსაზრისით, როდესაც მან GAP Television Network-ში ქურთულ ენაზე 60-90 წუთიანი პროგრამის ჩაშვების ინიციტივა და ზოგიერთ სკოლაში ქურთულ ენაზე სწავლის იდეა გააჟღერა. ოზალის მიერ ამ თამამი ნაბიჯის გადადგმას, გარკვეულწილად, ახალი გეოპოლიტიკური რეალობის შექმნამაც შეუწყო ხელი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და მკაცრი სასაზღვრო კონტროლის არარსებობამ თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს, ძირითადად ჩერქეზებსა და ჩეჩნებს, თავიანთ ნათესავებთან კონტაქტის აღდგენის შესაძლებლობა მისცა, რამაც თურქეთში ოფიციალურად გაცხადებული მონეოთნიკურობის დოქტრინა მნიშვნელოვანდ შეასუსტა.

ოზალის საშინაო პოლიტიკა, რომელსაც იგი ქურთების და ქურთული ენის მიმართ აწარმოებდა, თურქეთში ქურთული საკითხის გადაწყვეტას და ამ ორი ხალხის ჰარმონულ კოჰაბიტაციას ემსახურებოდა მიზნად, რომელიც ოზალის სიკვდილთან ერთად დასრულდა კიდევაც. ოზალს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ქურთული საკითხის გადაჭრის აუცილებლობის მნიშვნელობა,

[71] Gunter, Michael M. "Turgut Özal and the Kurdish question: Political Islam, Kemalism and the Kurdish Issue." Edited by Joost Jongerden and Marlies Casier. Routledge. 2010. p. 88.

რაზეც გარდაცვალებამდე ცოტახნით ადრე მის მიერ იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრისა და თურქეთის მომავალი პრეზიდენტის სულეიმან დემირელისთვის გაგზავნილ ექვსგვერდიან წერილში გაამახვილა ყურადღება. დემირელისთვის გაგზავნილ წერილში მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს რომ თურქეთის რესპუბლიკა სერიოზული საფრთხის წინაშე იყო და სოციალური ძვრების დაწყებას შესაძლოა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის შეექმნა საფრთხე.

ოზალის ფიგურის და მისი პოლიტიკის შეფასებისას ორი რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება იკვეთება. თურქეთის პოლიტიკური ელიტის ნაწილისთვის ოზალის რადიკალური გადაწყვეტილებები და დამოკიდებულებები ქემალისტური ტრადიციის განგომად არის შეფასებული. კონსერვატიული ღირებულებების მქონე სულეიმან დემირელმა, რომელიც ოზალის გარდაცვალების შემდეგ 1993-2000 წლებში თურქეთის პრეზიდენტი იყო, თავისი წინამორბედის მიერ გატარებული პოლიტიკა და გაჟღერებული იდეები თურქეთისთვის საზიანო და დამაგნგრევლ ფაქტად შეაფასა.[72]

ქურთულ ენაზე ინფორმაციის გავრცელება-მიღების თვალსაზრისით დიდი ნახტომი იყო თურქეთის იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრის რეჯეფ თაიფ ერდოღანის პერიოდში მომხდარი ფაქტი, კერძოდ 2009 წლის 1 იანვარს თურქეთში მცხოვრები მრავალი ქურთისთვის კურმანჯისა და ზაზაკის დიალექტზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა გაჩნდა. TRT 6-ის უწყვეტ სატელევიზიო მაუწყებლობას მაშინ პრემიერ-მინისტრმა წარმატებებიც კი უსურვა.[73]

თურქეთის მიერ 1987 წელს ევროკავშირის წევრობის შესახებ გაკეთებულმა განაცხადმა ქურთებს იმედი ჩაუსახა, რომ მათი უფლებები და მდგომარეობა

[72] Gunter, Michael M. "Turgut Özal and the Kurdish question: Political Islam, Kemalism and the Kurdish Issue." Edited by Joost Jongerden and Marlies Casier. Routledge. 2010. p. 92.
[73] Sherwani, Kawa Abdulkareem, and Memet Metin Barlik. "The Present Status of Kurdish Language in Turkey; A Sociolinguistic Study of Van Community." Journal of Xi'an University of Architecture & Technology 14, N3. 2020. pp. 748-765.

გაუმჯობესდებოდა. 1997 წელს ევროკავშირმა თურქეთს უარი განუცხადა 1987 წელს გაკეთებულ განაცხადზე, იმ მიზეზით რომ იგი უხეშად არღვევდა ადამიანის უფლებებს, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ უფლებებს. თუმცა, მას შემდეგ, რაც თურქეთსა და ქურთისტანის მუშათა პარტიას შორის ომი აბდულა ოჯალანის დაპატიმრებით და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით დასრულდა, თურქეთმა 1999 წელს ჰელსინკის სამიტზე მაინც შეძლო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება. დღევანდელი გადმოსახედიდან თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება საკმაოდ ბუნდოვანია. თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის რიტორიკა ევროკავშირთან მიმართებაში საკმაოდ კრიტიკულია, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ თურქეთი ადრინდელ პოლიტიკას გააგრძელებს ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში.

ქურთული საკითხის კვლევისას გამორჩეული ადგილი უკავია ქურთისტანის მუშათა პარტიის საქმიანობის შესწავლას და აბდულა ოჯალანის ფიგურის მნიშვნელობის გააზრებას. 1978 წლის 27 ნოემბერს აბდულა ოჯალანის და მისი მეგობრების მიერ ქურთისტანის მუშათა პარტიის დაარსება წარმოადგენდა მკვეთრ პოლიტიკურ ნაბიჯს, რომელიც პირდაპირი პასუხი იყო ქურთული პრობლემატიკის მოუგვარებლობის წინააღმდეგ. რთულ პოლიტიკურ გარემოში ამგვარი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა მიზანმიმართული იყო სოცი-პოლიტიკური რეფორმების გასატარებლად, რომელსაც უნდა გაეძლიერებინა ქურთის ხალხის ეთნო-ნაციონალური უფლებები თურქეთში. პირველ წლებში, ქურთისტანის მუშათა პარტია შედარებით მცირე და უცნობი ორგანიზაცია იყო, თუმცა ახლად დაფუძნებული ორგანიზაცია მალევე გახდა პოპულარული და მან ქურთი ხალხი ერთი ქოლგის ქვეშ გააერთიანა. 1978 წლის მანიფესტი მიზნად ისახავდა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნას. თუმცა, მოგვიანებით, 1990 წლების მიწურულს, ქურთისტანის მუშათა პარტიამ მნიშვნელოვნად შეცვალა თავისი იდეოლოგიური პოზიცია და

დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის სურვილი ავტონომიის ავტონომიის მოთხოვნით ჩანაცვლდა.[74]

1980 წელს თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში დაიწყო ინტენსიური რეპრესიები და დაპატიმრებები, რომელმაც ნახევარ მილიონს გადააჭარბა.[75] რეპრესიები შეეხო ქურთისტანის მუშათა პარტიის წინააღმდეგ, რის გამოც ოჯალანი და პარტიის სხვა ლიდერები იძულებული გახდნენ სირიაში გაქცეულიყვნენ, სადაც განაგრძეს მოქმედებები და თავდასხმების დაგეგმვა თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამის შემდეგ, ოჯალანი წლების განმავლობაში ცხოვრებდა სირიაში, თუმცა ოფიციალური ანკარის მიერ წაყენებული ულტიმატუმის შედეგად სირიის იმჟამინდელი პრეზიდენტი, ჰაფეზ ასადი, იძულებული გახდა ოჯალანისთვის სირიის საზღვრები დატოვება მოეთხოვა. თურქეთის, ისრაელისა და აშშ-ის სპეცსამსახურების ერთობლივი მუშაობის შედეგად, 1999 წლის 15 თებერვალს, ოჯალანი კენიაში დააპატიმრეს და თურქეთს გადასცეს.[76]

1980-იანი წლების განმავლობაში ქურთისტანის მუშათა პარტია განაგრძობდა შეიარაღებულ ბრძოლას თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ, თავდასხმები ძირითადად მიმართული იყო სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში. კონფლიქტს ორივე მხრიდან ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, თურქეთის მთავრობამ მკაცრი ქმედებებით უპასუხა - ჩაატარა სამხედრო ოპერაციები, დააწესა კომენდანტის საათი ქურთულ რაიონებში. ყოველივე ამის შედეგად, განადგურდა ქურთული სოფლები, დაიწყო დაპატიმრებები და გადასახლებები. ქურთისტანის მუშათა პარტიასა და თურქეთის სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის დაპირისპირებას ზოგიერთი მონაცემებით 50 ათასზე მეტი ადამიანის

74 Leezenberg, Michiel. The ambiguities of democratic autonomy: the Kurdish movement in Turkey and Rojava. Southeast European and Black Sea Studies, 16 (4), 2016. p. 673.
75 მაკარაძე, ემზარ. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980-211 წლებში, ნაწ. 1. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი, 2016. გვ. 8.
76 ჭიღვარია, გიორგი. თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. დისერტაცია. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010. გვ. 136.

სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის 17500 გაუხსნელი მკლვლელობა, 3500 სოფლიდან განხორციელდა ევაკუაცია და მასობრივი გადასახლება (დაახლ. 2.5 მლნ ადამიანი), დააპატიმრეს ათიათასობით პირი.[77]

1990-იანი წლებიდან ქურთისტანის მუშათა პარტიის მოქმედებები გასცდა თურქეთის საზღვრებს და პარტიამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გააგრძელა თავდასხმითი მოქმედებები. მათი ძირითადი სამიზნე ობიექტები თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის და კომერციული ოფისები იყო. 1993 წელს ქურთისტანის მუშათა პარტიამ თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და კომერციულ ოფისებზე თავდასხმა დასავლეთ ევროპის ექვს ქვეყანაში განახორციელა. სხვადასხვა პერიოდში ქურთისტანის მუშათა პარტიამ აგრეთვე გამოიყენა ბომბები სტამბოლსა და თურქეთის ზღვისპირა ქალაქებში. ზემოხსენებული დანაშაულების გარდა, პარტიას აგრეთვე უცხოელი ტურისტების გატაცება და თურქეთის მთავრობასთან დაახლოებული პირების მკვლელობაც ბრალდება.[78] პარტიის მხრიდან მსგავსი ქმედებებს მალე მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სერიოზული შეშფოთება, რის გამოც რამდენიმე ქვეყანამ და ორგანიზაციამ ქურთისტანის მუშათა პარტია ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა.[79]

ოჯალანის დატყვევების შემდეგ, ქურთისტანის მუშათა პარტია გაურკვევლობისა და შიდა განხეთქილების ფაზაში შევიდა. პარტიის ზოგიერთი ფრაქცია მხარს უჭერდა შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელებას, ნაწილი კი პოლიტიკური და სოციალური აქტივიზმისკენ გადასვლის მომხრე იყო. ამგვარი გაურკვევლობის გამო ოჯალანმა და მისმა ჯგუფმა რამდენიმეჯერ გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება. ბოლო წლებში ქურთისტანის მუშათა პარტია და მისი შვილობილი ორგანიზაციები სულ უფრო მეტ ყურადღებას

---

[77] Çifçi, Deniz. The Kurds and the Politics of Turkey. London: I.B. TAURIS, 2019. p. 76.
[78] Council on Foreign Relations. "Kurdistan Workers' Party (PKK)." https://www.cfr.org/backgrounder/inside-kurdistan-workers-party-pkk (ბოლოს ნანახია 25.04.2023)
[79] Kurdistan Workers' Party (PKK) https://web.archive.org/web/20160118164751/http://www.nationalsecurity.gov.au/Listedterroristorganisations/Pages/KurdistanWorkersPartyPKK.aspx (ბოლოს ნანახია 25.04.2023)

ამახვილებენ პოლიტიკურ და სოციალურ აქტივიზმზე, რამაც თურქეთში ქურთი ხალხს მეტი ავტონომია უნდა მოუპოვოს სამომავლო პერსპექტივაში.

თავისი ისტორიის მანძილზე ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ტრანსფორმაცია განიცადა, ჯგუფის თავდაპირველმა მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ ადგილი დაუთმო უფრო რთულ და მრავალმხრივ მსოფლმხედველობას. სწორედ ოჯალანი გახლავთ ამ ტრანსფორმაციის მამოძრავებელი ძალა, რომელიც მხარს უჭერს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ მმართველობის სისტემას. უნდა ითქვას, რომ პარტიის ამჟამინდელი იდეოლოგია ქურთული ნაციონალიზმის, სოციალიზმის, ფემინიზმისა და ეკოლოგიზმის რთულ კონსტრუქციას წარმოადგენს. ოჯალანის მსოფლმხედველობის ძირითადი კონტურები და იდეოლოგიური მრწამსი გადმოცემულია მის მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილ შრომებსა თუ წერილებში.[80]

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომ ქურთების პრობლემატიკის გადაჭრის ერთიანი ხედვა არც თურქეთში მცხოვრებ ქურთებს შორის არ არსებობს, რისი თქმის საფუძველსაც გვაძლევს ქურთული ორგანიზაციების მიერ პრობლემატიკის გადაჭრის განსხვავებული მოდელების არსებობა. აღნიშნულ საკითხს ეძღვნება პოლიტიკის მეცნიერების დოქტორისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის დენიზ ჩიფჩის (Deniz Çifçi) მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც ავტორი განიხილავს ქურთული პრობლემატიკის გადაწყვეტის რამდენიმე პოლიტიკურ მოდელს და იქვე მიუთითებს სხვადასხვა მოდელის მხარდამჭერ პარტიებს თუ ჯგუფებს.

დემოკრატიული ავტონომია ქურთების მიერ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მოხსენიებული პოლიტიკური მოდელია, რომლის იდეოლოგიური საფუძვლები ოჯალანის პოლიტიკურ შეხედულებებს ეფუძნება. გარდა

[80] The Roots of Civilisation, Pluto Press, 2015; Manifesto of the Democratic Civilization - Civilization: The Age of Masked Gods and Disguised Kings (I), New Compass Press, 2015; Manifesto of the Democratic Civilization - Capitalism: The Age of Unmasked Gods and Naked Kings (II), New Compass Press, 2009; Manifesto of the Democratic Civilization - The Sociology of Freedom (III), PM Press, 2020;

ქურთისტანის მუშათა პარტიისა, ზემოხსენებულ მოდელის მოთხოვნას სხვა პოლიტიკურ პარტიებშიც მოიპოვა მხარდაჭერა: სახალხო ლეიბორისტული პარტია - HEP (1990-1993); სახალხო დემოკრატის პარტია - HADEP (1994-2003); სახალხო დემოკრატიული პარტია - HDP (2012 - დღემდე), რომლის იდეოლოგია პოლიტიკურ პლურალიზმზე, სოციალურ დემოკრატიასა და უმცირესობათა უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. ასევე თავისუფლებისა და დემოკრატიის პარტია - ÖZDEP (1992-1993), რომლის დახურვისთვისაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 1999 წელს თურქეთს კომპენსაციის გადახდა დაავალა.

ფედერალიზმი აგრეთვე ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოდელია ქურთებს შორის, განსაკუთრებით იმ ქურთებს შორის, რომლებიც თავს რელიგიურებად მიიჩნევენ. სწორედ რელიგიურად განწყობილმა ქურთებმა დააფუძნეს მედ-ზეჰრას საზოგადოება (Med-Zehra), რომლის იდეოლოგიურ საფუძველი ქურთული წარმოშობის საიდ ნურსის სწავლებასთანა არის დაკავშირებული. ქურთული საკითხის მოგვარების თვალსაზრისით მედ-ზეჰრას საზოგადოება რელიგიურ ქურთებში მოწინავედ პოზიციონირებდა მანამ, სანამ მას ცალკე ჯგუფი არ გამოეყო. მედ-ზეჰრას ახალმა ჯგუფმა ცალკე დააფუძნა ზეჰრას განათლებისა და კულტურის ფონდი. გარდა ხსენებული ჯგუფისა ფედერალიზმის მოდელს მხარს უჭერს თავისუფალი საქმის პარტია - Hüda-Par (2012 - დღემდე), უფლებებისა და თავისუფლებათა პარტია - Hak-Par (2002 - დღემდე), მონაწილეობითი დემოკრატიის პარტია (Kadep), თავის-უფლებისა და სოციალიზმის პარტია - ÖSP (2011 - დღემდე). ფედერალიზმის მხარდამჭერ პარტიებსა და ჯგუფებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული მოდელის ფარგლებში შესაძლებელი იქნება თვითმმართველობის მაღალი ხარისხის მიღწევა, ეროვნული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნება, საკუთარ ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების კონტროლი, თანასწორობის მიღწევა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული ჯგუფები უარყოფენ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მოდელს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ქურთების

ამჟამინდელმა სოციოპოლიტიკურმა სტრუქტურამ და პოლიტიკურმა მდგომარეობამ თურქეთსა და ახლოა აღმოსავლეთის რეგიონში შესაძლებელია ქურთებსა და რეგიონის ქვეყნებს შორის კონფლიქტური სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავოს. ფედერალიზმის მხარდამჭერთათვის მიუღებელია დემოკრატიული ავტონომიის მოდელი, ვინაიდან ამ უკანასკნელს არ გააჩნია ძლიერი ეთნიკურ-ტერიტორიული საფუძვლები და, რაც მთავარია, დემოკრატიული ავტონომიის მოდელში ნაკლებად იგრძნობა ეროვნულობის ხასიათი. მათთვის ასევე მიუღებელია იმ ჯგუფების მიერ მხარდაჭერილი მოდელიც, რომლებიც მხოლოდ ქურთების კულტურული უფლებებს ლობირებენ, ვინაიდან პროფედერალისტებისთვის აღნიშნული მოდელი მცირე მასშტაბისაა და, ამავდროულად, ქურთების პრობლემატიკის მხოლოდ კულტურული უფლებების დონემდე დაყვნა ქურთების სხვა ფუნდამენტური უფლებების ნიველირებასთან ასოცირდება.[81]

გასულ საუკუნეში ქურთების ეროვნული სახელმწიფოს შექმნისთვის ბრძოლამ ფიასკო განიცადა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეროვნული კერის შექმნის იდეა დღესაც პოპულარულია ქურთებს შორის და მას აქტუალურობა ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. თვითგამორკვევის უფლებისათვის ბრძოლა და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთათვის მთავარი მაკონსოლიდირებელი ფაქტორია. აზადი (ქუთ. თავისუფლებას ნიშნავს), იგივე ქურთისტანის ისლამური მოძრაობა 2012 წელს ქურთი ისლამისტების მიერ შექმნილი ორგანიზაციაა, რომელიც ქურთისტანის რეგიონს ქურთების ისტორიულ სამშობლოდ მიიჩნევს. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიურ საფუძველზე აღმოცენებული ქურთისტანის კომუნისტური მოძრაობის - (KKH), დემოკრატიულ უფლებათა ფედერაციების (DHF) და თურქეთის კომუნისტ მუშათა პარტიის (TKİP) წარმომადგენელთა ხედვით ქურთული საკითხის საბოლოოდ გადაჭრა მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს შექმნით არის მიღწევადი. ქურთული

[81] Çifçi, Deniz. The Kurds and the Politics of Turkey. London: I.B. TAURIS, 2019. pp. 139-173.

სახელმწიფოს შექმნის პოლიტიკური მოდელის მხარდამჭერ ორგანიზაციებს შორის აღსანიშნავია ისმაილ ბეშიქჩის ფონდი (İsmail Beşikçi Vakfı-IBV), ვინაიდან ორგანიზაციის კვლევითი საქმიანობა და ინტელექტუალური რესურსი ქურთული სახელმწიფოს შექმნისთვის საჭირო მყარი თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლის მომზადებისკენ არის მიმართული.[82]

სამართლიანობის და განვითარების პარტიისა (AKP) და რესპუბლიკური სახალხო პარტიის (CHP) წარმომადგენლები ქურთული პრობლემატიკის მოგვარებას მხოლოდ კულტურული უფლებების კონტექსტში განიხილავენ. ზემოხსენებული სამი პოლიტიკური მოდელის მხარდამჭერებისგან განსხვავებით, აღნიშნული მოდელის მიმდევრები თურქ ხალხთან, ყოველგვარი ტერიტორიული და ეთნიკური საზღვრების გარეშე, ერთ სახელმწიფოში კოჰაბიტაციის მომხრეები არიან. მათი აზრით, კულტურული უფლებების განმტკიცება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ქურთებს შორის პატივისცემის გაღრმავების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული მოდელის ინიციირება მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნება ქურთი და თურქი ხალხის ურთიერთობების ნორმალიზების და თურქეთის ერთიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მოდელი რელიგიურ და კულტურულ იდენტობას ეთნიკურ იდენტობაზე მაღლა აყენებს, ბუნებრივია რომ იგი კატეგორიულად წინააღმდეგობრივია ზემოგანხილულ პოლიტიკურ მოდელებთან მიმართებაში.[83]

ახლო აღმოსავლეთში 2010 წელს დაწყებულმა არაბულმა გაზაფხულმა და სირიის სამოქალაქო ომმა რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური დღის წესრიგი შექმნა, რამაც თურქეთის მხრიდან ქურთების წინააღმდეგ ბროლას ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ ამჯერად რეგიონულ დონეზე. სირიის სამოქალაქო ომის დაწყებიდან მალევე ქურთებმა გაიძლიერეს თავიანთი პოზიციები სირიაში. ამასთანავე ქურთებმა აშშ-ს დახმარებით მნიშვნელოვანი სამხედრო

[82] Çifçi, Deniz. The Kurds and the Politics of Turkey. London: I.B. TAURIS, 2019. pp. 175-190.
[83] იქვე, გვ. 111-137.

უპირატესობა მოიპოვეს ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ყველაფერმა თურქეთის მთავრობისა და რეჯეფ თაიფ ერდოღანის სერიოზული აღშფოთება გამოიწვია, რის გამოც თურქეთმა 2016, 2018 და 2019 წლებში რამდენჯერმე მიიტანა სამხედრო იერიში სირიის ჩრდილოეთ ნაწილში გამაგრებულ ქურთებზე. თავიდანვე ნათელი იყო, რომ თურქეთის ეს სამხედრო მანევრი რეგიონში ქურთების პოზიციების შესუსტებას და თურქეთში მცხოვრები ქურთების დაშინებას ემსახურებოდა. თუმცა, გარდა ამისა, თურქეთს ამ ნაბიჯით რეგიონში გავლენის მოპოვებაც სურდა. სამხედრო ოპერაციებით თურქეთმა გარკვეულწილად მიაღწია თავის მიზანს, რის შედეგადაც რეგიონში საგრძნობლად შემცირდა ქურთების პოზიციები. 2019 წელს საერთაშორისო და რეგიონული აქტორების ჩართულობით სირია-თურქეთის საზღვარზე ბუფერული ზონა შეიქმნა.

ყველასათვის ნათელია, რომ თურქეთის სახელმწიფო იდეოლოგია მიმართულია იმისკენ, რომ უარყოს ქურთი ხალხის არსებობა. თურქეთის მთავრობა ყველა ხერხს იყენებს რათა აღმოფხვრას და გაყოს ქურთი ხალხის ეროვნული მისწრაფებები. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე თურქეთში არსებული ანტიქურთული ძლიერი სახელმწიფო იდეოლოგია და განწყობა ქურთი ხალხის ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფად აღიარების საკითხს აფერხებს.

### 2.2. ქურთების საკითხი სირიის არაბთა რესპუბლიკაში

სირიაში მცხოვრები ქურთების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა პირობითად შეიძლება რამდენიმე პერიოდად დაიყოს. როგორც ცნობილია, ოსმალეთის დაშლის შემდეგ ქურთული მოსახლეობის ერთი ნაწილი სირიის ტერიტორიაზე ფრანგული მანდატის ქვეშ აღმოჩნდა. სირიაში ფრანგული მანდატის პერიოდში ადგილობრივი სამანდატო ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობა თავისი ხელისუფლება განემტკიცებინა და არაბული ნაციონალიზმის მკვეთრი გამოვლინებები თავიდან აეცილებინა. საფრანგეთის მანდატის პერიოდში სირია ხუთ ნახევრად

დამოუკიდებელ ავტონომიურ რეგიონად დაიყო, რამაც, ერთი მხრივ, გააძლიერა ფრანგული გავლენა, მეორე მხრივ კი, ფრანგულმა სამანდატო სისტემამ არაბული ნაციონალიზმის ლოკალიზება მოახერხა.

ფრანგული მანდატის პერიოდში ქურთების პოზიცია ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ქურთების ერთი ნაწილი ფრანგული მანდატის მიმართ დადებითად იყო განწყობილი, რადგანაც საფრანგეთის მიერ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმა ქურთების პოზიციების გამყარებას უწყობდა ხელს. ქურთების მეორე ნაწილი საფრანგეთის სამანდატო წინააღმდეგ გამოდიოდა და ისინი არაბებთან ერთად ებრძოდნენ ადგილობრივ სამანდატო ხელისუფლებას. ფრანგული მანდატის პერიოდში ქურთების ცნობიერებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა იმ თვალსაზრისით, რომ გაიზარდა ქურთული აზროვნების საზღვრები. ქურთებს შორის არსებულმა განსხვავებულმა პოზიციებმა ნაციონალისტური მისწრაფებები დაბლოკა.

მას შემდეგ, რაც სირიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ხელისუფლების სადავეები სუნიტებმა და ვაჭრებმა მოიპოვეს. თუმცა მათი მმართველობა დროებითი აღმოჩნდა, რადგანაც, ადიბ შიშქალის მიერ, სირიაში ორჯერ, 1949 და 1951 წლებში, განხორციელდა სამხედრო გადატრიალება. სირიამ მიიღო ახალი კონსტიტუცია და ქვეყანა კვლავ საპარლამენტო მმართველობას დაუბრუნდა. სამხედრო გადატრიალების მიზანი სირიაში არაბი მუსლიმებისგან შემდგარი სახელმწიფოს შექმნა იყო, სადაც არაბული ენის გარდა ყველა ენა უნდა აკრძალულიყო.

სირიაში ანტიქურთული განწყობა 1950-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა (ისრაელის სახელმწიფოს შექმნა, სუეცის კრიზისი, ერაყის რევოლუცია) კიდევ უფრო მასშტაბური გახადა. არაბულმა ნაციონალიზმმა საფრთხე შეუქმნა ქურთების ეროვნულ და კულტურულ იდენტობას.

გაერთიანებული არაბული რესპუბლიკის[84] სათავეში მყოფი გამალ აბდელ ნასერმა სირიაში მცხოვრებ ქურთებზე მაქსიმალურად გააძლიერა თავის ზეწოლა, რადგანაც ხელისუფლება მათ მოღალატეებად და სეპარატისტებად მიიჩნევდა. გარდა ამისა, ქურთებს დასავლურ იმპერიალიზმთან და სიონისტებთან კავშირში სდებდნენ ბრალს.[85]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერაყიდან და თურქეთიდან ქურთების შემოსვლამ საგრძნობლად გაზარდა მათი რაოდენობა სირიაში, რამაც დამასკო აღაშფოთა. სირიამ ქურთული საფრთხის აღმოფხვრის მიზნით 1962 წელს გამოსცა განკარგულება, რომელიც ელ-ჰასაქის პროვინციაში მოსახლეობის საყოველთაო აღწერას ითვალისწინებდა. მთავრობა ამ საკანონმდებლო განკარგულებით მიზნად ისახავდა დაედგინა ქურთი მოსახლეობა რაოდენობა და განესაზღვრა ქურთების მოქალაქეობის სტატუსი. აღწერის შედეგად 120-150 ათასმა ქურთმა სირიის მოქალაქეობის უფლება დაკარგა.[86] ხელისუფლებამ სირიაში მცხოვრები ქურთები სამ კატეგორიად დაყო:

1. სირიის ქურთები - რომლებსაც შეუნარჩუნდათ სირიის მოქალაქეობა;
2. უცხოელი ქურთები - რომლებსაც მთავრობამ ჩამოერთვათ მოქალაქეობა და ოფიციალურ დოკუმენტებში დარეგისტრირდნენ, როგორც უცხოელები;
3. „დამალული“ ქურთები - რომლებიც არ გამოცხადდნენ აღწერაზე და არ დარეგისტრირდნენ დოკუმენტებში.

სირიის ხელისუფლებამ შემდეგ წლებშიც გააგრძელა ქურთების შევიწროების პოლიტიკა. ამჯერად ხელისუფლებამ დემოგრაფიული სურათის შეცვლა დაისახა მიზნად, რისთვისაც სირიაში „არაბული სარტყლის“ შექმნას

---

[84] სირიისა და ეგვიპტის სუვერენული გაერთიანება, რომელიც 1958-1961 წლებში არსებობდა. მას შემდეგ, რაც გაერთიანება სირიამ დატოვა, ეგვიპტემ ხსენებული სახელწოდებით 1971 წლამდე განაგრძო არსებობა.
[85] Yildiz, Kerim. The Kurds in Syria: The Forgotten People. London: Pluto Press, 2005. p. 31.
[86] Ziadeh, Radwan. The Kurds in Syria: Fueling Separatist Movements in the Region? Washington: United States Institute of Peace, 2009. p. 2.

ჩაეყარა საფუძველი.[87] ჰაფეზ ასადის მმართველობის პერიოდში სირიამ ქურთების მიმართ ადრინდელ პოლიტიკა გააგრძელა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქურთებმა დადებითი როლი შეასრულეს ჰაფეზ ასადის ხელისუფლებაში მოპოვებისთვის ბრძოლაში. თავდაპირველ ეტაპზე ჰაფეზ ასადი ეთნიკურ და კონფესიურ უმცირესობებს იყენებდა ძალაუფლების განმტკიცებისთვის. მაგრამ შემდეგ ეტაპზე ასადმა უმცირესობების მიმართ აგრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო. არაბულ ნაციონალიზმზე დაფუძნებული ასადის სახელმწიფო პოლიტიკისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ქურთები, რადგანაც ისინი სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის საფრთხის შემქმნელ ელემენტად მიიჩნია.[88]

სირიაში ანტიქურთული რიტორიკა ბაშარ ასადის პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც არ შეცვლილა. 2001 წელს სირიის ხელისუფლებამ „დამასკოს გაზაფხულის“ სახელწოდებით დაწყებული რეფორმისტული მოძრაობის წინააღმდეგ მასშტაბური რეპრესიები განახორციელა. 2004 წელს ელ-კამიშლის[89] დაპირისპირების შემდეგ ხელისუფლებამ ქურთების მიმართ დამთმობი პოლიტიკის გატარების პირობა დადო. თუმცა სახელმწიფომ მაინც არ შეასრულა თავისი პირობა ქურთებთან მიმართებაში.

სირიის სამოქალაქო ომის შემდეგ ქურთებისათვის ახალი პოლიტიკური ერას ჩაეყარა საფუძველი. ქურთებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ისლამური სახელმწიფოს და საგრძნობლად შეასუსტეს მათი პოზიციები. 2015 წელს ქურთულმა და არაქურთულმა გაერთიანებულმა სამხედრო ძალებმა სირიის დემოკრატიული ძალები (Syrian Democratic Forces – SDF) შექმნეს და ამით რეგიონში ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდნენ. ქურთებმა სირიის

---

[87] 1973 წელს სირიის ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც სირია-თურქეთისა და სირია-ერაყის საზღვართან 375 კმ. სიგრძისა და 10-15 კმ. სიგანის სარტყლის შექმნას ითვალისწინებდა.

[88] სიჭინავა, ზუხუტი. ქურთები სირიის არაბულ რესპუბლიკაში. პოლიტო / LOGOS, 2021. გვ. 151.

[89] 2004 წელს, ჩრდილოეთ სირიაში, ელ-კამიშლის პროვინციაში გამართული საფეხბურთო მატჩის დროს მომხდარი შეტაკება არაბებსა და ქურთებს შორის, რომლის შედეგადაც დაშავდა 160 და დაიღუპა ორმოცამდე ქურთი.

დემოკრატიული ძალების დახმარებით პოზიციები გაიმყარეს ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში. გარდა პოზიციების გამყარებისა, როჟავას ავტონომიური ადმინისტრაციის ტერიტორიის საზღვრები საგრძნობლად გაფართოვდა.

სირიაში ქურთების პოზიციების გაძლიერებამ თურქეთის შეშფოთება გამოიწვია და ოფიციალურმა ანკარამ საპასუხო ნაბიჯები გადადგა, რათა ამით დარტყმა მიეყენებინა ქურთების ბოლოდროინდელი მიღწევებისთვის. 2016, 2018 და 2019 წლებში თურქეთმა ჩრდილოეთ სირიის ტერიტორიაზე რამდენჯერმე განახორციელა სამხედრო კამპანია. თურქეთის ეს მოქმედებები რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა. ამ სამხედრო მანევრით თურქეთი ცდილობდა დაესუსტებინა ქურთები სირიის ტერიტორიაზე და ამავდროულად გაეფრთხილებინა თურქეთში მცხოვრები ის ქურთები, რომლებიც სირიის დემოკრატიულ ძალებთან კავშირთან იყვნენ ეჭვმიტანილნი. ერდოღანის სამხედრო მოქმედებები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თურქეთის გავლენის ზრდასაც ემსახურებოდა მიზნად. ცხადია, რომ ოფიციალური ანკარას ქმედებები სირია-თურქეთის ტერიტორიაზე ბუფერული ზონის შექმნას და სირიდან თურქეთში ჩასული ლტოლვილების უნდა უკან დაბრუნებას ისახავდა მიზნად. ბუფერული ზონის შექმნა თურქეთში და სირიაში მცხოვრები ქურთების დაშორიშორებას და მათ შორის კონტაქტების შემცირებას ემსახურებოდა. 2019 წლიდან, სირია-თურქეთის საზღვარზე „ჩრდილოეთ სირიის მეორე ბუფერული ზონა“ არსებობს, რომელიც თურქეთის, რუსეთის, სირიისა და ქურთების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა.

### 2.3. ირანის ქურთისტანის პრობლემატიკა

ირანში ქურთები ძირითადად სამ პროვინციაში არიან წარმოდგენილნი, თუმცა ირანის მთავრობა ოფიციალურად მხოლოდ ცენტრალურ ნაწილს მოიხსენიებს, როგორც ქურთისტანად (სიჭინავა, ქურთები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 2020). ქურთები, ასევე უმრავლესობით არიან წარმოდგენილნი

ქერმანშაჰისა და დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციებში და ისინი ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და ლურების გვერდით მრავალი წელია თანაცხოვრობენ.[90] აგრეთვე, ისინი ცხოვრობენ ილამისა და ლურისტანის პროვინციებშიც.

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში ეთნიკურმა უმცირესობებმა დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის დაიწყეს მასშტაბური ბრძოლები, რაც გადამდები აღმოჩნდა ირანში მცხოვრები ქურთებისთვისაც და მათაც დაიწყეს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები. 1921 წელს ირანში მომხდარი გადატრიალების შემდეგ რეზა ფეჰლევმა ჩაახშო ქურთების გამოსვლები. რეზა ფეჰლევის მმართველობის (1925-1941 წლები) დროს ირანი ქურთების მიმართ ასიმილაციის პოლიტიკას ახორციელებდა. მისი მმართველობის პერიოდში აიკრძალა ეთნიკურ უმცირესობათა ენები სკოლებში, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში და სხვა დაწესებულებასა თუ საქმიანობაში.[91]

ირანის სახელმწიფო პოლიტიკა ქურთების მიმართ დიდად არ განსხვავდებოდა არც რეზა შაჰის მემკვიდრის, მოჰამედ რეზა ფეჰლევის მმართველობის (1941-1979 წლები) დროსაც. ახალმა შაჰმა ქურთებს თავიან ენაზე რადიო-მაუწყებლობის ნება მისცა. თუმცა შაჰმა ადგილობრივი ქურთული ტომის ბელადებს, იგივე ხანებს, ძალაუფლება შეუმცირა და 1960-1970-იან წლებში ქურთი ხანებისთვის ჩამორთმეული მამულები გლეხებს გადასცა.[92] ამ ფაქტმა, გარკვეულწილად, ნეგატიური როლი იქონია ქურთების პასტორალურ იდენტობაზე.

ირანში მცხოვრები ქურთებისთვის გარდამტეხ მოვლენად შეიძლება დასახელდეს ქურთისტანის, იგივე მეჰაბადის რესპუბლიკის შექმნა, რომლის დაარსებაში მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა კავშირმა შეიტანა. რესპუბლიკის

[90] სიჭინავა, ბუხუტი. "ქურთები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში." აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, 2020. გვ. 31.
[91] იქვე, გვ. 32.
[92] იქვე, გვ. 33.

შექმნამდე რამდენიმე წლით ადრე წარჩინებულმა და ინტელექტუალმა ქურთებმა ქალაქ მეჰაბადში 1942 წელს ჩამოაყალიბეს პოლიტიკური გაერთიანება „ქურთისტანის აღორძინების საზოგადოება“, რომელიც მოგვიანებით „ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიად“ გადაკეთდა. ქურთისტანის არსებობა ხან მოკლე აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ნავთობის საკითხზე მიღწეული შეთანხმების შემდეგ წითელმა არმიამ დატოვა მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებული ჩრდილოეთ ირანი, რის შემდეგაც ირანელებმა წერტილი დაუსვეს ქურთისტანის რესპუბლიკის არსებობას. ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ სახელმწიფომ რეპრესიები განახორციელა. პარტიის ლიდერები დააპატიმრეს ან სიკვდილით დასაჯეს, რის შემდეგაც პარტიამ თავისი არსებობა იატაკქვეშეთში გააგრძელა. მეჰაბადის რესპუბლიკამ მცირე ხნით იარსება (1946 წლის 22.01-დან 1946 წლის 15.12-მდე), თუმცა, მიუხედავად ამისა, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქურთების პოლიტიკურ ცხოვრებაში და ქურთი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას უფრო მტკიცე ნიადაგი მოუმზადა. მეჰაბადის რესპუბლიკა ქურთი ხალხის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების სიმბოლოდ იქცა.

ირანში მცხოვრები ქურთებისთვის იმედის მომცემი აღმოჩნდა მოჰამედ მოსადეყის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა. ქურთებმა თავიდანვე გამოუცხადეს მოსადეყის მთავრობას მხარდაჭერა. ახლად არჩეული პრემიერ-მინისტრის ნაციონალისტური და ანტი-იმპერიალისტური პოლიტიკური საშინაო და საგარეო პოლიტიკური პერიპეტიები მიუღებელი აღმოჩნდა სხვადასხვა ჯგუფისათვის, როგორც ირანში, ასევე ქვეყნის გარეთ. ირანის მთავრობის პოლიტიკის მიმართ ქურთების დადებითმა დამოკიდებულებამ მოსადეყსა და შაჰს შორის ურთიერთობები გაამწვავა და ქვეყანა სერიოზულ დაპირისპირებამდეც კი მიიყვანა. მოსადეყის მიერ ნავთობის ნაციონალიზაციამ დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია ირანის მთავრობის მიმართ. მოსადეყის მთავრობა მიუღებელი აღმოჩნდა ორივე მხარისათვის. 1953 წლის ზაფხულში მოჰამედ მოსადიყის მთავრობა დაამხეს.

ქურთებსა და შაჰის ხელისუფლებას შორის დაპირისპირება შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. ქურთული პრობლემატიკის მოგვარებას სათავეში ჩაუდგა 1967 წელს ემიგრაციიდან დაბრუნებული ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა, რომლებმაც ქურთ ხალხს პარტიზანული ბრძოლისკენ მოუწოდეს. შაჰის ხელისუფლებამ ამგვარ მოწოდებას სასტიკი დარბევით, მასობრივი ტერორით და მთელი რიგი აკრძალვებით უპასუხა, რის შედეგადაც ირანის ქურთისტანში აიკრძალა ლიტერატურა ქურთულ ენაზე, ეროვნული ქურთული სამოსით სიარული სახელმწიფო დაწესებულებებში და სხვა. შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ ირანში დაწყებულმა მასობრივმა გამოსვლებმა ქურთებსა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებში გათავისუფლების იმედი ჩასახა, რის გამოც ისინი აქტიურად ჩაერთნენ ანტიმონარქიულ რევოლუციაში, თუმცა 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ ეტაპზე გამოვლინდა რომ ქვეყანაში ანტიქურთული ქვეყანაში არ შეცვლილა და იგი კიდევ უფრო გაიზარდა.[93] ახალი რეჟიმის მიერ „წმინდა ომის“ გამოცხადების შემდეგ სახელმწიფომ მომდევნო წლებში მტრული სამხედრო მიდგომები აამოქმედა ქურთების წინააღმდეგ. ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ სახელმწიფო ენად ისევ სპარსული დარჩა.[94]

1979 წლის მაისში გამოქვეყნდა კანონპროექტი „ირანის ისლამური რესპუბლიკის თვითმმართველობითი რაიონების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება მხოლოდ რელიგიური უმცირესობების არსებობის ფაქტს ცნობდა მხოლოდ. ამავე კანონპროექტის მიხედვით, ქურთები „ტომობრივ გაერთიანებად“ იყო მოხსენიებული. ხელისუფლების მიერ ეთნიკური უმცირესობების უფლებათა უგულებელყოფამ ქურთ ხალხში ვნებათა ღელვა გამოიწვია. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომ რევოლუციის შემდეგ ქურთები მოლაპარაკებების

[93] პაქსაშვილი, მ. ქურთთა ემიგრანტული საზოგადოებები და გამათავისუფლებელი მოძრაობა ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნეში. დისერტაცია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1994. გვ. 88-94.
[94] Iranian Kurds: Consequences of political activities in Iran and KRI. Copenhagen: Danish Immigration Service, 2020. p. 48.

მშვიდობიანად გადაჭრის მომხრეები იყვნენ და მათი სურვილი ნამდვილად არ იყო ახალ რეჟიმთან კონფრონტაციაში ჩართვა. ირანის ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ ქურთისტანის ავტონომიის მინიჭების საკითხზე აიათოლა ხომეინის წარუდგინა პროგრამა - მინიმუმი და პროგრამა - მაქსიმუმი. პროგრამა - მინიმუმი შედგებოდა რვა პუნქტისაგან: 1. კონსტიტუციაში უნდა დაფიქსირდეს ქურთი ხალხის ეროვნული უფლებები ავტონომიის საფუძველზე; 2. დადგინდეს ავტონომიური ქურთისტანის საზღვრები ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორებისა და მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობის სურვილის მიხედვით; 3. ავტონომიური ქურთისტანის მოსახლეობა აირჩევს გენერალურ საბჭოს საყოველთაო არჩევებით; 4. გენერალური საბჭო აირჩევს აღმასრულებელ კომისიას ეკონომიკური, კულტურული და ადმინისტრაციული საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის; 5. ქურთულ ენას ოფიციალური ენის სტატუსი უნდა მიენიჭოს ქურთისტანში, სპარსულთან ერთად; 6. ყველა ადგილობრივი საქმე, უშიშროების სამსახურის ჩათვლით, უნდა დაექვემდებაროს ავტონომიური ორგანოების კონტროლს; 7. ქურთისტანის ყველა ეთნიკურ უმცირესობას უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები, დაცული უნდა იყოს საკუთარ ენაზე საუბარი და პატივი უნდა სცენ მათ კულტურას; 8. დაცული უნდა იყოს სიტყვის გამოხატვისა და პრესის თავისუფლება, აგრეთვე გარანტირებული უნდა იყოს ქურთი ხალხის გადაადგილებისა და პროფესიის არჩევის უფლება.[95] პროგრამა - მაქსიმუმი გაცილებით მოცულობითია და იგი 26 პუნქტისაგან შედგება და მასში ფაქტობრივად ზემოხსენებული პუნქტებია დეტალურად დაზუსტებული.[96]

ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის მიერ წარდგენილი დოკუმენტი მიუღებელი აღმოჩნდა ხომეინისათვის, ვინაიდან ირანის ახალი რეჟიმისთვის მხოლოდ ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლება იყო უპირატესი. გარდა ამისა, ხომეინიმ ზემოხსენებული პროგრამა ქვეყნაში

[95] Yildiz, K. The Kurds in Iraq: The Past, Present and Future. London, Ann Arbor: Pluto Press, 2004. p. 22-23.
[96] საკაძე, დ. ირანის "ისლამური რევოლუცია" და ქურთების საკითხი. საქართველოს კომუნისტი, N8. თბილისი: 1989. გვ. 86.

ეთნიკური სეპარატიზმის გაღვივების საფრთხედ შეაფასა. იმავე წელს, ირანის ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ ანალოგიური პროგრამით მიმართა ირანის იმჟამინდელ პრეზიდენტს აბოლჰასან ბანისადრს, რომელმაც ხსენებული პროგრამა ირანის პარლამენტს გადასცა განსახილველად, თუმცა მათი მხრიდანაც არაფერი შედეგი მოჰყოლია.

რევოლუციამ კორექტირება შეიტანა ირანის ერთიანობის აღქმაშიც - მონარქიულმა ინსტიტუტმა გზა დაუთმო შიიტურ ისლამს და სწორედ ის გახდა ირანის ახალი მაკონსოლიდირებელი იდეოლოგიური საფუძველი. რევოლუციის შემდეგ მიღებულმა კონსტიტუციამ ჩაანაცვლა 1907 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებული ირანის პირველი კონსტიტუცია. ახალ კონსტიტუციაში არ არის ნახსენები არც ერთი სიტყვა ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური უფლებებისა და ეროვნული ავტონომიის შესახებ.

როგორც ზევით აღინიშნა, ქურთები რევოლუციის საწყის ეტაპზე ენთუზიაზმით იყვნენ განწყობილები, თუმცა მათი მოლოდინები არ გამართლდა. აღნიშნულმა ფაქტმა კი მათ მიერ ეროვნული თვითგამორკვევის ბრძოლა კიდევ უფრო გააქტიურა. ახალი რეჟიმის მიერ უკომპრომისო პოზიციამ ეთნიკურ უფლებებთან დაკავშირებით ქურთისტანში დაძაბულობის კერა კიდევ უფრო გააღრმავა. ქურთი ხალხის თვითგამორკვევის, თვითმმართველობის გაძლიერებისა და ქურთული ენის ოფიციალურად ცნობისთვის დაწყებულ ბრძოლას ძირითადად მემარცხენე იდეოლოგიის ძალები ჩაუდგნენ სათავეში.

მიუხედავად რევოლუციის შემდეგ განვითარებული მოვლენებისა, ირანის პოლიტიკა ქურთების მიმართ შემდეგ წლებში გარკვეულწილად მაინც შერბილდა. ქურთებს თავიანთი ენის გამოყენების უფლება აქვთ

პუბლიკაციებსა თუ მედიაში, თუმცა ეს ყველაფერი სახელმწიფოს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს.[97]

ჰასან როუჰანის გაპრეზიდენტების შემდეგ ირანში მცხოვრებმა ქურთებმა მეტი კულტურული ღონისძიებების ჩატარების უფლება მოიპოვეს. თუმცა ეთნიკური და კონფესიური უმცირესობების უფლებები და მდგომარეობა ირანში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. დარღვეულია მათი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებები, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ დოკუმენტებსა და ანგარიშებში მკაფიოდაა ასახული. ირანის მთლიანი პატიმრების რაოდენობის ნახევარს ქურთი პოლიტპატიმრები შეადგენენ.[98]

ირანში ქურთებით და სხვა ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ პროვინციებში დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფონია შექმნილი, რადგანაც იქ მცხოვრები მოსახლეობა სამუშაო ადგილების მოძიების და დასაქმების თვალსაზრისით სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდებიან. გოზინეშის[99] პროცესმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ეთნიკური და კონფესიური ჯგუფების დასაქმების პერსპექტივები, რამაც ისინი აქტიურ სოციალურ ცხოვრებას ჩამოაშორა და მოწყვლად ჯგუფად აქცია.

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ირანში შექმნილმა რამდენიმე ქურთულმა პარტიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების და შენარჩუნების საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1945 წელს მეჰაბადში ყაზი მუჰამედის მიერ დაფუძნებული ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტია და 1969 წელს ქურთი ინტელექტუალებისა და

---

[97] სიჭინავა, ბუხუტი. "ქურთები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში." აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, 2020. გვ. 31.

[98] Iranian Kurds: Consequences of political activities in Iran and KRI. Copenhagen: Danish Immigration Service, 2020. p. 50.

[99] 1985 წლიდან ირანში მოქმედებს გოზინეშის კანონმდებლობა, რომელიც რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს უკრძალავს სრულფასოვან მონაწილეობას სამოქალაქო ცხოვრებაში. გოზინეშის კანონის და სხვა დებულებების მიხედვით უმცირესობების განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა მკაცრი იდეოლოგიური შემოწმებითა შესაძლებელი; აგრეთვე, მთავარი წინაპირობაა ისლამის პრინციპების ერთგულება.

სტუდენტების მიერ შექმნილი კომალა (Komala), რომლის თავდაპირველი პოლიტიკური შეხედულებები მარქსიზმისა და მაოისტური ჩინეთის იდეოლოგიას ეფუძნებოდა, თუმცა თანამედროვე ეტაპზე პარტია აგრეთვე იზიარებს დემოკრატიულ და პლურალისტურ ხედვებს. 1991 წლიდან აქტიურ პოლიტიკურ თუ სამხედრო საქმიანობას ეწევა საიდ იაზდანფანაჰის მიერ (Said Yazdanpanah) შექმნილი ქურთისტანის თავისუფლების პარტია (PAK), რომლის საქმიანობა რეგიონში ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნისკენ არის მიმართული. დემოკრატიულ და პლურალისტურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქურთისტანის თავისუფლების პარტია აქტიურად იყო ჩართული ერაყელი ქურთების მხარეს ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. მულტიეთნიკური ირანის, მეტი ავტონომიის, ირანის თეოკრატიული რეჟიმის დამხობისა და გენდერული თანასწორობის მოტივები მთავარი მიმართულებებია 2004 წელს აბდულ რაჰმან ჰაჯი აჰმადის (Abdul Rahman Haji Ahmadi) მიერ დაფუძნებულ ქურთისტანის თავისუფალი ცხოვრების პარტიისთვის (PJAK), რომელიც ირანის, თურქეთის, სირიისა და ერაყის ქურთული დიასპორის სამ ათასამდე წარმომადგენლებს აერთიანებს. ზემოხხსენბული პარტიები არალეგალურად არიან გამოცხადებულნი ირანში, თუმცა, მიუხედვად ამისა, ისინი აქტიურ პოლიტიკურ და სამხედრო საქმიანობას ეწევიან რეგიონში, რაც ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვლინდა კიდევაც.[100]

### 2.4. ქურთების საკითხი და ეთნო-კონფესიური პრობლემები ერაყში

ქურთები ყველაზე დიდ ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ ერაყში და მათი უმრავლესობა ერაყის ქურთისტანის ავტონომიურ რეგიონშია დასახლებული. თუმცა, გარდა ამ რეგიონისა, ისინი აგრეთვე დასახლებულნი არიან ე.წ სადავო ტერიტორიებზე, განსაკუთრებით კი კირკუკში.[101]

[100] სიჭინავა, ბუხუტი. "ქურთები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში." აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, 2020. გვ. 36-38.

[101] ერაყის ქურთისტანის რეგიონი ოთხ პროვინციას მოიცავს, ესენია: ერბილი, დაჰუკი, სულეიმანია და ჰალბაჯა.

ერაყის ტერიტორია ეთნიკური, კონფესიური და ლინგვისტური თვალსაზრისით არასდროს ყოფილა ჰომოგენური. მას შემდეგ, რაც ერაყმა 1932 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანაში ადრინდელი მრავალფეროვნება ისევ შენარჩუნდა. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წელს ერაყის მოსახლეობას სუნიტი და შიიტი არაბები, სუნიტი ქურთები, არამუსლიმი არაბები, სუნიტი თურქმენები, ებრაელები და ასირიულ ენაზე მოლაპარაკე ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობის მიმდევრები შეადგენდნენ[102]. ერაყის ეთნო-კონფესიური და ლინგვისტური არაერთგვაროვანი მოზაიკა თავიდანვე ქმნიდა იმის საფუძველს, რომ ქვეყანაში მალევე გამწვავდებოდა დაპირისპირება ფაშისტურად განწყობილ არაბ ნაციონალისტებსა და ეთნო-კონფესიურ უმცირესობებს შორის.

ერაყში პანარაბული ნაციონალისტური ძალები სერიოზული გავლენებით სარგებლობდნენ, როგორც ბრიტანეთის მანდატის დროს (1921 წლიდან 1932 წლამდე), ასევე და მონარქიის (1932-1958 წლებში) პერიოდშიც. მათი უმრავლესობა სუნიტები ან ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის პერიოდში დაწინაურებული და წარჩინებული ოჯახებიდან იყვნენ. მათ, 1920-იან წლებში, არაბული ნაციონალისტური იდენტობის განცდისაგან გამოცლილ არაბებში ეროვნული სულისკვეთების გაღვივება მოახერხეს, ხოლო შემდეგ პანარაბულ ნაციონალისტურ მოტივებზე აღმოცენებული იდეები სახელმწიფოს შექმნის მთავარ იდეოლოგიურ ბაზისად აქციეს.

მას შემდეგ, რაც ერაყი ბრიტანეთის სამანდატო სისტემისაგან სამართლებრივად გათავისუფლდა და დამოუკიდებლობა მოიპოვა, მთავრობამ ერაყის ქურთისტანში თავისი ძალაუფლების განმტკიცება სცადა, რამაც ქურთებსა და მთავრობას შორის პირველი დაპირისპირება გამოიწვია ახლადშექმნილ სახელმწიფოში.

---

[102] Wimmer, Andreas. "Democracy and ethno-religious conflict in Iraq." Working Paper, Discussion Papers on Development Policy, Center for Development Research (ZEF), Bonn, 2003. p. 6.

1932 წელს ქურთებმა მთავრობის წინააღმდეგ პირველი ამბოხი დაიწყეს, რომლის მიზეზიც ერაყის მთავრობის მიერ ქურთისტანში თავისი ძალაუფლების განმტკიცების მცდელობა იყო. ქურთები ბრიტანეთის მანდატის პერიოდშიც აწყობდნენ აჯანყებებს, თუმცა მხარეებს შორის ძალთა უთანასწორობისა და სამხედრო-ტექნიკური ფაქტორის გამო წარმატებას ვერ აღწევდნენ. ქურთებს შორის არსებული ტომობრივი შუღლი და ღალატი მათ კოორდინირებულ მოქმედებას და კონსოლიდაციას ართულებდა, რის გამოც, შეიძლება ითქვას, რომ მათი აჯანყება ჩანასახშივე იყო განწირული.

ქურთებსა და მთავრობას შორის დაპირისპირების შემდეგი რაუნდი 1940 წელს დაიწყეს, როდესაც ქურთებმა, მუსტაფა ბარზანის ხელმძღვანელობით, ბრძოლა გამოუცხადეს ბარზანის ხეობაში ერაყის მთავრობის მიერ ახლადშექმნილ საპოლიციო პოსტებს. ქურთების ეს მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა და ბარზანი დამარცხდა, რის შემდეგაც მან და თავისმა ათი ათასამდე თანამოაზრემ ერაყის ტერიტორია დატოვეს. თუმცა, 1958 წელს, ერაყში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, ისინი ემიგრაციიდან დაბრუნდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არაბებმა და ქურთებმა ერთობლივად ითანამშრომლეს ფაისალ მეორის (ერაყის მეფე 1937-1958 წლებში) წინააღმდეგ რევოლუციის მოწყობაში. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შეიქმნა რევოლუციური მთავრობა, რომელსაც გენერალი აბდალ ქერიმ ყასემი ხელმძღვანელობდა. 1958 წლის ივლისში დროებითმა კონსტიტუციამ მონარქიის პერიოდში არსებული კონსტიტუცია ძალადაკარგულად, ხოლო ერაყი სუვერენულ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. დროებითი კონსტიტუციის მესამე მუხლის მიხედვით, ერაყის რესპუბლიკა არაბებისა და ქურთების ერთობაზე იყო დაფუძნებული.[103]

[103] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 193.

ყასემის მთავრობის მიერ რეფორმებმა და გარდაქმნებმა ერაყის პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლებას შეუწყო ხელი. რევოლუციური მთავრობის პირველი თვეები საკმაოდ პოზიტიურად აისახა ქურთების სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაზე. ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიას, პირველად თავის ისტორიაში, ლეგალურად მოქმედების საშუალება მიეცა. რევოლუციური მთავრობის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ქურთებს თავიანთი ეროვნული მიზნებისა და მისწრაფებების რეალურად განხორციელების ხელსაყრელი პირობები შეუქმნა.[104]

არაბებსა და ქურთებს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიაში აბდალ ქერიმ ყასემის დროებითი მთავრობის მიმართ აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა, რაც შემდგომ ფრაქციულ ბრძოლაში გადაიზარდა. ყოველივე ამან ერაყში ანტიქურთული განწყობის გაღვივება გამოიწვია, რის გამოც მთავრობამ საპასუხო ნაბიჯები გადადგა. ქურთებით დასახლებულ რაიონებში ყასემის მთავრობის 18 თვიანი საომარი მოქმედებების შედეგად 3 ათასამდე ქურთი დაიღუპა, განადგურდა 100-ზე მეტი სოფელი, ხოლო 100 ათასამდე ქურთი მთაში გაიხიზნა.[105]

1962 წელს ერაყში მწვავე ნაციონალური კრიზისი შეიქმნა, რომელიც უარყოფითად აისახა ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აბდელ ქერიმ ყასემის მთავრობის პოლიტიკა არაეფექტური აღმოჩნდა, მრავალი მიზეზის გამო. მთავრობის ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ შესუსტდა ხოლო ქურთების საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა. ამ ყველაფერმა ქვეყანაში შექმნა რევოლუციური პროცესი, რაც შემდგომ, 1963 წლის 8 თებერვალს, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის (შემდგომში ბაასი) ხელმძღვანელობით, სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა. პირველ ეტაპზე ბაასი მიესალმებოდა ქურთების რევოლუციას, თუმცა ეს მხოლოდ ვერბალური ხასიათის იყო, რადგანაც ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავისი

---

[104] იქვე, გვ. 194.
[105] იქვე, გვ. 198.

პოზიციები გამყარებული და ქურთებთან კონფრონტაცია ამ ეტაპისათვის კონტრპროდუქტიული იქნებოდა. ბაასმა ყასემის მთავრობის დროს ერაყის ქურთისტანის რეგიონში განლაგებული ნაწილების გამოყვანა განიზრახა, რათა ეს სამხედრო ნაწილები ქვეყნის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებში დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ გამოეყენებინა.[106] ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ არაბებსა და ქურთებს შორის დროებითი ზავი დაიდო.

ბაასის პარტიასა და ქურთებს შორის ურთიერთობები მას შემდეგ გამწვავდა, როდესაც ქურთებმა დაჟინებით მოითხოვეს კირკუკისა და მოსულის ქურთისტანის ავტონომიურ რეგიონთან მიერთება. ქურთების ეს მოთხოვნა მიუღებელი აღმოჩნდა ბაასის ხელისუფლებისთვის და ერაყში ქურთების წინააღმდეგ საომარი მოქმედებები კვლავ განახლდა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ბაასის პარტიამ ქურთების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები და არაბიზაციის პროცესი, რომელიც 2003 წლამდე გაგრძელდა.

სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში ერაყის მთავრობამ ადგილობრივი ქურთების წინააღმდეგ, 1988 წლის 23 თებერვლიდან 6 სექტემბრამდე, სამხედრო კამპანიების რვა სერია განახორციელა, რომელიც ისტორიაში ალ-ანფალის[107] სახელწოდებით დამკვიდრდა. სადამ ჰუსეინი თავისი პარტიის პოლიტიკურ თუ სამხედრო მოქმედებებს რელიგიური მოტივებით ამართლებდა და ამბობდა, რომ არაბები ისლამის ნამდვილი დამცველები, ხოლო ქურთები მოღალატეები იყვნენ. მთავრობის ეს სამხედრო იერიშების სერია ერაყის თანამედროვე ისტორიის მასშტაბურ და უპრეცედენტო გენოციდადაა შეფასებული.[108]

ბაასის პარტიის მიერ მოწყობილი ალ-ანფალის სამხედრო კამპანიის შედეგად დაახლოებით სამი ათასამდე ქურთული სოფელი ფიზიკურად

---

[106] მენთეშაშვილი, ალბერტ. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978. გვ. 208.
[107] ტერმინი ალ-ანფალი რელიგიური წარმომავლობა აქვს. იგი ყურანის მერვე სურის სახელწოდებაა. სიტყვასიტყვით ალ-ანფალი ნადავლს ან ბრძოლის ნადავლს ნიშნავს.
[108] Story of Aanfal. https://kurdistanmemoryprogramme.com (ბოლოს ნანახია - 13.06.2021)

განადგურდა. გადასახლება და მასობრივი დაპატიმრებები შეეხო 1.5 მლნ ადამიანს. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული, მიიჩნევა, რომ ალ-ანფალის სამხედრო ოპერაციების დროს სამოქალაქო და სამხედრო პირების წინააღმდეგ ქიმიური იარაღისა თუ სხვა საშუალებების გამოყენების შედეგად 180 ათასი ადამიანი დაიღუპა.[109]

სპარსეთი ყურის ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის ეპოქა დაიწყო ქურთებისთვის. ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციას მწვავე სამხედრო თუ პოლიტიკური რეაგირება მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ქურთისტანის რეგიონის არასაფრენ ზონად გამოცხადებამ, ერთი მხრივ, აღკვეთა სადამ ჰუსეინის მიერ ქურთების გენოციდის პროცესი, ხოლო, მეორე მხრივ, ქურთებს უსაფრთხო პირობებში თვითმმართველობის შესაძლებლობა მიეცათ. ერაყის ქურთისტანის რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების გასვლის შემდეგ შექმნილმა პოლიტიკურმა ვაკუუმმა ბიძგი მისცა რეგიონში არჩევნების ჩატარებას. 1992 წლის მაისს ჩატარებულ არჩევნებში ქურთისტანის დემოკრატიულმა ხმების 45%-ზე მეტი მოიპოვა. 1992 წლის 19 მაისს შექმნილი ერაყის ქურთისტანის ავტონომია ცენტრალურმა ხელისუფლებას 2005 წლამდე არ უღიარებია. ერაყის ქურთისტანის მიერ ავტონომიის გამოცხადების შემდეგ მან მალევე ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი სიმბოლიკები შეიძინა როგორებიცაა: ეროვნული დროშა, ჰიმნი, ვალუტა, ქურთულ ენაზე ტელე-რადიო მაუწყებლობა, გამომცემლობები, მუზეუმები, ოფიციალური დღესასწაულები და სხვა.[110]

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ქურთებმა საგრძნობლად გაიუმჯობესეს თავიანთი მდგომარეობა ერაყში, იმ თვალსაზრისით, რომ გაფართოვდა მათი ავტონომიის ხარისხი და შეიძლება ითქვას, რომ რეგიონმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარკვეული ნიშნებიც კი შეიძინა. ერაყის

[109] Yildiz, Kerim. The Kurds in Iraq: The Past, Present and Future. London, Ann Arbor: Pluto Press. 2004. p. 25.
[110] Rafaat, A. Kurdistan in Iraq: The evolution of a quasi-state. London: Routladge, 2018. p. 151-152.

ხელისუფლებისათვის დღემდე მტკივნეულ საკითხად რჩება ქურთების ეროვნული მისწრაფებები და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მცდელობები. 2017 წლის 25 სექტემბერს ერაყის ქურთისტანის რეგიონში ჩატარდა რეფერენდუმი. ბიულეტენზე მხოლოდ ერთადერთი შეკითხვა იყო დასმული - „გსურთ თუ არა, რომ ქურთისტანის რეგიონი და ქურთისტანის ის ადგილები, რომლებიც რეგიონის საზღვრებს გარეთაა, გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო?“ (სანიკიძე 2017). რეფერენდუმში მონაწილეობა ქურთისტანის და მისი მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის დაახლოებით 72 %-მა. რეფერენდუმში მონაწილეთა 86 %-მა მხარი დაუჭირა ბიულეტენში დასმულ შეკითხვას.[111]

რეფერენდუმის ჩატარების ფაქტი და შედეგები თავიდანვე მიუღებელი აღმოჩნდა რეგიონის აქტორებისათვის, რაც ისედაც ცხადი იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახლო აღმოსავლეთში ისრაელი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც რეგიონში ქურთული სახელმწიფოს შექმნის მომხრე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დასავლეთის პოზიცია რეფერენდუმთან დაკავშირებით საკმაოდ თავშეკავებული აღმოჩნდა.

ერაყის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ქურთისტანის რეგიონულ მთავრობას შორის დაპირისპირების კიდევ ერთი განზომილება წყლის რესურსებს უკავშირდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტმა (Southeastern Anatolia Project) საგრძნობლად შეამცირა ევფრატისა და ტიგროსის წყლის მოცულობა ქვედა დინების სახელმწიფოებში (სირია და ერაყი). 1980 წლიდან ევფრატისა და ტიგროსის ნაკადი 30 %-ით შემცირდა. ერაყის მთავრობის ვარაუდით ეს მაჩვენებელი 2030 წლისათვის 50 %-მდე გაიზრდება.[112]

[111] სანიკიძე, გიორგი. რეფერენდუმი ერაყის ქურთისტანში - ახალი გამოწვევა ახლო აღმოსავლეთისათვის. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2017.
[112] Sitchinava, Bukhuti. "Water Security in the Middle East on the Example of Iraqi Kurdistan." Ante Portas - Security Studies (University of Business and Entrepreneurship) XVI (I): 2021. p. 69-79. doi:10.33674/120215.

მოსალოდნელი საფრთხეების გამო ერაყის ქურთისტანმა წყლის უსაფრთხოების საკითხზე ზრუნვა ზრუნვა ბაღდადისაგან დამოუკიდებლად განიზრახა. 2014 წელს ერაყის ქურთისტანის რეგიონულმა მთავრობამ რეგიონში 245 კაშხლის შენების ინიციატივა გააჟღერა. ქურთისტანის რეგიონში წყლის რაოდენობის შემცირებაზე ირანიც ახდენს გავლენას. 2019 წელს ირანული მხარის მიერ მდინარე მცირე ზაბზე და სირვანზე განხორციელებულმა პროექტებმა დიდი ზიანი მიაყენა რეგიონს, კერძოდ კი შეიზღუდა სასმელი წყლის მომარაგება და ელექტროენერგიის წარმოება; დაზიანდა რეგიონის საირიგაციო სისტემაც, რაც რეგიონის სოფლის მეურნეობის საქმიანობაზე უარყოფითად აისახა.

ქურთისტანის მთავრობის მიერ გაჟღერებული ინიციატივის შედეგები სერიოზული საფრთხის მომტანი იქნება ერაყისთვის. ოფიციალურ ბაღდადში აცხადებენ, რომ ქურთისტანის რეგიონში აგებული კაშხლები კიდევ უფრო შეამცირებს წყლის მოცულობას დანარჩენი ერაყის ტერიტორიაზე. ბაღდადსა და ერბილს შორის მრავალი წელია არსებობს დაძაბული ურთიერთობა და შესაძლებელია, რომ წყლის რესურსების საკითხმა კიდევ უფრო გაამწვავოს მხარეებს შორის ურთიერთობები, რაც რეგიონულ მასშტაბშიც შეიძლება გადაიზარდოს.

ცხადია, რომ ქურთისტანის მიერ დასახული გეგმა მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდას ემსახურება მიზნად. აშკარაა ის ფაქტიც, რომ გეგმას თავის პოლიტიკური ასპექტიც აქვს, კერძოდ ერბილმა იგი შეიძლება ოფიციალური ბაღდადის წინააღმდეგ ზეწოლის ინსტრუმენტადაც კი აქციოს. ქურთული მხარე ამ ინიციატივით, ერთი მხრივ, მოსახლეობის წყლის უსაფრთხოების საკითხს მოგვარებას, ხოლო, მეორე მხრივ კი, ბაღდადისგან მეტი დამოუკიდებლობის მოპოვებას შეეცდება.[113]

[113] Sitchinava, Bukhuti. "Water Security in the Middle East on the Example of Iraqi Kurdistan." Ante Portas - Security Studies (University of Business and Entrepreneurship) XVI (I): 2021. p. 69-79.

შიდა ქურთული უთანხმოებები და განსხვავებული პოზიციები უცხო მოვლენაა არ არის არც ერაყში მცხოვრები ქურთებისთვის. აღნიშნული ფაქტზე აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ, ვინაიდან მას ქურთების ერთიანობის შენარჩუნების საკითხში გადამწყვეტი როლი აკისრია. ძალაუფლების და გავლენის სფეროების გადანაწილებით ინსპირირებული განხეთქილება 1994 წელს ერაყის ქურთისტანის რეგიონში სამოქალაქო ომის დაწყების მიზეზი გახდა, სადაც ერთმანეთს ქურთისტანის დემოკრატიული პარტია და ქურთისტანის პატრიოტული გაერთიანება დაუპირისპირდნენ. პარტიებს შორის დაპირისპირების ისტორია ქურთისტანის დემოკრატიული პარტიაში მუსტაფა ბარზანსა და ჯალალ ტალაბანს შორის მომხდარი განხეთქილებიდან იღებს სათავეს. კერძოდ, მას შემდეგ, რაც მუსტათაფა ბარზანაიმ დატოვა ირანი, ჯალალ ტალაბანიმ და მისმა მომხრეებმა 1975 წელს დამასკოში ქურთისტანის პატრიოტული გაერთიანების ჩამოყალიბება გამოაცხადეს. ვაშინგტონში გამართული სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად, რომელსაც მანამდე რამდენიმე შეხვედრა უძღოდა წინ, 1998 წელს ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასა და ქურთისტანის პატრიოტულ გაერთიანებს შორის შედგა შეთანხმება: პარტიის ლიდერებმა ერთობლივად დაგმეს რეგიონში მომხდარი ძალადობრივი დაპირისპირება და პირობა დადეს, რომ თავს შეიკავებენ ერთმანეთის მიმართ ძალადობისგან, საშინაო საქმეებში გარე აქტორების ჩარევისგან, ერთმანეთის მიმართ პრესაში შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებისგან და ერთად იზრუნონ ადამიანთა უფლებებსა და მოქალაქეების მშვიდობიან გადაადგილებაზე. [114]

გავლენის სფეროების და უპირატესობის მოპოვებისთვის ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი მთავარ გამოწვევად შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ერაყის ქურთისტანის რეგიონში, ვინაიდან იგი ხელს უშლის ქურთების კონსოლიდირებულ მოქმედებებს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლაში. გარდა ამისა, ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასა და

[114] Yildiz, K. The Kurds in Iraq: The Past, Present and Future. London, Ann Arbor: Pluto Press, 2004. p. 50.

ქურთისტანის პატრიოტული გაერთიანებას შორის განხეთქილება ერაყის ქურთისტანის რეგიონში მწვავე სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს. პარტიებს შორის დაპირისპირებები მრავალმხრივია და მას არასდროს ჰქონია ჰომოგენური ხასიათი. ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასა და ქურთისტანის პატრიოტულ გაერთიანებას შორის არსებული კონფრონტაციის მიზეზები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ისტორიული და იდეოლოგიური განსხვავებები; ტერიტორიული დავები; პიროვნული შეხედულებები ერთმანეთის მიმართ; საგარეო ფაქტორების გავლენა; პოლიტიკური ძალაუფლებისთვის განმტკიცებისთვის ბრძოლა, ეკონომიკური ინტერესები; ბუნებრივი რესურსები; ურთიერთ ბრალდებები კორუფციასთან დაკავშირებით და სხვა.[115]

[115] Jaff, Nawras. PUK and KDP: A New Era of Conflict. Washington Institute, Dec 21, 2022. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/puk-and-kdp-new-era-conflict (ბოლოს ნანახია 03.05.2022)

# III თავი. ქურთული საკითხის გლობალური განზომილება და ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივები

თანამედროვე საერთაშორისო სისტემა და არსებული დღის წესრიგი გლობალური აქტორების მიერ ფორმირდება. დიდი სახელმწიფოების ქმედებები გლობალურ პოლიტიკაში თავიანთი ეროვნული, გეოპოლიტიკური თუ გეოსტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს. მაშინ, როდესაც ვერსალის კონფერენციის მოლაპარაკებების მაგიდაზე საერთაშორისო აქტორები პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ტერიტორიების გადანაწილებასა და ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაზე მსჯელობდნენ, დავინახეთ, რომ ქურთებმა, მიუხედავად დაპირებისა, მაინც ვერ შეძლეს ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, რომლის მიზეზიც საერთაშორისო აქტორების გეოპოლიტიკური თამაშები გახლდათ.

ნაშრომის ამ თავში, შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენებით, შევეცადეთ გამოგვეკვლია თუ რა განწყობები არსებობდა ქურთისტანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმთან დაკავშირებით როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე, რისთვისაც შევისწავლეთ ცალკეული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების, პოლიტიკური პარტიების, რეგიონული და გლობალური აქტორების პოზიციები.

საგარეო პოლიტიკური ანალიზის მეთოდის გამოყენებით კი შევისწავლეთ ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოზიციები ქურთებთან და ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივასთან დაკავშირებით, რისთვისაც გავეცანით ხსენებული ქვეყნების სტრატეგიულ და ოფიციალურ დოკუმენტებს, ასევე შევისწავლეთ ცალკეული ექსპერტებისა თუ სპეციალისტების მოსაზრებები ქურთულ საკითხთან დაკავშირებით ჩამოთვლილი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის კონტექსტში.

## 3.1. ერაყის ქურთისტანის რეფერენდუმი და საერთაშორისო თანამეგობრობის გამოხმაურება (შემთხვევის ანალიზი)

2017 წლის 25 სექტემბერს ერაყის ქურთისტანის რეგიონში გაიმართა რეფერენდუმი, რომლის შედეგების თანახმადაც ამომრჩეველთა 92.73%-მა დამოუკიდებლობის მოპოვების სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. რეფერენდუმის ჩატარებამდე ჯერ კიდევ 2014 წლიდან ქურთისტანის რეგიონის პრეზიდენტი მასუდ ბარზანი დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას აანონსებდა. ერბილის ამგვარი რიტორიკა დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი ფაქტორით იყო განპირობებული. პირველი, რასაკვირველია ისლამური სახელმწიფოს ექსპანსიის შედეგად ერაყის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით იყო გამოწვეული, ხოლო მეორე - 2014 წელს ქურთისტანის რეგიონული მთავრობის მიერ კირკუკის ოლქის მიერთებით, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა ქურთისტანის რეგიონის ფინანსური მდგომარეობა და ერბილს დამოუკიდებელი ეკონომიკური და პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგა. სწორედ ეკონომიკურმა და სამხედრო ფაქტორებმა განაპირობა ერბილის დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა. დამოუკიდებლობის რეფერენდუმს რეგიონულ და გლობალურ დონეზე თითქმის ერთგვაროვანი და ინდიფერენტული გამოხმაურება მოჰყვა.

რეფერენდუმი გაიმართა ერაყის ქურთისტანის რეგიონის სამივე მუჰაფაზაში[116] (დაჰუკი, ერბილი და სულეიმანია) და ასევე იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ბაღდადსა და ერბილს შორის სადავოა (იხ. **სურათი N1**). რეფერენდუმის ჩატარების დროს რეგიონის მოსახლეობა დაახლოებით 5.2 მლნ იყო,[117] საიდანაც კენჭისყრაზე დარეგისტრირებული იყო 4,581,255 კაცი.

[116] ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ერაყში.
[117] Iraqi Kurds overwhelmingly back split from Baghdad, 27.09.2017. https://www.aljazeera.com (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო დარეგისტრირებულთა საერთო რაოდენობის 72.16%-მა (3,305,925). ვალიდური ბიულეტენების საერთო რაოდენობის (3,085,935) 92.73%-მა დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმს დადებითი პასუხი გასცა, ხოლო დანარჩენმა, 224,464 (7.27%) ათასმა კაცმა უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა.[118]




**სურათი N1** - ქურთების რეფერენდუმი ერაყში. წყარო - Iraqi Kurds overwhelmingly back split from Baghdad, 27.09.2017. https://www.aljazeera.com (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

ნაშრომის ამ ქვეთავში შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენებით შევეცადეთ შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა 2017 წლის 25 სექტემბერს ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმი. კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ცალკეული რელიგიური ჯგუფების, პოლიტიკური პარტიების, მაღალი რანგის პოლიტიკოსების, ექსპერტების და რეგიონული თუ გლობალური აქტორების პოზიციები, ოფიციალური განცხადებები, საჯარო გამოსვლები, ინტერვიუები და სხვა სახის შეფასებები. რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა თუ რა მოცემულობაში მოუწია ერაყის

[118] Kurdistan referendum results: 93% of Iraqi Kurds vote for independence, say reports, 27.09.2017. https://www.independent.co.uk/news/world/middle-east/kurdistan-referendum-results-vote-yes-iraqi-kurds-independence-iran-syria-a7970241.html (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

რეგიონულ მთავრობას რეფერენდუმის ჩატარება, ასევე როგორ შეხვდნენ სხვადასხვა აქტორები რეფერენდუმის გამოცხადებას და, შემდგომ, მის ჩატარებას. ასევე, ერთგვარად, გამოგვეთქვა მოსაზრებები სამომავლო პერსპექტივებზე ერაყის ქურთისტანის საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის კომპლექსურობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საკითხი შეგვესწავლა სივრცითი განზომილებების მიხედვით, რისთვისაც, პირობითად, გამოვყავით სამი დონე:

- **ლოკალური დონე** - რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, გავაერთიანეთ ადგილობრივი ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური ჯგუფების შეხედულებები და პოზიციები ერაყის ქურთისტანის რეფერენდუმთან დაკავშირებით. ასევე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვესწავლა კატალონიის, არცახის, იგივე მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო რესპუბლიკის და საერთაშორისო არენაზე ახლადშექმნილი კოსოვოს პოზიციები.
- **რეგიონული დონე** - ამ დონეზე გავაერთიანეთ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ის ქვეყნები, რომლებშიც ცხოვრობენ ქურთები. შევისწავლეთ ერაყის, თურქეთის, სირიისა და ირანის სახელმწიფოების ოფიციალური პოზიციები; რეგიონის ცალკეული ქვეყნის მაღალჩინოსნების საჯარო განცხადებები და შეფასებები. ასევე განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ისრაელის სახელმწიფოს პოზიციაზე და ვეცადეთ ამ უკანასკნელის დამოკიდებულება ქურთისტანის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით უფრო ღრმად შეგვესწავლა, ვინაიდან ახლო აღმოსავლეთის რეგიონსა და მსოფლიოში ისრაელი ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა ერაყის ქურთისტანის რეფერენდუმს და ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეას.
- **გლობალური დონე** - ძირითადად შევისწავლეთ ისეთი საერთაშორისო აქტორების პოზიციები, როგორიცაა: აშშ, რუსეთი და ჩინეთი. ვინაიდან საერთაშორისო პოლიტიკაში მათ დიდი გავლენები აქვთ და მათი

გეოპოლიტიკური სტრატეგიები თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ დღის წესრიგს აყალიბებენ. თუმცა ხსენებული ქვეყნების პოზიციები ქურთისტანის რეფერენდუმთან და, ზოგადად, ქურთების საკითხთან დაკავშირებით განხილული იქნება ამავე ნაშრომის მეორე ქვეთავში.

გასაკვირი არ იყო ის ფაქტი, რომ რეფერენდუმთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია ჰქონდა ერაყის თურქმენულ ფრონტს (Iraqi Turkmen Front), ვინაიდან ამ მოძრაობას და ქურთებს ტერიტორიული დავები აქვთ ერთმანეთთან. გაერთიანება კირკუკის ტერიტორიას ერაყელი თურქმენი ხალხის საკუთრებად მიიჩნევს. ფრონტის განცხადებით რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილება პირდაპირ ეწინააღმდეგება ერაყის კონსტიტუციას. განცხადებაში ასევე ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ არაქურთულ რაიონებში რეფერენდუმის ჩატარება არასამართლიანი და ცალმხრივი გადაწყვეტილება იყო. შესაბამისად ისინი არ ცნობდნენ რეფერენდუმის შედეგებს.[119] ფრონტის ლიდერმა არშად ალ-სალიჰიმ განაცხადა, რომ: „რეფერენდუმის ჩატარება ასეთ სენსიტიურ დროს საშიშია. ერაყის თურქმენული ფრონტი ამის გამო შეშფოთებას გამოთქვამს“.[120]

რეფერენდუმთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები გამოთქვეს შიიტურმა და სუნიტურმა ჯგუფებმა. მკაცრი და კონტრავერსიული პოზიცია დააფიქსირეს შიიტურმა ჯგუფებმა, როგორებიცაა სახალხო მობილიზაციის ძალები (Popular Mobilization Forces - PMF) და „კოალიცია - კანონის სახელმწიფო“ (State of Law Coalition). ისინი თავიდანვე ნეგატიურად შეხვდნენ რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილებას, ვინაიდან, მათი აზრით, იგი ქვეყნის დაშლას შეუწყობს ხელს.[121]

---

119 Iraqi Turkmen Front's reaction to the Kurdish referendum decision, 09.06.2017. https://web.archive.org/ (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

120 Vote on Kurdish independence ‘risky’: Turkmen leader, 09.06.2017. https://www.aa.com.tr/en (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

121 Sarah Canna and Weston Aviles (Editors), Impact of Kurdish Independence in the Region, NSI. 21.06.2017. https://nsiteam.com/kurdish/ (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

შიიტებისაგან განსხვავებით ზოგიერთი სუნიტური ჯგუფისთვის მისაღებიც კი აღმოჩნდა რეფერენდუმის ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ სუნიტებსა და ქურთებს ტერიტორიული დავები აქვთ ერთმანეთთან, ზოგიერთი სუნიტი მიესალმება ქურთისტანის დამოუკიდებლობას სუნიტურ ტერიტორიებზე ავტონომიის გარანტიის სანაცვლოდ. ეროვნული ძალების სუნიტური კავშირის (Sunni Union of National Forces) გავლენიანი წევრის საჯიდა ალ-აფანდის (Sajida al-Afandi) აზრით, ერაყისგან ქურთისტანის გამოყოფისთვის საჭირო საშინაო და საგარეო გარემოებები მოუმწიფებელია.[122]

ერაყის კომუნისტური პარტია დადებითად შეხვდა ერაყის ქურთისტანში რეფერენდუმის ჩატარების იდეას. პარტიის განცხადებით რეფერენდუმის ჩატარება და თვითგამორკვევა ერაყის ქურთისტანის რეგიონის ფუნდამენტური უფლებაა, ასევე იმედი გამოთქვეს, რომ რეფერენდუმის ჩატარებას ერაყის ხელისუფლებაც დაუჭერს მხარს. პარტიის პოზიცია ქურთისტანის რეგიონის რეფერენდუმთან დაკავშირებით ასახულია ერაყის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს მიერ 2017 წლის 20 სექტემბერს მიღებულ მემორანდუმში.[123]

ქურთისტანის რეგიონის რეფერენდუმს მხარდაჭერა გამოუცხადა სახალხო დემოკრატიულმა პარტიამ (თურქეთი), რომლის იდეოლოგია პოლიტიკურ პლურალიზმზე, სოციალურ დემოკრატიასა და უმცირესობათა უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. სახალხო დემოკრატიული პარტიის (Peoples' Democratic Party - HDP) იმჟამინდელმა სპიკერმა ოსმან ბაიდემირმა (Osman Baydemir) თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ქურთებს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ერს რეგიონში, იგივე უფლებები აქვს, როგორც სპარსელებს, თურქებს ან არაბებს. ბაიდემირმა თავის გამოსვლაში ასევე გააკრიტიკა თურქეთის ხელისუფლების პოზიცია რეფერენდუმთან დაკავშირებით.[124]

---

[122] Omar Sattar, Could Kurds hold independence referendum this year? 10.04.2017. https://www.al-monitor.com (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

[123] The Iraqi Communist Party: Memorandum of the Iraqi Communist Party on the referendum of the Kurdistan region, 10.09.2017. http://iraqicparchives.com/ (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

[124] Rudaw, HDP offers congratulations, support for Kurdistan independence vote, 12.06.2017. https://www.rudaw.net/english/kurdistan/120620172 (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

საკმაოდ მკაცრი, თუმცა ლოგიკური, აღმოჩნდა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის (Palestine Liberation Organization) პოზიცია, რომლის იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა საებ ერეკატმა (Saeb Erekat) Al Arabiya-სთან ინტერვიუს დროს ქურთების თვითგამორკვევისაკენ სწრაფვა და ქურთისტანის შესაძლო დამოუკიდებლობა არაბების წინააღმდეგ აღმართულ მოწამლულ მახვილს შეადარა.[125] პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი და პალესტინის პოლიტიკისა და გამოკითხვის კვლევითი ცენტრის (Palestinian Center for Policy and Survey Research) დირექტორის, ხალილ შიკაკის, თქმით პალესტინის პოზიცია ქურთებთან და ქურთისტანთან დაკავშირებით სიახლეს ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო არავისთვის.[126] პალესტინის პოზიცია განუყოფელია არაბული ლიგის პოზიციისაგან და, შესაბამისად, განსხვავებული ხედვა საკითხთან დაკავშირებით თითქმის წარმოუდგენელია.

ქურთისტანის მუშათა პარტიის (Kurdistan Workers' Party - PKK) ლიდერის ჯემილ ბაიკის (Cemil Bayık) განცხადებით - „რეფერენდუმი დემოკრატიული უფლებაა და არავის აქვს უფლება წინ აღუდგეს მას“. მიუხედავად ამ განცხადებისა, მან ერაყის ქურთისტანის მთავრობის მიერ რეფერენდუმის ჩატარების საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება საფრთხედ აღიქვა და ამის მიზეზიც იქვე განმარტა. მისი აზრით, იმ შემთხვევაში თუ ამომრჩეველი რეფერენდუმზე დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით დადებით პასუხს დააფიქსირებს ეს დიდ პრობლემას შექმნის და შესაძლოა ომის თავიდან დაწყება გამოიწვიოს. 2017 წლის აპრილში გაკეთებულ განცხადებაში ბაიკიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ: „რეფერენდუმზე უარის თქმა ახალ შესაძლებლობას და ქურთების პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას ნიშნავს“.[127] პარტიის კიდევ ერთ-ერთმა ლიდერმა, დიურან კალკანმა (Duran Kalkan), რეფერენდუმის ჩატარებამდე სამი თვით ადრე გაკეთებულ განცხადებაში, ქურთისტანი

[125] Roger Hercz, How Palestinians came to reject Kurdish demands for a homeland, 25.09.2017. https://english.alaraby.co.uk/opinion/how-palestinians-came-reject-kurdish-demands-homeland (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

[126] იქვე.

[127] Referendum threat from Cemil Bayık, 10.04.2017. https://beyazgazete.com/haber/2017/4/10/cemil-bayik-tan-referandum-tehdidi-3819733.html (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

რეგიონული მთავრობის მიერ რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილება „პროპაგანდად“ შეაფასა და განაცხადა, რომ: „ქურთ ხალხს არ სჭირდება სახელმწიფო“.[128]

ქურთისტანის რეფერენდუმს მხარდაჭერა გამოუცხადა კატალონიის ავტონომიური გაერთიანების ყოფილმა პრეზიდენტმა არტურ მასიმ (Artur Mas) და ქურთებს „დემოკრატიის დამცველები“ უწოდა. ორივე რეგიონი დიდი ხანია იბრძვის დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის და, შესაბამისად, კატალონიის მხრიდან მსგავსი რიტორიკა სულაც არ იყო გასაკვირი. ქურთისტანის რეფერენდუმის ჩატარებიდან მეექვსე დღეს, 1 ოქტომბერს, კატალონიაშიც გაიმართა დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი.[129]

კოსოვოს ახლადშექმნილი სახელმწიფოს უდიდესმა ოპოზიციურმა მოძრაობამ „თვითგამორკვევამ“ (Vetëvendosje) სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ქურთისტანის რეფერენდუმს. გაერთიანების ლიდერმა ვისარ იმერიმ (Visar Ymeri) Kurdistan 24-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არავის აქვს უფლება უარყოს ქურთების დამოუკიდებლობის რეფერენდუმი. ინტერვიუში ასევე განაცხადა, რომ „ქურთები ერთ-ერთი დიდი ერია, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს საკუთარი სახელმწიფო, ამიტომ არავის აქვს უფლება უგულებელყოს ქურთი ხალხის თვითგამორკვევის უფლება“.[130]

ყარაბაღის დე-ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ: “ჩვენ მივესალმებით ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას. ეს წარმოადგენს, გაეროს ქარტიასა და რიგ ფუნდამენტურ საერთაშორისო დოკუმენტებში ასახულ ხალხთა თვითგამორკვევისა და საკუთარი

---

128 PKK leader slams KRG's referendum, says 'Kurds don't need a state”, 22.06.2017. https://www.dailysabah.com/politics/2017/06/22/pkk-leader-slams-krgs-referendum-says-kurds-dont-need-a-state (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

129 Catalonia, Kurdistan ‘defending democracy’: former Catalan leader, 14.09.2017 https://www.rudaw.net/english/world/14092017 (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

130 Visar Ymeri: We are for the independence of the Kurds, 13.08.2017. https://sakte.net/visar-ymeri-jemi-per-pavaresine-e-kurdeve-video/ (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

განვითარების გზის დამოუკიდებლად არჩევის უფლების გამოხატულებას“. ასევე, განცხადებაში გამოთქვეს იმედი რეფერენდუმის შემდგომი ვითარების მშვიდობიანი მოგვარებისა და რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნების შესახებ.[131]

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ისრაელი ერთადერთი სახელმწიფო აღმოჩნდა როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიოში, რომელმაც ღიად დაუჭირა მხარი რეფერენდუმის ჩატარებას. ისრაელსა და ქურთებს შორის თანამშრომლობა ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან დაიწყო და იმ პერიოდიდან მოყოლებული მხარეებმა დღემდე შეინარჩუნეს ერთმანეთთან სამხედრო, სადაზვერვო თუ ბიზნეს კავშირები. ებრაული სახელმწიფოსთვის ერაყის ქურთისტანის რეგიონი ნავთობის მიწოდების თვალსაზრისით უალტერნატივო და სტრატეგიული პარტნიორია. 2015 წლის მონაცემების მიხედვით ქურთისტანის რეგიონიდან ნავთობის დღიურმა მიწოდებამ 240,000 ბარელი შეადგინა. იმავე წლის მონაცემების მიხედვით ისრაელის მიერ მთლიანი იმპორტირებული ნავთობის 77% ერაყის ქურთისტანის რეგიონმა უზრუნველყო.[132] ქურთისტანის რეგიონში რეფერენდუმის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე, ისრაელის იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ, ისრაელის სახელით მხარდაჭერა გამოუცხადა ქურთი ხალხის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ბენიამინ ნეთანიაჰუმ პროქურთული განცხადება, 2014 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდანაც გააჟღერა, როდესაც მან საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ქურთების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას ღიად დაუჭირა მხარი.[133]

---

[131] Comment by the Information and Public Relations Department of the Foreign Ministry of the Republic of Artsakh, 29.09.2017. http://www.nkr.am/en/news/2017-09-27/959/ (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

[132] Israel importing 77% of its oil supply from Iraqi Kurdistan, Financial Times says, https://www.jpost.com/breaking-news/israel-importing-77-percent-of-its-oil-supply-from-iraqi-kurdistan-financial-times-says-413055 (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

[133] Israel endorses independent Kurdish state, 13.09.2017. https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-kurds-israel/israel-endorses-independent-kurdish-state-idUSKCN1BO0QZ (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

## 3.2. ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივები გლობალური პოლიტიკის პრიზმაში (საგარეო პოლიტიკის ანალიზი)

### ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის თავისებურებები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და ქურთულ-ამერიკული ურთიერთობები

ქურთულ-ამერიკული ურთიერთობების ათვლის წერტილად მკვლევრები ყოველთვის ვუდრო ვილსონის პერიოდით იწყებენ და სამართლიანადაც. მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატები პირველ მსოფლიო ომში ჩაება, ამით მან ფაქტობრივად დაასრულა „მონროს დოქტრინის" საფუძველზე ჩამოყალიბებული იზოლაციონიზმის პოლიტიკა ამერიკის კონტინენტზე და რეგიონული პოლიტიკიდან გლობალურ პოლიტიკაში გადაინაცვლა. პირველი მსოფლიო ომი კარგ პირობებს უქმნიდა ვაშინგტონს საერთაშორისო პოლიტიკაში გამოჩენისთვის და აქტიური ჩართვისთვის.

საერთაშორისო პოლიტიკაში ამერიკა იდეალისტური ღირებულებების გავრცელების იდეით გამოჩნდა. იდეალიზმი მალევე გადაიქცა აშშ-ს პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის ადმინისტრაციის მთავარ საგარეო პოლიტიკის მიმართულებად. გასაკვირი არ არის, რომ ეს ფაქტი ითვლება ქურთულ-ამერიკული ურთიერთობების ათვლის წერტილად, ვინაიდან ვუდრო ვილსონის იდეალისტური ხედვები ქურთებისთვის ეროვნული კერის შექმნის შესაძლებლობას ქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ ვილსონის 14 პუნქტიდან საერთაშორისო საზოგადოებამ მხოლოდ ერთი პუნქტის იმპლემენტაცია შეძლო ერთა ლიგის სახით, დანარჩენმა პუნქტებმა მაინც მნიშვნელოვანი გამოხმაურება და გავრცელება ჰპოვეს საერთაშორისო პოლიტიკაში და, შეიძლება ითქვას, რომ თვითგამორკვევის პრინციპმა მნიშვნელოვნად განაპირობა ახალი საერთაშორისო დღის წესრიგის ფორმირება.

ტენესის ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი და ქურთული საკითხის მკვლევარი მაიკლ მ. გიუნტერი (Michael

M. Gunter) თავის სტატიაში[134] ამერიკის საგარეო პოლიტიკის ხუთ საფეხურს ასახელებს ქურთებთან მიმართებაში და სხვა მკვლევრების მსგავსად ურთიერთობების ათვლის წერტილად პირველ მსოფლიო ომსა და ვუდრო ვილსონს ასახლებს. პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი შეიქმნა. ქემალისტურმა თურქეთმა მოახერხა ტერიტორიული ინტეგრაცია, ბრიტანეთმა კი მოინდომა ქურთებით დასახლებულ ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, მოსულის ვილაიეთში, ნავთობით მდიდარი რეგიონზე კონტროლის შენარჩუნება. სამანდატო სისტემა გავრცელდა სირიის ტერიტორიაზეც და იგი საფრანგეთს დაექვემდებარა.

სამანდატო სისტემის ამოქმედებამ ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკას, სადაც ქურთული ავტონომიის, როგორც პოლიტიკური ერთეულის, ხსენებაც კი არ იყო. მიუხედავად ამერიკის მიერ გაცხადებული მხარდაჭერისა და ვუდრო ვილოსნის 14 პუნქტში 12-ე პუნქტად ქურთებისთვის ავტონომიისა და თვითგამორკვევის უფლების მხარდაჭერისა, ქურთების ოცნება ეროვნული კერის შექმნასთან დაკავშირებით ისევ ოცნებად დარჩა. ამრიგად, ქურთულ-ამერიკული ურთიერთობები მხოლოდ ამ პრელუდიით დასრულდა.

თითქმის ხუთი დეკადის შემდეგ ქურთულ-ამერიკული ურთიერთობები კვლავ განახლდა და ამით მხარეებს შორის ურთიერთობების მეორე საფეხური დაწყო. იგი, ფაქტობრივად, მას შემდეგ დაიწყო, რაც ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს თურქეთიც შეუერთდა. ამერიკის საგარეო პოლიტიკა ქურთებთან მიმართებაში, შეძლება ითქვას, რომ ამბივალენტური იყო, ვინაიდან და რადგანაც იგი ვაშინგტონი განსხვავებულ პოზიციას ავითარებდა სხვადასხვა პერიოდსა და სივრცეში. საგარეო პოლიტიკის ამგვარი ამბივალენტურობა

[134] Gunter, Michael M. "The Five Stages of American Foreign Policy towards the Kurds." Insight Turkey XIII (2): 2011. 93-106. https://www.insightturkey.com/file/671/the-five-stages-of-american-foreign-policy-towards-the-kurds-spring-2011-vol13-no2 (ბოლოს ნანახია 25.05.2022)

გამოიხატებოდა იმაში თუ რეგიონის რომელ სახელმწიფოში მცხოვრებ ქურთებს ეხებოდა საქმე, რასაც თავისი რეალისტური მიზეზები ჰქონდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის მიერ წახალისებულმა ქურთებმა 1946 წლის 22 იანვარს დასავლეთ ირანში მეჰაბადის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს, რომელმაც მცირე ხნით იარსება. მეჰებადის რესპუბლიკის დაარსებიდან მალევე, აგვისტოში, მუსტაფა ბარზანიმ ქურთისტანის დემოკრატიული პარტია ჩამოაყალიბა ერაყში, რომელიც უმალვე დაუპირისპირდა პროდასავლურ ჰაშიმიტების მონარქიას. ამგვარი პროცესები ზრდიდა საბჭოთა გავლენას ახლო აღმოსავლეთში და რეგიონის გაწითლების საფრთხე სულ უფრო რეალური ხდებოდა, რაც, თავისთავად, რეგიონში დასავლეთის ადრინდელი პოზიციების შესუსტებას გამოიწვევდა. ამგვარი სცენარის თავიდან აცილების მიზნით 1952 წელს ჩრდილოო ატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსში მიიღეს თურქეთი, რის შედეგადაც ვაშინგტონისთვის ოფიციალური ანკარა სამხედრო და პოლიტიკურ სტრატეგიულ მოკავშირედ გადაიქცა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მხარდაჭერა გამოუცხადა თურქეთის მთავრობის პოლიტიკას ქურთების საკითხთან დაკავშირებით, იმ არგუმენტით რომ ქურთული საკითხი საფრთხეს უქმნიდა თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას. დასავლეთსა და თურქეთს შორის სტრატეგიულმა პარტნიორობამ დაჩრდილა ქურთული საკითხი და ქურთები და ქურთისტანის მუშათა პარტია (Kurdistan Workers Party - PKK) მიუღებელი აღმოჩნდა ვაშინგტონისთვის.

თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთებისგან განსხვავებით ამერიკის საგარეო პოლიტიკისთვის, რატომღაც, მისაღები და პრიორიტეტული აღმოჩნდა ერაყში მცხოვრები ქურთები. მიზეზი ისევ პოლიტიკური გავლენების მოპოვება და გეოპოლიტიკური მეტოქეობაა, რომელსაც საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ამჯერად ახლო აღმოსავლეთში ეჯიბრებოდნენ. აშშ-ის მიზანი იყო რომ საბჭოთა კავშირს საერთოდ არ ჰქონოდა გავლენა ერაყის ქურთებზე. ერაყის ქურთების მხარდაჭერის მოპოვების მიზნით

აშშ-ის საინფორმაციო სამსახურმა 1949 წლიდან პერიოდული გამოცემების ქურთულ ენაზე გამოშვება დაიწყო, გარდა ამისა, შეიქმნა „ამერიკის ხმის" (Voice of America) ქურთულენოვანი ვარიანტიც.[135] საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს ერაყში გავლენების მოპოვებისთვის მეტოქეობამ გარკვეულწილად გადაფარა ქურთულ-ამერიკული ურთიერთობები. შეერთებულმა შტატებმა მოახერხა გავლენის მოპოვება ერაყში და თავდაპირველად მან კარგი ურთიერთობა დაამყარა ბაასის პარტიასთან, რის გამოც ქურთული საკითხი კვლავ ერაყის საშინაო პოლიტიკურ საზღვრებში აღმოჩნდა ჩაკეტილი.

ვითარება შეიცვალა 1970-იან წლებში, როდესაც აშშ-მა მხარი დაუჭირა მუსტაფა ბარზანის ამბოხს ბაღდადში და ამერიკის საგარეო პოლიტიკისთვის ერაყში მცხოვრები ქურთი ხალხი კვლავ მისაღები აღმოჩნდა. ქურთებთან დაკავშირებით ამერიკის საგარეო პოლიტიკის ამგვარ ტრანსფორმაციას თავისი მიზეზები ჰქონდა: საბჭოთა კავშირის გავლენის შესუსტება ერაყში (1); არაბული სამყაროს მიერ ისრაელის სახელმწიფოზე შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში ერაყული ძალების აღკვეთა (2); ნავთობის ფაქტორი - ქურთისტანის ნავთობით მდიდარი რეგიონი. ვინაიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში აშშ-ს მეგობარი ეყოლებოდა "ოპეკში" ერაყის ქურთისტანის სახით, როგორც ამას მუსტაფა ბარზანი შეჰპირდა ამერიკელებს.[136] თუმცა 1975 წლის ალჟირის შეთანხმების[137] შემდეგ რიჩარდ ნიქსონმა და ჰენრი კისინჯერმა თავი შეიკავეს ამბოხებული ქურთების მხარდაჭერისაგან, რის გამოც ქურთები კვლავ მარტონი აღმოჩნდნენ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. 1979 წელს ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ კარდინალურად შეიცვალა მდგომარეობა რეგიონში. 1980 წლეს ერაყთან ომის შემდეგ ირანი მალევე დაუახლოვდა ერაყის ქურთებს, იმ მიზნით, რომ

[135] Gunter, Michael M. "The Five Stages of American Foreign Policy towards the Kurds." Insight Turkey XIII (2): 2011. 93-106. https://www.insightturkey.com/file/671/the-five-stages-of-american-foreign-policy-towards-the-kurds-spring-2011-vol13-no2 (ბოლოს ნანახია 25.05.2022)

[136] იქვე.

[137] 1975 წლის ალჟირის შეთანხმება ირანსა და ერაყს შორის, რათა მოეგვარებინათ რაიმე დავა და კონფლიქტი მათ საერთო საზღვრებთან დაკავშირებით. ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ აღნიშნული შეთანხმება, 1980 წელს, გაუქმებულ იქნა აიათოლა რუჰოლა ხომეინის მიერ.

გაერთიანებული ძალებით მიეტანათ იერიში ერაყის სამხედრო ნაწილებისთვის, რაც რეგიონში ირანის პოზიციების გაძლიერებას გამოიწვევდა. მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება არათავსებადი იყო ამერიკის ინტერესებთან.

1991 წელს სპარსეთი ყურის ომით დაიწყო ამერიკის საგარეო პოლიტიკის მესამე საფეხური, რომელიც 2003 წლამდე გაგრძელდა. ამავე პერიოდის მიღწევად მიიჩნევა ქურთისტანის რეგიონული მთავრობის შექმნა, რაც ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე მყოფი ერაყის ქურთისტანისთვის. სპარსეთის ყურის პირველ ომში შეერთებული შტატები თავს იკავებდა ომში ჩართვისგან, თუმცა მიგრანტთა კრიზისის დამანგრეველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით ვაშინგტონმა შეცვლა თავისი პოზიცია. 1991 წლის 5 აპრილს გაეროს უშიშროების საბჭომ N688 რეზოლუცია მიიღო, რითაც დაიგმო ერაყის მშვიდობიან მოქალაქეებზე განხორციელებული რეპრესიები ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე. ოპერაცია „უზრუნველყავი კომფორტის“ (Operation Provide Comfort - OPC) და ბაღდადის არასაფრენ ზონად გამოცხადების შემდეგ ქურთები კვლავ დაუბრუნდნენ ჩრდილოეთ ქურთისტანს და დაიწყეს დე-ფაქტო სახელმწიფოსა და მთავრობის ჩამოყალიბება, რომლის შედეგიცაა დღევანდელი ქურთისტანის რეგიონული მთავრობა.[138]

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ამერიკის საგარეო პოლიტიკა ქურთებთან დე-ფაქტო ალიანსის სტრატეგიას დაეფუძნა. 2003 წლის აშშ-ის ერაყში ინტერვენციის შემდეგ ქურთებისთვის ახალი შესაძლებლობების ერას ჩაეყარა საფუძველი. ამერიკელებისგან მხარდაჭერილმა ქურთებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დანგრეული ერაყის აღმშენებლობაში და ქვეყანაში საგრძნობლად გააძლიერეს თავიანთი პოზიციები. 2005 წლის ერაყის

[138] Gunter, Michael M. "The Five Stages of American Foreign Policy towards the Kurds." Insight Turkey XIII (2): 2011. 93-106. https://www.insightturkey.com/file/671/the-five-stages-of-american-foreign-policy-towards-the-kurds-spring-2011-vol13-no2 (ბოლოს ნანახია 25.05.2022)

საპრეზიდენტო არჩევნებზე პირველად აირჩიეს ეთნიკურად ქურთი პრეზიდენტად. გარდა ამისა ერაყის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ქურთები იყვნენ. ერაყში აშშ-ს პოზიტიურმა მედიაციამ გააუმჯობესა ქურთულ-ამერიკული ურთიერთობები.

ახლო აღმოსავლეთი თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო იგი ყოველთვის იყო დიდი სახელმწიფოს დაინტერესების ობიექტი. საერთაშორისო აქტორები (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი და სხვა) მაქსიმალურად ცდილობდნენ რეგიონზე გავლენების გაზრდას. 9/11 ტრაგედის შემდეგ ამერიკის საგარეო პოლიტიკამ ახლო აღმოსავლეთში არადემოკრატიული და ავტორიტარული რეჟიმების შეცვლა დაისახა მიზნად. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა 2006 წლის ივნისში თელ-ავივში „ახალი ახლო აღმოსავლეთის“ შესახებ განაცხადა. ეს განცხადება ფაქტობრივად ახლო აღმოსავლეთში ინგლისი-ამერიკა-ისრაელის "სამხედრო საგზაო რუკის" დადასტურება იყო. ფაქტობრივად პროექტი ითვალისწინებდა არასტაბილურობის, ქაოსისა და ძალადობის რკალის შექმნას ლიბიაში, ლიბანში, პალესტინაში, სირიასა და ერაყში და ასევე სპარსეთის ყურესა და ირანში. პროექტი "ახალი ახლო აღმოსავლეთი" ვაშინგტონმა და თელ-ავივმა საჯაროდ გააცნეს მსოფლიოს, რომლის მიხედვითაც „მართვადი ქაოსის“ ზეწოლის წერტილი ლიბანი უნდა გამხდარიყო. ეს პროცესები ისე უნდა განვითარებულიყო, რომ აშშ-ს, დიდი ბრიტანეთსა და ისრაელს შესაძლებლობა ჰქონოდათ შეექმნათ რეგიონის ახალი პოლიტიკური რუკა მათი გეოპოლიტიკური საჭიროებებისა და მიზნების შესაბამისად.

ამერიკელი ვიცე-პოლკოვნიკის რალფ პეტერსის (Ralph Peters)[139] მიერ შექმნილ ახლო აღმოსავლეთის ახალ პოლიტიკური რუკაზე (იხ. **სურათი N2**) ქურთების სახელმწიფო ფიგურირებს, რომელიც ფაქტობრივად ქურთისტანის გეოგრაფიულ საზღვრებს ემთხვევა. გარდა ამისა, თვალშისაცემია

[139] აშშ-ს ეროვნული ომის აკადემიის ვიცე-პოლკოვნიკი.

პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაციაც (რეგიონის რამდენიმე სახელმწიფოს საზღვარი შემცირებულია, ზოგიერერთი - გაზრდილი. რუკაზე ახალ პოლიტიკურ სუბიექტებსაც ვხვდებით).




**სურათი N2** - რალფ პეტერსის მიერ შექმნილი ახალი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა (იხ. ბმული - [https://www.globalresearch.ca/plans-for-redrawing-the-middle-east-the-project-for-a-new-middle-east/3882](https://www.globalresearch.ca/plans-for-redrawing-the-middle-east-the-project-for-a-new-middle-east/3882) - ბოლოს ნანახია 19.12.2020)

მიუხედავად იმისა, რომ რალფ პეტერსის რუკა ოფიციალურად არ ასახავს პენტაგონის დოქტრინას, იგი გამოყენებულია ნატოს თავდაცვის კოლეჯის სასწავლო პროგრამაში უფროსი სამხედრო ოფიცრებისთვის. ეს რუკა, ისევე როგორც მსგავსი სხვა რუკები, სავარაუდოდ გამოყენებულია როგორც „ომის ეროვნულ აკადემიაში“, ასევე სამხედრო დაგეგმვის წრეებში. პიტერსის „ახალი ახლო აღმოსავლეთის“ რუკამ თურქეთის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ახლო აღმოსავლეთის „ბალკანიზაციისა“ და „ფინლადიზაციის“ გეგმა გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ვერ განხორციელდა.

არაბულმა გაზაფხულმა, რომელმაც რადიკალური ცვლილებები, ქაოსი და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის დესტაბილიზაცია გამოიწვია, ქურთებს მნიშვნელოვანი შესაძლებლობები მისცა დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის თვალსაზრისით. სირიის დემოკრატიულმა ძალებმა ამერიკის მხარდაჭერით ჩრდილოეთ სირიაში დე-ფაქტო ავტონომიას მიაღწიეს და სირიის სამოქალაქო ომში ანგარიშგასაწევ ძალად წარმოჩინდნენ. ობამას

ადმინისტრაცია სირიის სამოქალაქო ომში ჩარევისგან თავს იკავებდა, თუმცა ისლამური სახელმწიფოსგან მომდინარე საფრთხის გამო გადაწყვიტა მხარი დაეჭირა სირიის ქურთებისთვის და ამით აღეკვეთა ისლამური სახელმწიფოსა და სხვა ჯიჰადისტური და ტერორისტული ძალების გაძლიერება. სირიის დემოკრატიულ ძალებსა და ქურთისტანის მუშათა პარტიასთან ვაშინგტონმა თანამშრომლობა მას შემდეგ დაიწყო, რაც 2014 წელს ისლამურმა სახელმწიფომ მოსული დაიკავა და სირია-ერაყის მიმართულებით დაიწყო გაფართოება. აშშ-ის მიერ ქურთული ძალების მხარდაჭერამ ოფიციალური ანკარას გაღიზიანება გამოიწვია, რადგანაც სირიის დემოკრატიული ძალების მიერ სირიის სამოქალაქო ომის დროს მოპოვებული უპირატესობის გადამდები შეიძლება ყოფილიყო და თურქეთის ქურთებსაც დაეწყოთ მსგავსი ნაბიჯების გადადგმა. ქურთების მიერ ჩრდილოეთ სირიაში კონტროლის დამყარებას საფრთხედ აღიქვამდა ოფიციალური ანკარა, რის გამოც ერდოღანმა 2016, 2018 და 2019 წლებში რამდენიმეჯერ სამხედრო იერიში მიიტანა ქურთების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე.

აშშ-ს პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთისა და ქურთების საკითხთან დაკავშირებით შეიცვალა ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში. 2018 წელს თურქეთის რესპუბლიკის მიერ ჩრდილოეთ სირიაში სამხედრო მოქმედებები დაწყების შემდეგ ტრამპის ადმინისტრაციამ ამ ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო, რის შედეგადაც ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ აშშ-თან მებრძოლი ქურთი მოკავშირეები ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამ ფაქტის გამო ქურთებმა ამერიკელები მოღალატეებად შერაცხეს.

აშშ-ს სამხედრო ძალების გასვლამ და თურქეთის მიერ განხორციელებულმა იერიშმა ჩრდილოეთ სირიაში განსხვავებული პოლიტიკური მოცემულობა შექმნა. ერდოღანსა და ვლადიმერ პუტინს შორის სირიის საკითხზე მიღწეული შეთანხმების შედეგად, რომელსაც სირიის პრეზიდენტსა და ქურთებს შორის შეთანხმება მოჰყვა, სირია-თურქეთის საზღვარზე შეიქმნა „ჩრდილოეთ სირიის მეორე ბუფერული ზონა“.

როგორც დავინახეთ, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ქურთებთან და ქურთისტანის მომავალთან დაკავშირებით არანაირი სტრატეგია არ გააჩნია. ქურთულ-ამერიკული ურთიერთობებთან დაკავშირებით, კოლუმბიის უნივერსიტეტის მოწვეული მკვლევარი ისმალი სარი (İsmail Sarı) თავის სტატიაში[140] ასკვნის, რომ „ზოგადად, ვაშინგტონსა და ქურთებს შორის თანამშრომლობა დროებითი და ზედაპირულია. საჭიროების შემთხვევაში, ქურთები შეიძლება ცნონ მოკავშირედ, მაგრამ ეს თითქმის გამორიცხულია. აშშ-ქურთების ურთიერთობის ისტორიაში ამის უამრავი მაგალითი იყო“ (Sarı 2019).

## რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და ქურთულ-რუსული ურთიერთობები

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია[141] სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელშიც გადმოცემული და ჩამოყალიბებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია და თანამშრომლობის მიმართულებები. კვლევის თემატიკიდან, ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია დოკუმენტის მეოთხე თავი, რომელიც რუსეთის ფედერაციის რეგიონული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ გვაწვდის ხელჩასაჭიდ ინფორმაციას. დოკუმენტის მეოთხე თავის 92-ე პუნქტში, რომელიც ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში რუსეთის როლსა და მნიშვნელობას ეხება, ვკითხულობთ, რომ „რუსეთი გააგრძელებს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციაში მისი მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფებისგან მომავალი საფრთხეების განეიტრალების

[140] Sarı, İsmail. "The United States Foreign Policy Towards Kurds." Middle Eastern Studies (Ortadoğu Araştırmaları Derneği) XI (2): 2019. pp. 278-299. https://www.orsam.org.tr//d_hbanaliz/5_ismailSarY_11-2__1.pdf (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

[141] დამტკიცებულია რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ 2016 წლის 30 ნოემბერს. დოკუმენტი შედგება შესავლისა და ხუთი თავისაგან.

კოლექტიური ძალისხმევის მხარდაჭერით, რეგიონის ქვეყნებს შორის კონფლიქტების პოლიტიკური და დიპლომატიური გზებით მოგვარების ხელშეწყობით, ამავდროულად მათი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე გარე ჩარევის გარეშე მათი თვითგამორკვევის უფლების პატივისცემით. როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი და საერთაშორისო მედიატორთა ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის წევრი რუსეთი გააგრძელებს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ყოვლისმომცველი, სამართლიანი და გრძელვადიანი გადაჭრის გზებისათვის მისწრაფებას, მისი ყველა ასპექტით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სამართალს.“ [142]

საგარეო პოლიტიკის კონცეფციის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია, ერთი მხრივ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის სტატუს-კვოს შენარჩუნებას უჭერს მხარს და, მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობების სასარგებლოდ თვითგამორკვევის უფლების პატივისცემასაც გამოხატავს. თუმცა ცალსახად თავს იკავებს რაიმე სახის საჯარო მხარდამჭერი განცხადებისაგან კონკრეტული ეთნიკური ჯგუფების სასარგებლოდ. ოფიციალური მოსკოვის ამჟამინდელი პოზიცია ქურთებთან დაკავშირებით საგრძნობლად განსხვავდება ახლადშექმნილი საბჭოთა კავშირის პოზიციისაგან, რომელმაც ქურთების ეთნიკური ჯგუფი, ჯერ კიდევ, 1921 წელს ცნო ერად. გარდა ამისა, ორი წლის შემდეგ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შეიქმნა ქურთული რაიონი, რომელსაც „წითელ ქურთისტანადაც“ მოიხსენიებდნენ. ხოლო ლაჩინი, რომელიც ქურთული რაიონის დედაქალაქი იყო, მალევე გადაიქცა ერაყში, სირიაში, ირანსა და თურქეთში მცხოვრები ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აკვნად. 1926 წლის აღწერის მიხედვით, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაახლოებით 70 ათასამდე ქურთი ცხოვრობდა, რომელთა

[142] Foreign Policy Concept of the Russian Federation. Moscow: The Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation, November 30, 2016.
https://www.mid.ru/en/foreign_policy/fundamental_documents/1538901/ (ბოლოს ნანახია 15.01.2022)

უდიდესი ნაწილი, ძირითადად, სამხრეთ კავკასიაში სახლობდა, ხოლო მცირე ნაწილი შუა აზიის ქვეყნებში.[143]

1930-იან წლებამდე, კულტურული და ლინგვისტური თვალსაზრისით, ქურთები საკმაოდ მნიშვნელოვანი ავტონომიური უფლებით სარგებლობდნენ. 30-იანი წლებიდან მცირე ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირმა სოვიეტიზაციის პოლიტიკა აამოქმედა. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად ქურთებისა და სხვა მცირე ეთნიკური ჯგუფების გვარებს რუსული დაბოლოებები დაემატა. გარდა ამისა, ქურთების მნიშვნელოვანი ნაწილი ცენტრალური აზიის ქვეყნებში (ძირითადად ყირგიზეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში) გადაასახლეს.

საბჭოთა კავშირი თავის პოლიტიკით ყოველთვის ცდილობდა სხვა ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოყენებას, რის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს 1946 წელს მოსკოვის მიერ გამოცხადებული მხარდაჭერა მეჰაბადის ქურთული სახელმწიფოსთვის, რომელმაც მცირე ხნით იარსება, თუმცა წარუშლელი და სიმბოლური კვალი დატოვა ქურთების კოლექტიურ მეხსიერებაში. საბჭოთა კავშირის დატოვების შემდეგ მუსტაფა ბარზანი ერაყში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში და ქურთული სახელმწიფოს შექმნის მიზნით ცენტრალურ ხელისუფლების წინააღმდეგ მრავალწლიან ბრძოლაში ჩაება. მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა მოსკოვის პირდაპირი ინტერვენციის (ევგენი პრიმაკოვის[144] ხელმძღვანელობით) მეშვებით მოხერხდა. ქურთებსა და ბაღდადს შორის 1970 წლის 11 მარტს დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ქურთების ავტონომია მათი ეთნიკური იდენტობის ცნობამდე.

[143] Delanoë, Igor. "The Kurds: A Channel of Russian Influence in the Middle East?" IFRI Policy Papers: Franco-Turkish Paper, June 19, 2015.

[144] იმ პერიოდში ევგენი პრიმაკოვი გაზეთ „პრავდას“ კორესპონდენტი იყო ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით. 1991-1996 წლებში ხელმძღვანელობდა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურს. 1996-1998 წლებში იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო 1998-1999 წლებში ეკავა პრემიერ-მინისტრის სავარძელი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერის იდეოლოგია მოსკოვისთვის იქცა ქურთებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობების საკვანძო ელემენტად, ხოლო ამავდროულად საბჭოთა კავშირისთვის ეფექტურ ინსტრუმენტად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თავის პოზიციებისა და გავლენების გასაძლიერებლად. საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში ოფიციალური მონაცემებით 153 ათასი ქურთი ცხოვრობდა სსრკ-ში, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ქურთების რეალური რაოდენობა 300 ათასიდან 500 ათას კაცამდე იყო.[145]

ახლო აღმოსავლეთის ოთხ სახელმწიფოში მცხოვრები ქურთები რუსეთის ფედერაციისთვის რეგიონში თავისი გავლენის განმტკიცების სხვადასხვა შესაძლებლობას იძლევა, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ კრემლის პოლიტიკა ქურთების ან ქურთული საკითხის მიმართ დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ გავლენას იქონიებს ოფიციალური მოსკოვის ნაბიჯები იმ ქვეყნებთან სადაც ქურთები ცხოვრობენ. ამგვარად, ქურთულ-რუსული ურთიერთობები განხილული და გაანალიზებული უნდა იქნას რუსეთ-თურქეთის, რუსეთ-ერაყის, რუსეთ-სირიისა და რუსეთ-ირანის ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საგარეო დაზვერვის დირექტორის სავარძლიდან საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ, რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელმა გუნდმა, ევგენი პრიმაკოვის ხელმძღვანელობით, თავისი დიპლომატია ახლო აღმოსავლეთისაკენ მთელი ძალისხმევით მიმართა, რომლის შედეგადაც რეგიონი ოფიციალური მოსკოვის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად გადაიქცა.

ქურთულ-რუსული ურთიერთობების განახლება მხოლოდ გვიან 1990-იან წლებში გახდა შესაძლებელი, რაც მოსკოვის მიერ ანკარაზე ზეწოლის მოხდენის

[145] Delanoë, Igor. "The Kurds: A Channel of Russian Influence in the Middle East?" IFRI Policy Papers: Franco-Turkish Paper, June 19, 2015. p. 19.

მიზეზით იყო განპირობებული. ამით მოსკოვმა განიზრახა ანკარის გავლენა შეესუსტებინა კავკასიის რეგიონში ჩეჩნეთის ომში.

2003 წელს ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციის შემდეგ რუსულ-ქურთული ურთიერთობების ახალი ეტაპი დაიწყო. თუმცა 2012 წლისთვის რუსეთის საგარეო პოლიტიკამ და დიპლომატიამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ახლო აღმოსავლეთში და ექსპერტები და დარგის სპეციალისტები ამ ფაქტს ოფიციალური მოსკოვის აღმოსავლური პოლიტიკის ახალი ერის და ხელახალი გადააზრების დასაწყისად მიიჩნევენ. ასოცირებული პროფესორ-მკვლევარი ნიკოლაი კოჟანოვი (Nikolay Kozhanov)[146] რუსეთის რეგიონული პოლიტიკის და დიპლომატიის გადააზრების რამდენიმე პერიოდს გამოყოფს:

2012 წლიდან 2013 წლამდე პერიოდში რუსეთი შეეცადა ფრთხილი ნაბიჯებით დაბრუნებულიყო ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში და დიპლომატიური სვლებით მოესინჯა რეგიონულ საქმეებში ჩართვისთვის ნიადაგი და რეგიონულ ძალებთან გაეფართოებინა თავისი კონტაქტები. ამავე პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკა რეგიონის მიმართ ხასიათდება რეგიონის საშინაო საქმეებში ჩაურევლობით და ნეიტრალიტეტის შენარჩუნებით. ოფიციალური მოსკოვის ამგვარი სტრატეგიის იმპლემენტაცია რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. ერთი მხრივ, რეგიონის დომინანტ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით რუსეთი შეეცადა დასავლეთთან დაძაბულობის შედეგად შექმნილი საერთაშორისო იზოლაციის თავიდან არიდებას და, მეორე მხრივ, რუსეთი ამით შეეცადა ეჩვენებინა დასავლეთისთვის (შეერთებული შტატები, ევროკავშირი, ნატო) რომ მას

[146] კატარის უნივერსიტეტის ყურის ქვეყნების კვლევების ცენტრის ასოცირებული პროფესორ-მკვლევარი, Chatham House-ის ასოცირებული წევრი, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დოქტორი. იხ. https://www.chathamhouse.org/about-us/our-people/nikolay-kozhanov (ბოლოს ნანახია 15.01.2022)

გადამწყვეტი სიტყვა და მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტის პროცესში (1);[147]

2013-2015 წლების პერიოდში რუსეთმა შეწყვიტა თავისი ფრთხილი დიპლომატიური ნაბიჯები და ახლო აღმოსავლეთის შიდა საქმეებში აქტიური ჩარევა დაიწყო. 2015 წელს რუსეთის მიერ სირიაში განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია სწორედ ზემოთქმული მოსაზრების მანიშნებელია. სირიის კონფლიქტის მსვლელობის პარალელურად გაიზარდა რუსეთის მხრიდან უფრო აქტიური ჩართულობის ხარისხიც (2);[148]

2016 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში, როგორც კოჟანოვი შენიშნავს, სირიაში სამხედრო ჩართულობის შედეგად გაიზარდა კრემლის თავდაჯერებულობა და იგი თავდაჯერებული იყო იმაში, რომ მას შეეძლო გავლენა მოეხდინა დასავლურ და რეგიონული ძალების ქცევაზე როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიოში. სირიის კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით ამ პერიოდში ოფიციალური მოსკოვი იმაზე აპელირებდა, რომ არცერთი ქვეყანა არ იყო იმდენად ძლიერი საიმისოდ რომ საკუთარი ძალებით შესძლებოდა რომელიმე ქვეყანას კონფლიქტის დასრულება. იმავდროულად კი რუსეთი ცდილობდა კონფლიქტის მოგვარების თავისი ხედვის გატანას საერთაშორისო თანამეგობრობისათვის (3).[149]

როგორც დავინახეთ რუსეთის რეგიონული პოლიტიკის ახლო აღმოსავლური მიმართულება ქურთების მიმართ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ. ერთი მხრივ, რუსეთი ეთნიკური უმცირესობების თვითგამორკვევის უფლებასა და მათ მისწრაფებებს მხარდაჭერას გამოუთქვამს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ამოდის რა თავისი გეოპოლიტიკური მიზნებიდან და

[147] Kozhanov, Nikolay. Russian Policy Across the Middle East: Motivations and Methods. London: Chatham House, The Royal Institute of International Affairs. 2018. p. 4-5. https://www.chathamhouse.org (ბოლოს ნანახია 15.01.2022)
[148] იქვე. გვ. 6-7.
[149] იქვე, გვ. 7-8.

ქურთებს იყენებს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს თავის გავლენები და გაზარდოს კონტროლის მასშტაბები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ვექტორები და სინო-ქურთული ურთიერთობების თავისებურებები

ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის მრავალმხრივ ურთიერთობებს თითქმის ორი ათას წლიანი ისტორია აქვს. ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩინეთის დაახლოება ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებთან ძირითადად უკავშირდება ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

ჩინეთის ახლო აღმოსავლური პოლიტიკის და, უშუალოდ, ქურთებთან ურთიერთობის ანალიზამდე მნიშვნელოვანია წინ წამოვწიოთ ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობების და საგარეო პოლიტიკის სპეციალისტები, ხშირ შემთხვევაში, "მშვიდობიანი თანაცხოვრების ხუთი პრინციპის",[150] "მშვიდობიანი აღზევება/განვითარების" და "ჰარმონიული სამყაროს" სახელწოდებით მოიხსენიებენ.

პოლიტიკის მეცნიერების პროფესორები ენდრიუ ნათანი (Andrew Nathan) და ენდრიუ სკობელი (Andrew Scobell) ერთობლივ მონოგრაფიაში ჩინეთის წინაშე უსაფრთხოების „ოთხ რგოლს/წრეს" ასახელებენ.[151] ოფიციალური პეკინი ითვალისწინებს რა მის წინაშე არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებს და თავის

[150] ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა (1); ორმხრივი თავდაუსხმელობა (2); ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობა (3); თანასწორობა და ორმხრივი სარგებელი (4); მშვიდობიანი თანაცხოვრება (5).
Weissmann, Mikael. "Chinese Foreign Policy in a Global Perspective: A Responsible Reformer "Striving For Achievement"." Journal of China and International Realtions- JCIR (Aalborg University Press) III, 2015. p. 154. https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:817328/FULLTEXT01.pdf (ბოლოს ნანახია 15.01.2022)

[151] Andrew J. Nathan and Andrew Scobell. China's Search for Security. New York: Columbia University Press, 2012.

პოლიტიკას გეოპოლიტიკური მოცემულობით ფორმულირებულ ოთხ სიბრტყეზე ახორციელებს.

პირველი რგოლი ჩინეთის პოლიტიკის საშინაო პოლიტიკას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას გულისხმობს. ოფიციალური პეკინი მიიჩნევს, რომ ჩინეთის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობას გარე ძალები და აქტორები უქმნიან საშიშროებას. სეპარატიზმსა და რადიკალიზმს ჩინეთის ხელისუფლება ეროვნული უსაფრთხოების სერიოზულ გამოწვევად აღიქვამს და, შესაბამისად, პირველ რგოლში ასევე მოიზარება აღმოსავლეთით კონტინენტური ნაწილიდან დაშორებული ტაივანის და შორეული დასავლეთით მდებარე ტიბეტისა და სინჯიანგის პრობლემატიკა.[152]

მეორე რგოლი მთლიანად მოიცავს ჩინეთის სახმელეთო და საზღვაო მეზობელ სახელმწიფოებს. გარდა უშუალო მოსაზღვრე ქვეყნებისა, მას ემატება ასევე ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ჰანოლულუში (ჰავაი) წყნარი ოკეანის სარდლობითა და გუამში სამხედრო ბაზით არის წარმოდგენილი. ერთი მხრივ, კომპლექსური გეოგრაფიული მდებარეობა ჩინეთს მომგებიან პოზიციაში აყენებს, ხოლო, მეორე მხრივ, გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებული აქტორთა სიმრავლე ეროვნული უსაფრთხოების სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. მეორე რგოლში ასევე მოიაზრება, ზემონახსენები, კონტინენტური ნაწილიდან დაშორებული ტაივანიც.[153]

მესამე რგოლში წარმოდგენილია ჩინეთის მოსაზღვრე ექვსი მრავალსახელმწიფოებრივი რეგიონული სისტემები, სადაც, საერთო ჯამში, შემავალი სახელმწიფოების საერთო რაოდენობა ორმოცდახუთია.

- ჩრდილო-აღმოსავლეთ აზია (რუსეთი, ჩრდილოეთი კორეა, სამხრეთ კორეა, იაპონია, ჩინეთი და აშშ);

[152] Andrew J. Nathan and Andrew Scobell. China’s Search for Security. New York: Columbia University Press, 2012. Pp. 27-28.
[153] იქვე, გვ. 28-29.

- ოკეანეთი (ავსტრალია, ახალი ზელანდია, პაპუა-ახალი გვინეა, ფიჯი, წყნარი ოკეანის თორმეტი კუნძული მიკროსახელმწიფო, ჩინეთი და აშშ);
- კონტინენტური სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია (ვიეტნამი, კამბოჯა, ლაოსი, ტაილანდი, ბირმა, ჩინეთი და აშშ);
- საზღვაო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია (ვიეტნამი, მალაიზია, სინგაპური, ინდონეზია, ბრუნეი, ფილიპინები, ჩინეთი და აშშ);
- სამხრეთ აზია (ბირმა, ბანგლადეში, ინდოეთი, ნეპალი, ბუტანი, პაკისტანი, შრი-ლანკა, მალდივის კუნძულები, რუსეთი, ჩინეთი და აშშ);
- ცენტრალური აზია (რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ავღანეთი, ჩინეთი და აშშ).

მეოთხე რგოლი გლობალური მასშტაბისაა და იგი მოიცავს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთის რეგიონს და დანარჩენ მსოფლიოს. აქვე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მეოთხე რგოლი წინა სამისაგან განსხვავდება იმ თვალსაზრისთ, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებით შემოიფარგლება, თუმცა, უახლოეს მომავალში, სულაც არ არის გამორიცხული, რომ კონკრეტულ ქვეყნებთან მიმართებაში პოლიტიკური და კულტურული განზომილებებიც დაემატოს.[154]

ჩინეთის გეოგრაფიული მდებარეობა, დემოგრაფიული ზრდის დინამიკა, ეკონომიკური პროგრესი და ამგვარი პოლიტიკური სტრატეგია ოფიციალურ პეკინს სერიოზულ წონას მატებს როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ პოლიტიკაში და მსოფლიო ჰეგემონობისკენ უკაფავს გზას. შვედეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის მკვლევარი მიქაელ ვაისმანი (Mikael Weissmann) თავის სტატიაში მიმოიხილავს ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ბოლო ექვს დეკადას და ოფიციალური პეკინის საგარეო პოლიტიკის რამდენიმე პრიორიტეტს ასახელებს:

[154] Andrew J. Nathan and Andrew Scobell. China's Search for Security. New York: Columbia University Press, 2012. Pp. 31-32.

- შიდა პოლიტიკური სტაბილურობა (1);
- სუვერენიტეტის ხელშეუხებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ეროვნული კონსოლიდაცია (2);
- მდგრადი სოციო-ეკონომიკური განვითარება (3).[155]

ბოლო პერიოდში ჩინეთის ხელისუფლება თავის პოლიტიკურ დაინტერესებას ავლენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ. „ჩინეთის არაბული პოლიტიკის დოკუმენტში" ნათლად არის ასახული ოფიციალური პეკინის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნები და ამოცანები ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ. დოკუმენტი ეფუძნება ექვს პრინციპს:

1. პოლიტიკურ საკითხებზე თანამშრომლობა - უმაღლესი დონის მთავრობათაშორისი კომუნიკაციებისა და კონსულტაციების მექანიზმების შემუშავება, საკანონმდებლო ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის აქტიური კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება, თანამშრომლობა საერთაშორისო საკითხებზე, ტაივანის საკითხი;[156]
2. ინვესტიციები და სავაჭრო თანამშრომლობა ეკონომიკური კავშირების განმტკიცების მიზნით - სავაჭრო-ეკონომიკური მექანიზმებისა და პლატფორმების შექმნა, „ერთი სარტყელი - ერთი გზის ინიციატივა" და თანამშრომლობის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: ფინანსები, მრეწველობა, ინვესტიციები, ვაჭრობა, ენერგეტიკა;[157]
3. სოციალური საკითხების მიმართულებით თანამშრომლობა - განათლება, ჯანდაცვა, მეცნიერება, თანამედროვე ტექნოლოგიები, ადამიანური

[155] Weissmann, Mikael. "Chinese Foreign Policy in a Global Perspective: A Responsible Reformer "Striving For Achievement"." Journal of China and International Realtions- JCIR (Aalborg University Press) III, 2015. p. 154. https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:817328/FULLTEXT01.pdf (ბოლოს ნანახია 15.01.2022)
[156] Gordon Houlden and Noureddin M. Zaamout. A New Great Power Engages with the Middle East: China's Middle East Balancing Approach. China Institute, University of Alberta, 2019. p. 4.
[157] იქვე, გვ. 4.

რესურსების განვითარება, სოფლის მეურნეობა, კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა და სატყეო მეურნეობა;[158]

4. ცივილიზაციათა და რელიგიათა შორის დიალოგი - კულტურა, ხელოვნება, მწერლობა, მედია, პრესა, კვლევითი ცენტრები, ტურიზმი, აგრეთვე თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ახალგაზრდობის მიმართულებით;[159]
5. თანამშრომლობა უსაფრთხოების მიმართულებით - ანტი-ტერორიზმი, კიბერუსაფრთხოება, რეგიონული უსაფრთხოება, სამხედრო, საიმიგრაციო, საპოლიციო და სასამართლო მიმართულებით თანამშრომლობა;[160]
6. ტერიტორიული სუვერენიტეტისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობა.[161]

თანამედროვე ეტაპზე ოფიციალურ პეკინს შორსმიმავალი და ამბიციური სტრატეგიული გეგმები აქვს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სახელმწიფოების მიმართ. თუმცა ტურბულენტურ გლობალურ პოლიტიკაში საჭიროა ფრთხილი და გონივრული ნაბიჯების გადადგმა, რის გამოც ჩინეთის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მწვავე საკითხების მიმართ კომპლექსური მიდგომით გამოირჩევა.

ჩინეთი სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის ერთგული რჩება, როგორც ამას ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინი აცხადებს. ჩინეთი, რომელიც გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრია უნდა ჰქონდეს მკაფიო პოზიცია ქურთების საკითხთან დაკავშირებით. თუმცა იმის გამო, რომ მას მსგავსი სეპარატისტული პრობლემა

[158] Gordon Houlden and Noureddin M. Zaamout. A New Great Power Engages with the Middle East: China's Middle East Balancing Approach. China Institute, University of Alberta, 2019. p. 4.
[159] იქვე, გვ. 4.
[160] იქვე, გვ. 4.
[161] იქვე, გვ. 4.

აქვს თავის ტერიტორიაზე, მაინც ცდილობს მკაფიო პოზიციის დაფიქსირებას მოერიდოს.

1949 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ჩამოყალიბდა, ოფიციალური პეკინი სასტიკად დაუპირისპირდა სეპარატისტულ მოძრაობებს და გამოვლინებებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთაც. ჩინეთის ხელისუფლება სეპარატიზმს, ტერორიზმსა და რადიკალიზმს „სამ ბოროტ ძალად“ მიიჩნევს და მათ მიმართ ოფიციალური პეკინი შეუწყნარებელია.[162]

ჩინეთის პოლიტიკა ერაყის და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის მიმართ ოფიციალური პეკინის საგარეო პოლიტიკის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის მიმართ სტაბილური და მშვიდობიანი რეგიონული გარემოს შენარჩუნებას ეფუძნება.[163] რაც შეეხება, რეგიონში არსებულ ცხელ წერტილებს და გადაუჭრელ პრობლემებს, ჩინეთის პოზიციაა, რომ აღნიშნული საკითხები მშვიდობიანი და გონივრული გადაჭრის გზით უნდა გადაწყდეს, იმგვარად რომ გაეროს უშიშროების საბჭოს როლი გაიზარდოს.

ოფიციალური პეკინი მხარს უჭერს ერაყის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მიუხედავად გაცხადებული პოზიციისა ცხადია, რომ ჩინეთს თავისი ინტერესები და მიზნები აქვს ქურთებთან და ქურთისტანთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, ქურთული სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში, ქურთები შეიძლება იქცნენ სტრატეგიულ პარტნიორად და ამგვარად ჩინეთმა გამოიყენოს თავისი გავლენის ინსტრუმენტად ახლო აღმოსავლეთში. მიუხედავად ჩინეთის ოფიციალური პოზიციისა სეპარატიზმთან და ექსტრემიზმთან დაკავშირებით,

---

[162] Mahmod, Hoshman. The Kurdish factor in China-Iraq relations. Center for Studies on South Asia and the Middle East, August 31, 2020. https://cssame.nchu.edu.tw/2020/08/31/the-kurdish-factor-in-china-iraq-relations/ (ბოლოს ნანახია 16.01.2022)

[163] იქვე.

ოფიციალურ პეკინსა და ერბილს მჭიდრო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან. გარდა ამისა, ჩინეთისათვის, რომლისთვისაც რეგიონული სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია, ქურთები სერიოზულ ძალს წარმოადგენდნენ ისლამურ სახელმწიფოსთან და ალ-ქაიდას წინააღმდეგ. ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს (მაგალითად, ჰოშმან მაჰმოდი), რომ პეკინი თურქეთთან მიმართებაში ქურთული საკითხით მანიპულირებს იმისთვის, რომ ოფიციალურმა პეკინმა გავლენა მოახდინოს თურქეთზე, რომელსაც თურქულენოვანი ხალხების გაერთიანების სურვილი დიდი ხანია აქვს. თუმცა პეკინისათვის ქურთებთან დაახლოების ყველაზე მამოტივირებელი მიზეზი ერაყის ქურთისტანის მდიდარი ნავთობის საბადოებია.

ჩინეთს თავისი ეკონომიკის და მზარდი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის ბუნებრივი რესურსების უწყვეტი მიწოდება სჭირდება. ისეთი აუცილებელი რესურსი როგორიც ნავთობია ჩინეთისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსია. ჩინეთი 43 სახელმწიფოდან ახორციელებს ნავთობის იმპორტირებას, საიდანაც თითქმის ნახევარი მხოლოდ ახლო აღმოსავლეთიდან იმპორტირებული ნედლი ნავთობია.[164] მჭიდრო ენერგეტიკული თანამშრომლობა ჩინეთსა და ერაყს შორის 2007 წელს თითქმის ნულიდან დაიწყო და 2017 წლისათვის ერაყიდან წლიურმა ნავთობის მიწოდებამ 270 მილიონი ბარელი შეადგინა.[165] ამგვარმა თანამშრომლობამ ერაყი დასავლეთ აზიაში ნავთობის მიწოდების თვალსაზრისით მეორე უდიდეს ქვეყნად აქცია ჩინეთისათვის. 2020 წლის მონაცემებით ერაყი მესამე სახელმწიფოა საუდის არაბეთისა და რუსეთის შემდეგ.[166] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერაყში წარმოდგენილი სამი უმსხვილესი ჩინური ნავთობკომპანიიდან, როგორებიცაა China National Petroleum Corporation

[164] Chaziza, Mordechai. China's Middle East Diplomacy: The Belt and Road Strategic Partnership. Brighton: Sussex Academic Press, 2019. p. 175.
[165] იქვე. გვ. 176.
[166] Çalışkan, Sercan. Growing Chinese Influence in the Kurdistan Regional Government in Iraq. Ankara, February 9, 2021. https://www.orsam.org.tr/en/growing-chinese-influence-in-the-kurdistan-regional-government-in-iraq/ (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

(CNPC), China National Offshore Oil Corporation (CNOOC) და Sinopec-ი, პირველი ორი ერაყის სამხრეთ რეგიონებში ოპერირებს, ხოლო Sinopec-ი ერაყის ქურთისტანში.[167]

ჩინეთის მიერ ქურთების მხარდაჭერამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე და ამან ჩინეთში არსებული სეპარატისტული განწყობები კიდევ უფრო გააძლიეროს. იმ შემთხვევაში თუ ქურთებმა სახელმწიფოს შექმნა მოახერხეს იგი აუცილებლად გამოიწვევს რეგიონში დამანგრეველ შედეგებს. შეიცვლება რეგიონის პოლიტიკური რუკა და ახალმა დღის წესრიგმა კი შესაძლოა ხელი შეუშალოს რეგიონში ჩინეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, უპირველეს ყოვლისა „სარტყელი-გზის ინიციატივას".

წმინდა სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერების გარდა პეკინსა და ერბილს შორის ასევე შეინიშნება კულტურისა და განათლების მიმართულებით ურთიერთობების გააქტიურების ტენდენციაც. ამგვარი მოსაზრების გაჟღერების საფუძველს გვაძლევს თუნდაც ის ფაქტი, რომ 2019 წელს ერბილში სალადინის უნივერსიტეტში (Salahaddin University) გაიხსნა პირველი ჩინური ენის სწავლების დეპარტამენტი. ერბილში ჩინეთის გენერალური კონსულისა და სალადინის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთობლივი განცხადებით, აღნიშნული ფაქტი ხელს შეუწყობს ურთიერთობების გაღრმავებას და ხალხთა მიმოსვლას ჩინეთსა და ქურთისტანის რეგიონში, რაც თავისთავად სარგებლის მომტანიც იქნება.[168] ერბილში ჩინური ენის დეპარტამენტის გახსნის შემდეგ გადაიდგა საპასუხო ნაბიჯიც და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა პეკინის უნივერსიტეტში ქურთული ენის დეპარტამენტის გახსნის გეგმის შესახებ.

---

[167] Chaziza, Mordechai. China's Middle East Diplomacy: The Belt and Road Strategic Partnership. Brighton: Sussex Academic Press, 2019. p. 176.

[168] Xinhua. Iraq's 1st Chinese language department to open in northern university. August 27, 2019. http://www.xinhuanet.com/english/2019-08/27/c_138343090.htm (ბოლოს ნანახია 15.12.2021)

2017 წელს ერაყის ქურთისტანის რეფერენდუმის ჩატარებისას პეკინმა ოფიციალური განცხადებით კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პოზიცია ერაყის ერთიანობასთან და ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. ამრიგად, რეფერენდუმის შედეგებს არანაირი მხარდაჭერა და დადებითი გამოხმაურება მოჰყვა პეკინის მხრიდან. ოფიციალური პეკინის მკაფიო პოზიცია ქურთისტანის რეგიონული მთავრობის მიერ ჩატარებული რეფერენდუმთან დაკავშირებით ჩინეთსა და ქურთების ურთიერთობების ისტორიაში „შავ ლაქად“ დარჩა. უსაფრთხოების საკითხების მკვლევარი ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით სერჯან ჩალიშკანი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ჩინეთის ნეგატიური დამოკიდებულება ქურთისტანის რეფერენდუმთან დაკავშირებით ხდება ძალზედ მნიშვნელოვანი ძალაუფლების ბერკეტი აშშ-სთვის, რათა ამით მან შეინარჩუნოს თავისი გავლენა ქურთისტანის რეგიონულ მთავრობაში ჩინეთის წინააღმდეგ.[169]

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის ოფიციალური პოზიცია ქურთული საკითხის მიმართ საკმაოდ ბუნდოვანი და კომპლექსურია. თუმცა ცხადია, რომ ოფიციალურ დონეზე ჩინეთი მხარს არ უჭერს სეპარატისტულ გამოვლინებებს. ამავდროულად, ამავე ქვეთავში, დავინახეთ ისიც, რომ ოფიციალური პეკინი ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს ერაყის ქურთისტანში.[170] ამგვარი მიდგომა კი გვაფიქრებინებს, რომ ოფიციალური პეკინი ორმაგი სტანდარტით მოქმედების სტრატეგიას ირჩევს ქურთულ საკითხთან დაკავშირებით. პეკინმა შესაძლოა დაუშვას და ხელი შეუწყოს ქურთული სახელმწიფოს შექმნას და, ამავდროულად, შეინარჩუნოს ადრინდელი რიტორიკა. საკითხთან დაკავშირებით ამგვარი დამოკიდებულება და ორმაგი სტანდარტები ახალი და უცხო არ არის ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან მიმართებაში.

---

[169] Çalışkan, Sercan. Growing Chinese Influence in the Kurdistan Regional Government in Iraq. Ankara, February 9, 2021. https://www.orsam.org.tr/en/growing-chinese-influence-in-the-kurdistan-regional-government-in-iraq/ (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

[170] იქვე.

## 3.3. ქურთული საკითხის ოპტიმალური გადაჭრის გზა და პერსპექტივა

როგორც ნაშრომის ზოგიერთ ქვეთავში დავინახეთ, ქურთული საკითხის მოგვარების პერსპექტივები ჯერ კიდევ ბუნდოვანი და შორეული მომავლის საკითხია. მოცემული პოლიტიკური ლანდშაფტი ვერ უზრუნველყოფს ქურთული საკითხის მოგვარებას და, ამ ეტაპისათვის, პრობლემის გადაწყვეტა მეცნიერების წიაღში უნდა ვეძებოთ. ემზარ ხვიჩიას მიერ შექმნილი კვანტური რელატივისტური ნოოლოგია ახლი სიტყვაა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღნიშნული სამეცნიერო სიახლე ნაკლებადაა ცნობილი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის. საერთაშორისო პოლიტიკის კვლევის და პროგნოზირების ცენტრში მოღვაწე პოლიტიკის მეცნიერების ათამდე დოქტორანტი, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და საერთაშორისო ურთიერთობების ახალგაზრდა მკვლევრები თავიანთ სამეცნიერო შრომებში აქტიურად იყენებენ ნოოლოგიას, როგორც თეორიულ ჩარჩოს, რათა, ერთი მხრივ, გადაამოწმონ ნოოლოგიის შედეგები და შექმნან ახალი სამეცნიერო პროდუქტი, ხოლო, მეორე მხრივ, აამაღლონ ცნობადობა და პოპულარიზაცია გაუწიონ ე. ხვიჩიას შექმნილ ახალ სამეცნიერო პროდუქტს. ჩვენ მიერ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის გამოყენება სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვების შედეგად შექმნილი ახალი სამეცნიერო აპარატით შესაძლებელია როგორც მსოფლიოს მიმდინარე პროცესების პროგნოზირება, ასევე გლობალური განვითარების ოპტიმალური მოდელის შემუშავება, რომლის იმპლემენტირების შემთხვევაშიც ოპტიმალური წესრიგის მიღწევაა შესაძლებელი. თუმცა, უშუალოდ, სანამ ოპტიმალურ მოდელსა და ოპტიმალურ წესრიგს შევეხებოდეთ, მანამდე უნდა ვახსენოთ ნოოლოგიის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი - ციკლური ლოგიკა, რომლის მიხედვითაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ერთ ცივილიზაციად ჩამოყალიბებული მსოფლიოს სოციო-ეკონომიკური და

პოლიტიკური განვითარება ეგეოსური ცივილიზაციის ფაზების ლოგიკას დაექვემდებარა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ 1948 წლიდან კაცობრიობის განვითარების მთავარი ხაზი შემდეგი ციკლური ლოგიკით მიმდინარეობას:

- 1948-1967 წწ. - მეხუთე ორმაგი (ძლევისა და მართვის მანიის) ეფექტის ფაზა;
- 1968-1987 წწ. - მესამე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა;
- 1988-2007 წწ. - მეექვსე ორმაგი (ძლევის და მართვის მანიის) ეფექტის ფაზა;
- 2008-2027 წწ. - მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა;
- 2028-2047 წწ. - მეშვიდე ორმაგი (ძლევის და მართვის მანიის) ეფექტის ფაზა;
- 2048-2067 წწ. - მეოთხე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა და ა.შ.[171]

ზემოხსენებულ ფაზებში, როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა ფაზათა მონაცვლეობის ლოგიკა. ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია მიმდინარე ფაზისა და მომდევნო ფაზის განხილვა, რათა შევაფასოთ ქურთების დღევანდელი მდგომარეობა მიმდინარე ფაზაში და შემდგომი ფაზისთვის დამახასიათებელი ტენდენციების მიხედვით განვსაზღვროთ ქურთული საკითხის მომავალი.

მიმდინარე ფაზას, როგორც ვნახეთ, მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა ეწოდება, რომლისთვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები, ჯერ კიდევ, 2004 წელს, ემზარ ხვიჩიას მიერ შექმნილ ნაშრომში,[172] ფაზის დაწყებამდე იყო პროგნოზირებული. ფორმის მანიის ფაზისთვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციებია:

---

171 ხვიჩია, ემზარ. ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. თბილისი: ახალი პარადიგმა, 2020. გვ. 218-242. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/327937/1/Noologia.pdf (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

172 ხვიჩია, ემზარ. ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია. თბილისი: ნეკერი, 2004.

- მსოფლიოში ფორმის მანიის პარადიგმისთვის დამახასიათებელი ნაციონალისტურ-სოციალისტური ელემენტების გაძლიერება;
- ავტარიკისტული განწყობების ტენდენციების საყოველთაოდ გავრცელება (ბრექსითი);
- სეცესიონისტური და სეპარატისტული განწყობების გააქტიურება (კატალონიის, შოტლანდიის და ქურთისტანის რეფერენდუმები);
- ფორმის მანიის ერთა წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი ჩინელების ეკონომიკური დაწინაურება;
- ირანელი ერის პოზიციების გაძლიერება;
- არაბული გაზაფხული და სხვა პროცესები.

ხსენებული ელემენტების აქტუალიზაცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა და უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული ტენდენციების აქტუალობა 2027 წლამდე შენარჩუნდება.[173]

მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დასრულების შემდეგ მეშვიდე ორმაგი (ძლევის და მართვის მანიის) ეფექტის ფაზა დაიწყება და იგი 2047 წლამდე გაგრძელდება. ძლევისა და მართვის მანიის თვისებების და წინა ფაზებზე დაკვირვების შედეგად, უნდა ვივარაუდოთ რომ 2028-2047 წლების მსოფლიო ნამდვილად არ იქნება მშვიდობიანი და კაცობრიობა რეგიონული თუ გლობალურ სამხედრო კონფლიქტში იქნება ჩართული. საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე გააქტიურდება საკითხების ძალისმიერი მეთოდებით დაგაჭრის შემთხვევები. ბუნებრივია, ამგვარი მოცემულობის შემთხვევაში ქურთების საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა ნაკლებსავარაუდოა. ქურთები, როგორც ძლევის მანიის ერი, თავისი ფსიქოტიპის ფაზაში გააქტიურდება და წინააღმდეგობასაც წააწყდება და, დიდი ალბათობით, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კონფლიქტური სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება.

---

[173] ხვიჩია, ემზარ. ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. თბილისი: ახალი პარადიგმა, 2020. გვ. 238-239. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/327937/1/Noologia.pdf (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

ამგვარი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს ისტორიასა და პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვება, რის შედეგადაც გამოვთქვათ მოსაზრებას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს ერთ ცივილიზაციად გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებულ ფაზათა ცვლის ლოგიკაში ყველაზე მძიმე და დამანგრეველი შედეგები ქურთებმა სწორედ ძლევისა და მართვის მანიის ორმაგი რეალიზაციის ფაზებში იწვნიეს.

- არაბული ნაციონალიზმის აღზევება და ანტიქურთული რიტორიკის გაძლიერება, 1962 წლის ელ-ჰასაკის აღწერა სირიაში (1948-1967 წწ. - ძლევისა და მართვის მანიის მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზა);
- 1988 წლის ალ-ანაფლის სამხედრო კამპანია და ქურთების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება ჰალაბჯაში, 2004 წლის ელ-კამიშლის დაპირისპირება სირიაში (1988-2007 წწ. - ძლევის და მართვის მანიის მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზა და სხვა).

ნოოლოგია, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს მთავარ პრობლემად რესურსების დატაცების სტრატეგიას ასახელებს, გვთავაზობს მეცნიერულად დასაბუთებული გლობალური პოლიტიკის ოპტიმიზაციისა და ოპტიმალური წესრიგის ჩამოყალიბების პროგრამის ინიცირებას, რომელსაც ე. ხვიჩია ოპტიმალიზმის დოქტრინას უწოდებს.[174] აღნიშნული დოქტრინის საფუძველზე ყოველ ერს პირდაპირი თვითრეალიზაციის საშუალებით შესაძლებლობა ექნება საკუთარი ექსკლუზიური ფუნქცია შეასრულოს ოპტიმალიზმის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ოპტიმალურ მსოფლიო წესრიგში, რომლის შესახებაც ნაშრომის პირველი თავში უკვე ვისაუბრეთ.

რაც შეეხება, ქურთული საკითხის მოგვარებას, ოპტიმალიზმის დოქტრინის იმპლემენტაციამდე აუცილებელია შეიქმნას თურქულ-სირიულ-

[174] ხვიჩია, ემზარი. ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. თბილისი: ახალი პარადიგმა. 2020. გვ. 242-250. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/327937/1/Noologia.pdf (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

ერაყული კონფედერაცია, სადაც ქურთული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების მეშვეობით ქურთ ერს საკუთარი თავის თვითიდენტიფიკაციის და ერად ჩამოყალიბების საშუალება მიეცემათ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქურთების უმრავლესობა ისლამის მიმდევარია, რაც მათ ერად ჩამოყალიბებაში უშლის ხელს, რადგანაც ისინი ძლევის მანიის კლასის წარმომადგენლები არიან, ხოლო ისლამი ფორმის მანიის ფსიქოტიპური ელემენტია. ქურთების ფსიქოტიპის გათვალისწინებით მათი ერად ჩამოყალიბების წინაპირობად ეზიდიზმი უნდა იქცეს, რადგანაც ქურთები და ეზიდიზმი ორივე ძლევის მანიის ელემენტია.

ამავე პერიოდში ქურთებმა უნდა მოახერხონ საკუთარი ფსიქოტიპის განსაზღვრა და დადგენა იმისთვის, რომ გაუადვილდეთ მათი როლისა და ფუნქციის პოვნა "გლობალური განვითარების ცენტრში". ხსენებული კონფედერაცია აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ მათ მომავალში შეძლონ დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქურთული სახელმწიფოს შექმნა რუსეთის ინტერესიც უნდა იყოს, ვინაიდან ორივე ხსენებული ერი, ერთი და იმავე, ძლევის მანიის კლასის ერებს განეკუთვნებიან. რუსეთისათვის კიდევ ერთი ძლევის მანიის კალასის ტიპის სახელმწიფოს შექმნა დამატებითი რესურსი იქნება ძლევის მანიის კლასის ერის ფუნქციის ეფექტურად შესრულებისათვის ოპტიმალიზმის დოქტრინის შედეგად ჩამოყალიბებულ ახალ მსოფლიო წესრიგში.[175]

## 3.4. ქურთების საკითხი და საქართველო

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი შექმნილია ქართულ სამეცნიერო-აკადემიურ სივრცეში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია

---

175 ხვიჩია, ემზარ. ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. თბილისი: ახალი პარადიგმა. 2020. გვ. 242-250. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/327937/1/Noologia.pdf (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

ნაშრომში წარმოჩენილი იყოს ქართულ-ქურთული ურთიერთობები და საქართველოს დამოკიდებულება ქურთულ საკითხთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ ქართულ-ქურთულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და იგი სათავეს ჯერ კიდევ საქართველოში არაბთა ლაშქრობების პერიოდიდან იღებს. ისტორიკოსები ქურთების საქართველოში პირველად გამოჩენას სწორედ ამ პერიოდს უკავშირებენ. სამხრეთ კავკასიაში აღმოცენებულ შადადიანთა ქურთულ დინასტიასა და საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობებს საფუძველი X საუკუნიდან ეყრება. თუმცა მას შემდეგ, რაც რეგიონში შადადიანთა დინასტია მოძლიერდა, ის მალევე იქცა საქართველოს სამეფოს მეტოქედ. 1199 წელს თამარ მეფის მიერ ანისის ტერიტორიაზე გაბატონებული შადადიანთა მეორე შტოს გაუქმების და სამთავროს საქართველოს სამეფოსთან შემოერთების შემდეგ მრავალი ქურთული ოჯახი საქართველოში გადმოსახლდა. ფაქტია, რომ ზოგიერთი ქურთული წარმოშობის გვარს საქართველოს სამეფო კარზე მაღალ თანამდებობები ეკავა. მაგალითისათვის, ივანე და ზაქარია მხარგრძელები,რომლებიც XII-XIII საუკუნეში სომხეთის ტერიტორიის ნაწილს განაგებდნენ.[176]

საქართველოში, კერძოდ მესხეთის ტერიტორიაზე, ცალკეული ქურთული ტომების დასახლებები XVI საუკუნიდან ფიქსირდება. წყაროების მიხედვით, XIX საუკუნეში თბილისის გუბერნიაში, რომელიც ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებს მოიცავდა, 3 ათასამდე ქურთი ცხოვრობდა.[177] ქურთი-ეზიდების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ფიქსირდება. ქურთისტანის ტერიტორია პირველი მსოფლიო ომის დროს სამი სახელმწიფოს არმიის (რუსეთი, თურქეთი და დიდი ბრიტანეთი) საბრძოლო მოქმედებების ასპარეზად გადაიქცა, რამაც ქურთი-ეზიდების მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა. მუსლიმი ქურთების მიერ ეზიდი ქურთების კონფესიური ნიშნით დევნის და არსებული პოლიტიკური

---

[176] ფირბარი, დ., კომხია, მ. ქურთები საქართველოში. თბილისი: ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2008. გვ. 12.
[177] ზასილაია, მერაბ. რედ. ეთნოსები საქართველოში. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, 2008. გვ. 141-142.

მდგომარეობის გათვალისწინებით ეზიდური აღმსარებლობის ქურთებმა მიგრაცია დაიწყეს. 1918 წელს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ეზიდების ლტოლვილთა მნიშვნელოვან ნაწილს საქართველოში შემოსვლის ნება დართო. შემდგომში, ლტოლვილთა უმეტესობა თბილისში დასახლდა, ხოლო მცირე ნაწილი თელავის მიდამოებთან. ალვანსა და თიანეთში დასახლებული ეზიდების უმეტესობამ ასიმილაცია განიცადა.[178]

საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოში მცხოვრები ქურთი-ეზიდების მოსახლეობის რაოდენობა ეტაპობრივად მატულობდა, რასაც საყოველთაო აღწერის სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს. 1939 წლიდან საყოველთაო აღწერის დოკუმენტებში, ეზიდები დანარჩენ ქურთებთან ერთად არის აღრიცხული. თუმცა 1926 წელს ჩატარებულ საკავშირო აღწერის დოკუმენტებში ქურთები და ეზიდები ცალ-ცალკე არიან აღრიცხულნი. ამავე წლის მონაცემების მიხედვით 2 262 ეზიდი და 7 995 ქურთი ცხოვრობდა. 1939 წლის სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ საქართველოში 12 915,[179] 1959 წ. - 16 212,[180] 1970 წ. – 20 690,[181] 1979 – 25 688182 ქურთი ცხოვრობდა. 1989 წლის საყოველთაო აღწერის დოკუმენტში საქართველოში მცხოვრები ქურთების რაოდენობამ მაქსიმუმს მიაღწია და 33 331 კაცი შეადგინა. თუმცა 1990-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთი ხალხის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, რაც, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საზღვრების გახსნის, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოში შექმნილი რთული სოციალური და ეკონომიკური ფონით იყო გამოწვეული. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით ქურთი-ეზიდების

---

[178] ბასილაია, მერაბ. რედ. ეთნოსები საქართველოში. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, 2008. გვ. 143.

[179] Всесоюзная перепись населения 1939 года. Национальный состав населения районов, городов и крупных сел союзных республик СССР. http://www.demoscope.ru/weekly/ssp/ussr_nac_39_ra.php?reg=767 (ბოლოს ნანახია 05.02.2023)

[180] Всесоюзная перепись населения 1959 года. Национальный состав населения по республикам СССР. http://www.demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_59.php?reg=8 (ბოლოს ნანახია 08.02.2023)

[181] Всесоюзная перепись населения 1970 года. Национальный состав населения по республикам СССР. http://www.demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_70.php?reg=6 (ბოლოს ნანახია 08.02.2023)

[182] Всесоюзная перепись населения 1979 года. Национальный состав населения по республикам СССР. http://www.demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_79.php?reg=6 (ბოლოს ნანახია 08.02.2023)

რაოდენობა 20 843 კაცი იყო.[183] საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2002 წლის აღწერაში ქურთები და ეზიდები არა ერთად, არამედ ცალ-ცალკე ეთნიკურ ჯგუფებად არის მოხსენიებული. სტატისტიკური მონაცემებით დგინდება, რომ საქართველოში 2002 წელს 18 329 ეზიდი და 2 514 ქურთი ცხოვრობდა. 2014 წლის 28 აპრილის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში 12 200 ეზიდი[184] და 1 596 ქურთი ცხოვრობს.[185]

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, საქართველოს ადგილობრივი მთავრობა ხელს უწყობდა ქურთების კულტურულ და საგანმანათლებლო მხარდამჭერ აქტივობებს, რასაც მრავალი მაგალითი ადასტურებს. კერძოდ, 1961-1977 წლებში თბილისის 70-ე სკოლაში მეორე და მეოთხე კლასის ქურთი მოსწავლეებისთვის ფუნქციონირებდა ქურთული სექტორი. 1978 წელს მუშაობა დაიწყო საქტელერადიოს ქურთული რადიოგადაცემის რედაქციამ. ქურთული კულტურის ხელშეწყობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქურთული თეატრის დაარსება, რომელმაც ორი ათეული წელიწადი იარსება. 1981 წელს ჩატარდა ქურთული დღეები, რომელსაც მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული მრავალი სტუმარი ესწრებოდა.[186]

საქართველოში ეროვნული მოძრაობის გააქტიურების პარალელურად შეინიშნება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გააქტიურებაც, რაზეც 1988 წელს პირველი ქურთული ორგანიზაცია - „რონაის“ (სინათლე) - შექმნის ფაქტიც მეტყველებს. აღნიშნულ ორგანიზაციას მოგვიანებით „საქართველოს ქურთ მოქალაქეთა საზოგადოება“ ეწოდა, ხოლო იგი 1998 წლიდან „საქართველოს ეზიდთა კავშირის“ სახელითაა ცნობილი.

---

183 ბასილაია, მერაბ. რედ. ეთნოსები საქართველოში. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, 2008. გვ. 141.

184 მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. თბილისი: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 2014. გვ. 8. http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf (ბოლოს ნანახია 08.02.2023)

185 Ethnic Groups of Georgia. Map Series by the center for the Studies of Etnicity and Multiculturalism. Tbilisi, 2016. http://csem.ge/wp-content/uploads/2016/07/ethnic_groups_of_georgia.jpg (ბოლოს ნანახია 08.02.2023)

186 ბასილაია, მერაბ. რედ. ეთნოსები საქართველოში. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, 2008. გვ. 146-147.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მრავალი ქურთულ-ეზიდური ორგანიზაცია თუ მოძრაობა ფუნქციონირებს. დიმიტრი ფირზარისა და მამუკა კომახიას ერთობლივ ნაშრომში - „ქურთები საქართველოში“, დასახელებულია საქართველოში მოქმედი ქურთულ-ეზიდური ორგანიზაციები. ესენია: ქურთ-ეზიდთა ეროვნული კონგრესი, გიორგი შამოევის სახელობის ქურთების უფლებებისა და რელიგიურ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ფონდი, საქართველოს ეზიდთა ახალგაზრდული კავშირი, საქართველოს ქურთ-ეზიდ ქალთა დამოუკიდებელი ლიგა, საქართველოს ქურთი ინტელიგენციის კავშირი, ქურთისტანის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს ქურთთა კავშირი.[187] ზემო ჩამოთვლილი ორგანიზაციები ქურთულ-ეზიდური ტრადიციების, კულტურის, რელიგიის და ენის შენარჩუნებასა და მხარდაჭერას ემსახურება. ავტორები წუხილს გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მოქმედი ქურთული ორგანიზაციების როლი ადგილობრივი ქურთების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით საკმაოდ სუსტია, ვინაიდან ქურთულ ორგანიზაციებს რეგულარული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე უწევთ ფუნქციონირება. პერიოდულად იღებენ სახელმწიფოს და კერძო პირებისგან ფინანსურ შემოწირულობას. უნდა ითქვას, რომ საქართველოში მოქმედი ადგილობრივი ქურთულ-ეზიდური ორგანიზაციები არანაირი ფინანსური მხარდაჭერა არ გააჩნიათ საზღვარგარეთ მოქმედი ქურთული ორგანიზაციებისგან და როგორც ამას ავტორები აცხადებენ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც ფინანსური დახმარებაც იშვიათია.[188]

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ ერთობლივ ნაშრომში „ქურთთა საინფორმაციო-კულტურული ცენტრის“ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას რადიკალიზმად აფასებენ, ვინაიდან ცენტრს თურქეთის მიერ ტერორისტად გამოცხადებული აბდულა ოჯალანის სახელს უკავშირებენ.

---

[187] ფირზარი, დ., კომხია, მ. ქურთები საქართველოში. თბილისი: ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2008. გვ. 85.
[188] იქვე, გვ. 85-86.

ცნობისთვის, ცენტრმა 2003 წელს რამდენჯერმე გამართა ოჯალანის მხარდამჭერი აქციები თბილისში.

საინტერესოა, რომ საქართველოში მოქმედი ადგილობრივი ქურთული ორგანიზაციების საქმიანობა უარყოფით კონტექსტში არის წარმოჩენილი უცხოეთში, კერძოდ კი თურქეთში. 2012 წელს "საინფორმაციო სააგენტო იჰლასის (İhlas Haber Ajansı) მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში - New Activities of the PKK and the Armenian Diaspora, ათათურქის უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის პროფესორმა სავაშ ეგილმეზმა (Savaş Eğilmez) გამოთქვა მოსაზრება, რომ თურქეთის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებული ქურთისტანის მუშათა პარტია იყენებს სომხეთს, როგორც სატრანზიტო პუნქტს ევროპიდან ირანში, სირიასა და ჩრდილოეთ ერაყში მიმავალი სამხედრო და ლოგისტიკური მხარდაჭერისთვის. იგი აცხადებს, რომ დაშნაკცუთიუნის პარტია ქურთისტანის მუშათა პარტიას აქტიურად უჭერს მხარს და იქვე დასძენს, რომ ტერორისტული ორგანიზაციის მიერ კონტროლირებადი გაზეთი და რადიო სახელწოდებით „Yerevan 's Sesi" ორგანიზაციის პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწევა.[189] სადისერტაციო ნაშრომში ამ თემაზე ყურადღების გამახვილება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ სტატიაში ნახსენებია საქართველო და საქართველოში მოქმედი ადგილობრივი ქურთული ორგანიზაციები. ეგილმეზის აზრით, ქურთისტანის მუშათა პარტიის სურვილია, რომ სატრანზიტო პროცესში სომხეთის მსგავსად საქართველოც ჩაერთოს, რისთვისაც იგი საქართველოში მცხოვრებ ქურთ-ეზიდებს იყენებს და იქვე ასახელებს კონკრეტულ ორგანიზაციებს, რომლებიც, მისი აზრით, ქურთისტანის მუშათა პარტიის საფარქვეშ არიან. ესენია: ქურთების უფლებებისა და რელიგიურ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ფონდი, ქურთების კულტურული ასოციაცია, საქართველოს ქურთ-ეზიდ ქალთა დამოუკიდებელი ლიგა და საქართველოს ეზიდთა

[189] İhlas Haber Ajansı. New Activities of the PKK and the Armenian Diaspora. Erzurum, 15 August, 2012. https://www.iha.com.tr/erzurum-haberleri/pkk-ve-ermeni-diasporasinin-yeni-faaliyetleri-203221/ (ბოლოს ნანახია 08.02.2023)

ახალგაზრდული კავშირი, უკანასკნელს კი ქურთისტანის მუშათა პარტიის ფავორიტად მოიაზრებს.[190]

აღნიშნულ საკითხის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს 2019 წელს Eurasia Daily Monitor-ში გამოქვეყნებული პოლ გობლის (Paul Goble) პუბლიკაცია,[191] სადაც მოქმედ აქტორთა რაოდენობა და გეოგრაფიული არეალი გაფართოებულია. ავტორი იზიარებს იმპერიალისტური და პოსტსაბჭოთა რუსეთის მიერ ეთნიკური უმცირესობებით მანიპულაციის ნარატივს და საქართველოში რუსეთის მიერ თურქეთში მცხოვრებ ქურთებსა და სომხებს შორის შესაძლო ალიანსის შექმნაზე ამახვილებს ყურადღებას.

ფაქტია, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა უფრო ღია და თავისუფალი გახდა სხვადასხვა ჯგუფის ოპერირებისათვის, რამაც ბუნებრივია შეღწევადობის მაჩვენებელი უფრო გაზარდა. სადაზვერვო საქმიანობის ისტორიის ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების გამოყენებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება რომელიმე მიერ თავისი სტრატეგიული ინტერესებს განხორციელებისათვის. მონათესავე კონფესიურ-ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენენ მყარ დასაყრდენ ძალას ამა თუ იმ ძალის მიერ შესაძლო დესტაბილიზაციის ან კიდევ რაიმე სახის კონტროლის დამყარების თვალსაზრისით. აუცილებელია, რომ სახელმწიფოს შესაბამისმა უწყებებმა მაღალ დონეზე შეასრულონ თავიანთი საქმიანობა და მაქსიმალურად აღკვეთონ მოწყვლად ჯგუფებზე შესაძლო მანიპულაციების განხორციელების შესაძლებლობები, რათა ქვეყნებსა და ეთნოკონფესიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების დაძაბვა და დესტაბილიზაცია ავირიდოთ.

---

[190] İhlas Haber Ajansı. New Activities of the PKK and the Armenian Diaspora. Erzurum, 15 August, 2012. https://www.iha.com.tr/erzurum-haberleri/pkk-ve-ermeni-diasporasinin-yeni-faaliyetleri-203221/ (ბოლოს ნანახია 08.02.2023)

[191] Goble, Paul. Armenians Look to Renewed Alliance with Kurds in Turkey, Expanded Role in Georgia. Eurasia Daily Monitor, Vol: 16 Issue: 66. Washington, DC: The Jamestown Foundation, 2019. https://jamestown.org/program/armenians-look-to-renewed-alliance-with-kurds-in-turkey-expanded-role-in-georgia/ (ბოლოს ნანახია 08.02.2023)

# დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნაში ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი შედეგები, საკვლევ კითხვებზე პასუხები, ჰიპოთეზის დადასტურება, ძირითადი პროგნოზები და რეკომენდაციები ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით, ასევე ქურთული საკითხის გამოწვევებსა და პერსპექტივებზე, რაც გულისხმობს შემდეგს:

საერთაშორისო პოლიტიკაში ქურთული საკითხი საკმაოდ აქტუალური თემაა. თუმცა რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკაში ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით საკმაოდ ბუნდოვანი და ორაზროვანი პოზიცია არსებობს. აშკარაა, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მოცემულობის ფონზე ქურთული საკითხის მოგვარება საკმაოდ არადამაჯერებელია, ხოლო სახელმწიფოს შექმნა შორეული მომავლის საკითხია.

სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაოდ გავრცელებული თვითგამორკვევის პრინციპი, რომელიც ამავდროულად საკმაოდ ბუნდოვანი და კომპლექსურია, ვერ უზრუნველყოფს ქურთული სახელმწიფოს შექმნას საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის ფარგლებში, ვინაიდან იგი კოლიზიურია ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან მიმართებაში.

თვითგამორკვევის თეორიულ პრიზმაში სადისერტაციო თემის ანალიზის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ ცხადია, რომ ქურთი ხალხი ყველა პირობას აკმაყოფილებს იმისთვის რომ კვალიფიცირდნენ როგორც ერად და ხალხად, ვინაიდან მათ ამისთვის მნიშვნელოვანი ობიექტური ფაქტები და გარემოებები აქვთ, კერძოდ კი ქურთები უძველესი დროიდან სახლობენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში (ქურთისტანის ტერიტორიაზე), აქვთ ერთი სამეტყველო ენა (სხვადასხვა დიალექტები), არიან ერთი რელიგიის მიმდევარნი (უდიდესი ნაწილი ისლამის მიმდევარია).

მიუხედავად კოსოვოს პრეცედენტისა, ცხადია რომ ქურთებისთვის გარე თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობა დაბლოკილია, რაც მკაფიოდ დადასტურდა 2017 წელს ერაყის ქურთისტანში ჩატარებული რეფერენდუმის დროს.

გარე თვითგამორკვევის მსგავსად, შეზღუდულია ასევე შიდა თვითგამორკვევის პრინციპიც (შეძლება ითქვას ერაყის გარდა), რის გამოც რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით ირანსა და თურქეთში, მათი სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და კულტურული უფლებები ფაქტობრივად შეზღუდულია. მაგალითისათვის, 1985 წლიდან, ირანის ისლამურ სახელმწიფოში მოქმედებს ე.წ. გოზინეშის კანონმდებლობა, რაც რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს უკრძალავს სრულფასოვან მონაწილეობას სამოქალაქო ცხოვრებაში. ამავე კანონისა და სხვა დებულებების მიხედვით უმცირესობების განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა მკაცრი იდეოლოგიური შემოწმებითა შესაძლებელი.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული შემთხვევის ანალიზის მეთოდით შევისწავლეთ ერაყის ქურთისტანის 2017 წლის რეფერენდუმი, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ ქურთების დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით ლოკალურ დონეზეც კი არ არსებობს ერთიანი პოზიცია. გამოვლინდა, რომ სუნიტური და შიიტური მოძრაობები, დაჯგუფებები თუ პარტიები განსხვავებულად უყურებენ და აფასებენ ერაყის ქურთისტანის რეფერენდუმს და, ზოგადად, ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეასაც. ამავე ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ერაყის ქურთისტანის მთავრობის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მიუღებელია რეგიონის სახელმწიფოებისთვის.

რეგიონულ და გლობალურ დონეზე ისრაელის სახელმწიფო ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც ღიად დაუჭირა მხარი ერაყის ქურთისტანში რეფერენდუმის ჩატარების იდეას და მის შედეგებს. გარდა ამისა, ისრაელის მთავრობა მრავალი ათწლეულია რაც ქურთების ეროვნულ-

განმათავისუფლებელ ბრძოლას, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვასა და ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეას აშკარად უჭერს მხრას სხვადასხვა საერთაშორისო ტრიბუნიდან. ქურთი ხალხის მიმართ ისრაელის აქტიურ მხარდაჭერას, რასაკვირველია, თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული მიზეზები და მიზნები აქვს.

კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის მიხედვით დადგინდა, რომ ქურთებისთვის ყველაზე მძიმე და დამანგრეველი შედეგები ძლევისა და მართვის მანიის ორმაგი რეალიზაციის ფაზებში ხდება: არაბული ნაციონალიზმის აღზევება და ანტიქურთული რიტორიკის გაძლიერება, 1962 წლის ელ-ჰასაკის აღწერა სირიაში (ძლევისა და მართვის მანიის მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზა 1948-1967 წლები); 1988 წლის ალ-ანაფლის სამხედრო კამპანია და ქურთების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება ჰალაბჯაში, 2004 წლის ელ-კამიშლის დაპირისპირება სირიაში (ძლევის და მართვის მანიის მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზა 1988-2007 წლები).

ნოოლოგიის მიხედვით 2027 წლიდან ძლევისა და მართვის მანიის ორმაგი რეალიზაციის ფაზა იწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქურთი ერი კვლავ გააქტიურდება სამართლიანობის და თანასწორობის რეალიზაციის მოთხოვნით. კვანტური რელატივისტური ნოოოლოგიით დგინდება, რომ ძველი პარადიგმის პირობებში ქურთული საკითხის გადაჭრის ოპტიმალური გზის პოვნა შეუძლებელია. ასევე წარმოჩინდა, რომ გლობალური პოლიტიკური პროცესები, მომავალში, დიდი ალბათობით, დესტრუქციული ხასიათის იქნება, რაც, თავისთავად, ქურთული საკითხის მოგვარების პერსპექტივას საკმაოდ პესიმისტურად წარმოაჩენს.

ჩატარებული კვლევის და ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ ქურთული საკითხი დაუსრულებელ დილემას წარმოადგენს დასავლეთისთვის. გლობალური აქტორები, როგორებიცაა ჩინეთი, რუსეთი და აშშ, თავს იკავებენ ქურთული სახელმწიფოს იდეასთან დაკავშირებით რაიმე განცხადების გაკეთებისგან ან პოზიციის დაფიქსირებისგან. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი,

რომ თავად ქურთებს შორისაც არ არსებობს ერთიანი ხედვა ქურთული პრობლემატიკის გადაჭრის საკითხთან დაკავშირებითაც, ვინაიდან ზოგიერთი ქურთული პარტია თუ დაჯგუფება ერთმანეთისგან განსხვავებულ პოლიტიკურ სტრატეგიას თუ მოდელს ანიჭებს უპირატესობას, რაც ბუნებრივია რომ კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას.

საგარეო პოლიტიკის ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა, რომ ჩინეთისთვის ერაყის ქურთისტანს მხოლოდ სტრატეგიული და ენერგეტიკული ფუნქცია აქვს. ოფიციალური პეკინის მიერ ქურთულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე პოზიტიური განცხადების გაკეთება ან პოზიციის დაფიქსირება ქვეყნის შიგნით, ეთნიკურ უმცირესობებში, პროტესტის ტალღას გამოიწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური პეკინი სეპარატიზმის ნებისმიერ გამოვლინებას ებრძვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონზე, იგი თავის ინფრასტრუქტურულ პროექტებს მაინც ახორციელებს ერაყის ქურთისტანის რეგიონში. თვალშისაცემია, ასევე, ერბილსა და პეკინს შორის კულტურული ურთიერთობების ინტენსიური ხასიათიც.

გამოვიკვლიეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებს, რუსეთსა და ჩინეთს განსხვავებული მიდგომები და პოზიციები აქვთ რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებში მცხოვრებ ქურთებთან მიმართებაში. ერთი შეხედვით რუსეთის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ეთნიკური უმცირესობების თვითგამორკვევის უფლების და მათ მისწრაფებების მხარდამჭერია, თუმცა რეალპოლიტიკა სრულად განსხვავებულად გამოიყურება. ოფიციალური მოსკოვის საგარეო პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში თავისი გეოპოლიტიკური მიზნები აქვს - გავლენების შენარჩუნება და კონტროლის მასშტაბების გაზრდა, რომლის მიღწევისათვის ქურთები და ზოგიერთი ქურთული დაჯგუფება სერიოზულ რესურსს წარმოადგენენ.

ქურთულ-ამერიკული ურთიერთობების და აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ოფიციალურ ვაშინგტონს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ცალკეულ ქვეყნებში მცხოვრებ ქურთებთან

მიმართებაში სხვადასხვა პერიოდში ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომები და პოზიციები აქვს, რაც ნაშრომში მკაფიოდ არის წარმოჩენილი. ქურთულ-ამერიკულმა ალიანსმა გარდამტეხი როლი შეასრულა ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობაში, რის შედეგადაც ერაყის ქურთისტანის რეგიონმა გაფართოებული ავტონომიური სტატუსი მოიპოვა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქურთებმა და ქურთულმა დაჯგუფებებმა მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეიტანეს ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა მათი ეს წვლილი სათანადოდ ვერ შეფასდა. ქურთულ-ამერიკული ალიანსი, საბოლოოდ, მაინც დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ამერიკელი სამხედროების გაყვანის საკითხს უკავშირდება. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ აშშ-თან მებრძოლი ქურთი მოკავშირეები ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამ ფაქტის გამო ქურთებმა ამერიკელები მოღალატეებად შერაცხეს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქურთული საკითხი და ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნა სერიოზულ წინააღმდეგობებთანაა დაკავშირებული. ობიექტური მოცემულობაა, რომ ქურთების დიდი ეთნიკური ჯგუფი არაა განსახლებული ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი ხელის შემშლელი ფაქტორია დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შესაქმნელად სხვა პრობლემებთან ერთად. ნაშრომში ჩატარებული კვლევის პროცესში არაერთხელ წარმოჩინდა, რომ გეოპოლიტიკა კვლავ გადაულახავ ფაქტორად რჩება ქურთებისთვის. ისიც ცხადია, რომ ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პოლიტიკური რუკის ცვლილებას გამოიწვევს და რეგიონში უკვე არსებულ კონფლიქტურ სიტუაციას კიდევ უფრო გააღრმავებს, რასაც თავად ქურთების გარკვეული ნაწილიც იზიარებს.

# ბიბლიოგრაფია


1. აკობია, ე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
2. ბასილაია, მ. რედ. ეთნოსები საქართველოში. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, 2008.
3. ბაშელეიშვილი, მ. ქურთების გააქტიურება ირანში. თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი, N10. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017.
4. ბოკუჩავა, დ. ქურთების პრობლემა და თურქეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება. განათლება, N1 (20). თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2018.
5. ბოკუჩავა, თ. „თურქეთი, ირანი და ქურთული საკითხი." ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, N9. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.
6. ბჟეზინსკი, ზ. დიდი საჭადრაკო დაფა. (ინგლისურიდან თარგმნა არჩილ ათანელიშვილმა) თბილისი: არტანუჯი, 2014.
7. გაჩეჩილაძე, რ.  ახლო აღმოსავლეთი: გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018.
8. გაჩეჩილაძე, რ. ახლო აღმოსავლეთი: გეოპოლიტიკა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019.
9. გურეშიძე, მ. ერაყი და „შავი ოქროსთვის" მებრძოლი ქურთები. თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი, N8. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.
10. გურეშიძე, მ. „ქურთების ფაქტორი" ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ პოლიტიკაში. თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი, N4. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013.
11. გურეშიძე, მ. ქურთული ფაქტორი - კონფლიქტის დარეგულირების შესაძლებლობა ახლო აღმოსავლეთში. პოლიტო / LOGOS. თბილისი: გამომცემლობა ივერიონი, 2020.
12. დანგაძე, ნ. ეთნიკურ უმცირესობათა საკითხი თურქეთის რესპუბლიკაში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, N1 (43). ქუთაისი: 2014.
13. დანგაძე, ნ. სირიის კრიზისი - ქურთთა ავტონომიის წარმოქმნის საკითხი და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ორიენტირი. ქუთაისის ილია

ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, N6. ქუთაისი: გამომცემლობა „ქუთაისი“, 2014.

14. ესაძე, ს. ქურთთა საკითხი იმპერიალისტური ომის დროს 1914–1917 წლებში კავკასიის ფრონტზე (ს.ს.ს.რ.-ის ცენტრარქივის მასალების მიხედვით). საქართველოს არქივი, წ. 2. თბილისი: ცენტრარქივის გამოცემა, 1927.

15. თურმანიძე, თ., ურუშაძე, ე., დუჩიძე, ლ. რედ. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია: ქრესტომათია. თბილისი: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004.

16. ისკო, ზ. ქურთები ამიერკავკასიაში. თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1963.

17. კაპანაძე, მ. თურქეთისა და ირანის თანამედროვე ურთიერთობები. აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, N2. თბილისი: გამომცემლობა დანი, 2019.

18. კომახია, მ. ქურთების პრობლემა: შესაძლო დესტაბილიზაციის წყარო რეგიონში? საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, N50. თბილისი: 2001.

19. კუპრეიშვილი, თ. "ქურთების ფაქტორი" თურქეთისა და სირიის მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ხელისუფლება და საზოგადოება 4 (36), ტომი II. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2015.

20. ლაბაძე, მ. ერაყის ქართული პრობლემა - შუბი ხალთაში. არსენალი: სამხედრო ანალიტიკური ჟურნალი, N3 (150). თბილისი: 2012.

21. მაკარაძე, ზ. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში (2002-2020 წწ.). დისერტაცია. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022.

22. მაკარაძე, ზ. თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების პოლიტიკური ანალიზი თანამედროვე ეტაპზე. აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, N4. ბათუმი: გამომცემლობა დანი, 2021.

23. მაკარაძე, ე. თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები (სალექციო ჩანაწერები). თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი, 2019.

24. მაკარაძე, ე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980-2011 წლებში. ნაწ. 1. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი, 2016.

25. მაკარაძე, ე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი, 2016.

26. მელიქიშვილი, ლ. სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი: გამომცემლობა მწიგნობარი, 2011.

27. მენთეშაშვილი, ა. აგრარული საკითხი თანამედროვე ერაყში. თბილისი: საქართველოს ეკონომისტი, N10, 1965.

28. მენთეშაშვილი, ა. აგრარული ურთიერთობების საკითხები თანამედროვე ქურთისტანში. თბილისი: მეცნიერება, 1976.

29. მენთეშაშვილი, ა. ადმინისტრაციული წყობა და მმართველობის სისტემა ერაყში ინგლისთა ბატონობის პერიოდში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე 6 (27). თბილისი: მეცნიერება: 1965.

30. მენთეშაშვილი, ა. ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978.

31. მენთეშაშვილი, ა. ალმოდებული ქურთისტანი: ერაყელი ქურთების ეროვნული-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. თბილისი: დროშა, 1963.

32. მენთეშაშვილი, ა. ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ერაყში ინგლისის სამანდატო რეჟიმის მიწურულს. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბილისი: მეცნიერება, 1967.

33. მენთეშაშვილი, ა. არაბულ აღმოსავლეთში ეთნიკური უმცირესობის განსაზღვრის საკითხისთვის. ორიენტალისტური ძიებანი, კრ. N5. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996.

34. მენთეშაშვილი, ა. ერაყელი ქურთების ბრძოლა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. საქართველოს კომუნისტი, N10. თბილისი: 1963.

35. მენთეშაშვილი, ა. ერაყელი ქურთების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან (1919-1925 წწ). თბილისი: მეცნიერება, 1965.

36. მენთეშაშვილი, ა. ერაყის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ზოგიერთი თავისებურება. თსუ შრომები, ტ. 310. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992.

37. მენთეშაშვილი, ა. ერაყში ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი (1919-1925 წწ). დისერტაცია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1963.

38. მენთეშაშვილი, ა. თანამედროვე ერაყის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები. თბილისი: მეცნიერება, 1980.

39. მენთეშაშვილი, ა. იმპერიალიზმი და ქურთთა საკითხი (1917-1923 წწ). აზიისა და აფრიკის ქვეყნების აქტუალური პრობლემები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991.

40. მენთეშაშვილი, ა. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობანი და ქურთთა პრობლემა თანამედროვე ეტაპზე. ორიენტალისტური ძიებანი, კრ. N3-4. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.

41. მენთეშაშვილი, ა. სამრეწველო განვითარება და სოციალური ძვრები ერაყის ქურთისტანში (60-70-იანი წლები). ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. თბილისი: მეცნიერება, 1991.

42. მენთეშაშვილი, ა. ს. ჯ. ედმონდსი, ქურთები, თურქები და არაბები. ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყის პოლიტიკა, მოგზაურობა და გამოკვლევა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 6 (21). თბილისი: მეცნიერება, 1964.

43. მენთეშაშვილი, ა. ქურთები და ქურთისტანი: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1977.

44. მენთეშაშვილი, ა. ქურთები ქურთების წინააღმდეგ. თბილისი: საქართველოს რესპუბლიკა N185 (2298), 13.09.1996.

45. მენთეშაშვილი, ა. ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერაყში (1922-1925 წწ). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2 (8), 1962.

46. მენთეშაშვილი, ა. ქურთთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერაყში 1930-1932 წწ. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები: კრებული. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

47. მენთეშაშვილი, ა. ქურთთა ისტორიის საკითხები თანამედროვე არაბულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. მახლობელი აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორია. თბილისი: მეცნიერება, 1983.

48. მენთეშაშვილი, ა. ქურთთა საკითხი და ქურთული პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობა თანამედროვე ერაყში. აზიისა და აფრიკის ქვეყნების აქტუალური პრობლემები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991.

49. მენთეშაშვილი, ა. ქურთი ხალხის გენოციდი. თბილისი: ახალგაზრდა ივერიელი N45 (11678), 20.04.1991.

50. მენთეშაშვილი, ა. ქურთ-იეზიდთა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხისათვის თანამედროვე ერაყში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 4(37). თბილისი: მეცნიერება, 1967.
51. მჭედლიშვილი, ზ. თურქეთის საგარეო პოლიტიკა (ლექციების კურსი). ნაწ. 2. თბილისი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2022.
52. პაქსაშვილი, მ. ბრძოლა ირანის ქურთისტანის ავტონომიისათვის 80-იანი წლების დასაწყისში. ორიენტალისტური ძიებანი, კრ. N1. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994.
53. პაქსაშვილი, მ. ერაყის ქურთისტანი: მოგვარების პერსპექტივები. თბილისი: ჯორჯიან თაიმსი, N24, 1994.
54. პაქსაშვილი, მ. ქურთ ემიგრანტთა მოღვაწეობა და ბრძოლა ავტონომიისათვის ერაყში. ორიენტალისტური ძიებანი, კრ. N2. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994.
55. პაქსაშვილი, მ. ქურთთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა ირანში 1945-1946 წლებში. ორიენტალისტური ძიებანი, კრ. N1. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994.
56. პაქსაშვილი, მ. ქურთთა ემიგრანტული საზოგადოებები და გამათავისუფლებელი მოძრაობა ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნეში. დისერტაცია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1994.
57. პაქსაშვილი, მ. ქურთთა ემიგრანტული ორგანიზაციები და მათი გამათავისუფლებელი მოძრაობა თურქეთში. ორიენტალისტური ძიებანი, კრ. N2. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994.
58. პაქსაშვილი, მ. ქურთთა პრობლემის ინტერნაციონალიზაციის ზოგიერთი საკითხი. ორიენტალისტური ძიებანი, კრ. N3-4. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.
59. პაქსაშვილი, მ., მენთეშაშვილი, ა. ქურთი პოლიტემიგრანტების (თურქეთი) საქმიანობა დასავლეთ ევროპაში 80-იან წლებში. ორიენტალისტური ძიებანი, კრ. N5. თბილისის: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996.
60. რონდელი, ა. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: ნეკერი, 2006.
61. საავაძე, დ. თანამედროვე ერაყის ქურთისტანის სასოფლო თემის მოდერნიზაციის ზოგიერთი საკითხი. აზიისა და აფრიკის ქვეყნების აქტუალური პრობლემები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1991.

62. სააკაძე, დ. ირანის "ისლამური რევოლუცია" და ქურთების საკითხი. საქართველოს კომუნისტი, N8. თბილისი: 1989.

63. სანიკიძე, გ., ალასანია, გ., გელოვანი, ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

64. სანიკიძე, გ. რეფერენდუმი ერაყის ქურთისტანში - ახალი გამოწვევა ახლო აღმოსავლეთისათვის. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2017.

65. სენარკლენი, პ., არიფენი, ი. საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები. გადათარგმნილია ნანა ცქიტიშვილის მიერ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2014.

66. სვანიძე, მიხეილ. თურქეთის ისტორია 1923-2000 წწ. (რესპუბლიკის პერიოდი). თბილისი, 2005.

67. სვანიძე, მიხეილ. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი, 2007.

68. სიჭინავა, ბ. ქურთები სირიის არაბულ რესპუბლიკაში. პოლიტო / LOGOS. თბილისი: გამომცემლობა ივერიონი, 2021.

69. სიჭინავა, ბ. ქურთები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, N3. თბილისი: გამომცემლობა დანი, 2020.

70. სიჭინავა, ბ. ქურთების საკითხი თანამედროვე გლობალური პოლიტიკის კონტექსტში. მსოფლიოს გლობალური გამოწვევები. თბილისი: საგამომცემლობლო სახლი ტექნიკური უნივერსიტეტი, 2022. https://doi.org/10.36073/978-9941-28-871-5 (ბოლოს ნანახია 30.05.2022)

71. ტაბატაძე, შ. ახლო აღმოსავლეთი ახალ რეალობაში: ქურთთა სახელმწიფოს საკითხი ისტორიულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ჭრილში. NDADSP / შრომები. თბილისი: 2019.

72. ტაბატაძე, შ. ქურთები და საერთაშორისო ორგანიზაციები. NDADSP / შრომები. თბილისი: 2019.

73. ტაბატაძე, შ. ქურთების პოლიტიკურ - სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემები. დისერტაცია. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2020.

74. ტაბატაძე, შ. ქურთების პრობლემა და ისრაელი. არსენალი: სამხედრო ანალიტიკური ჟურნალი, N8 (246). თბილისი: 2018.
75. ტაბატაძე, შ. ქურთთა სახელმწიფოს საკითხი და ქურთების როლი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში. საისტორიო ვერტიკალები, N43. თბილისი: 2019.
76. ტაბატაძე, შ. ქურთისტანის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი პრობლემები. განათლება, N2 (29). თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2020.
77. ტაიარი, მ. ირან-ოსმალეთის კონფლიქტები და სასაზღვრო გამიჯვნის პირველი ცდები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, N3. თბილისი: 1982.
78. ტაიარი, მ. ისლამური ფუნდამენტალიზმი და ქურთთა ეროვნული მოძრაობა ირანში. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993.
79. უთარაშვილი, ლ. ქურთმცოდნეობის განვითარების ეტაპებისა და მიმართულებათა შესახებ. აზიისა და აფრიკის ქვეყნების აქტუალური პრობლემები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991.
80. ფირბარი, დ., კომხია, მ. ქურთები საქართველოში. თბილისი: ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2008.
81. ჭიღვარია, გ. თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. დისერტაცია. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010.
82. ჭიღვარია, გ. ქურთული ეთნოსი - პრობლემა ახლო აღმოსავლეთში. ქართველური მემკვიდრეობა, N16. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012.
83. ხვიჩია, ე. ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო. თბილისი: 2012. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/171161/1/Disertacia.pdf (ბოლოს ნანახია 13.01.2022)
84. ხვიჩია, ე. ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. თბილისი: ახალი პარადიგმა, 2020. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/327937/1/Noologia.pdf (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

85. ხვიჩია, ე. ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია. თბილისი: ნეკერი, 2004.
86. ჯაყელი, ი. ქურთულ-სომხურ ურთიერთობათა შესახებ თურქეთში. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები ტ. I (ეთნოკონფესიონალური ურთიერთობები). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993.
87. Bajalan, D., Karimi, S., Z. "The Kurds and their History: New Perspectives." Iranian Studies, 2014.
88. Barten, U. Minorities, Minority Rights and Internal Self-Determination. Springer International Publishing, 2015.
89. Bielicki, P. "Policy of the Russian Federation towards Kurds in the Syrian Conflict." Securitologia, 2017.
90. Borshchevskaya, A. The Kurdish Role in Russia's Middle East Power Play. Washington: The Washington Institute for Near East Policy, July 29, 2020. www.washingtoninstitute.org (ბოლოს ნანახია 14.01.2022)
91. Bozarslan, H., Gunes, C., Yadirgi, V. ed. The Cambridge History of the Kurds. Cambridge: Cambridge University Press. 2021.
92. Bruinessen, M. V. Agha, Shaikh and State: The Social and Political Structures of Kurdistan. London; New Jersey: Zed Books, 1992.
93. Burchill, S., Linklater, A., Devetak, R., Donnelly, J., Paterson, M., Reus-Smit C., True J. Theories of International Relations. Third. Hampshire and New York: Palgrave Macmillan, 2005.
94. Çalışkan, S. Growing Chinese Influence in the Kurdistan Regional Government in Iraq. Ankara, February 9, 2021. https://www.orsam.org.tr/en/growing-chinese-influence-in-the-kurdistan-regional-government-in-iraq/ (ბოლოს ნანახია 12.01.2022)
95. Çarıkçı, M. J. Kurdistan: Achievable reality, or political mirage? Afro-Middle East Centre, 2013.
96. Çifçi, D. The Kurds and the Politics of Turkey. London: I.B. TAURIS, 2019.
97. Castellino, J. "Territorial Integrity and the "Right" to Self Determination: An Examination of the Conceptual Tools." Brooklyn Journal of International Law, 2008. https://brooklynworks.brooklaw.edu/bjil/vol33/iss2/15 (ბოლოს ნანახია 28.05.2022)
98. Chaziza, M. "China's Middle East Policy: The ISIS Factor." Middle East Policy, 2016. https://besacenter.org/china-independent-kurdistan/ (ბოლოს ნანახია 10.01.2022)

99. Chaziza, M. China and the Independent Kurdish State. Tel Aviv: Begin-Sadat Center for Strategic Studies, September 18, 2017. https://besacenter.org/wp-content/uploads/2017/09/590-China-and-the-Independent-Kurdish-State-Chaziza-final.pdf (ბოლოს ნანახია 09.01.2022)

100. Chaziza, M. China's Middle East Diplomacy: The Belt and Road Strategic Partnership. Brighton: Sussex Academic Press, 2019.

101. Chiu, Y. "Kurdistan: The Taiwan of the Middle East?" Society (Springer), 2018.

102. Chomsky, N. interview by Namo Abdulla. Chomsky on The Kurds. August 11, 2008. https://chomsky.info/20080811/ (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

103. Chomsky, N. interview by Namo Abdulla. Chomsky On The Prospect of Kurdish Independence. February 15, 2011. https://chomsky.info/20110215/ (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

104. Cleveland, W. L., Bunton, M. A History of the Modern Middle East. Philadelphia: Westview Press, 2016.

105. Delanoë, I. "The Kurds: A Channel of Russian Influence in the Middle East?" IFRI Policy Papers: Franco-Turkish Paper. June 19, 2015.

106. Dockx, P-J. Water Scarcity in Iraq: From Inter-Tribal Conflict to international Disputes. Institute of Peace and Conflict Studies, 2019.

107. Donnelly, J. Realism and International Relations. Cambridge: Cambridge University Press, 2000.

108. Foreign Policy Concept of the Russian Federation. Moscow: The Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation, November 30, 2016. https://www.mid.ru/en/foreign_policy/fundamental_documents/1538901/ (ბოლოს ნანახია 15.01.2022)

109. Galtung, J. interview by Yonca Poyraz Doğan. Professor Galtung: Erdoğan Should Focus on Foreign Policy Istanbul: Today's Zaman, August 18, 2014. https://www.transcend.org/tms/2014/08/professor-galtung-erdogan-should-focus-on-foreign-policy/ (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

110. Goble, P. Armenians Look to Renewed Alliance with Kurds in Turkey, Expanded Role in Georgia. Eurasia Daily Monitor, Vol: 16 Issue: 66. Washington, DC: The Jamestown Foundation, 2019. https://jamestown.org/program/armenians-look-to-renewed-alliance-with-kurds-in-turkey-expanded-role-in-georgia/ (ბოლოს ნანახია 08.02.2023)

111. Goldstein, J. S., Pevehouse J. C. International Relations. Tenth. United States of America: PEARSON, 2014.

112. Grojean, O. "The Kurdish Question in the Middle East: Regional Dynamics and Return to National Control." Strategic Sectors | Security & Politics, 2018.

113. Gunes, C. The Kurds in a New Middle East: The Changing Geopolitics of a Regional Conflict. Springer International Publishing; Palgrave Macmillan, 2019.

114. Gunter, M. M. "The Five Stages of American Foreign Policy towards the Kurds."Insight Turkey XIII (2), 2011. https://www.insightturkey.com/file/671/the-five-stages-of-american-foreign-policy-towards-the-kurds-spring-2011-vol13-no2 (ბოლოს ნანახია 25.05.2022)

115. Gunter, M. M. "Turgut Özal and the Kurdish question: Political Islam, Kemalism and the Kurdish Issue." Edited by Joost Jongerden and Marlies Casier. Routledge, 2010.

116. Gürbey, G., Hofmann, S., Seyder, F. I. Between State and Non-State: Politics and Society in Kurdistan-Iraq and Palestine. New York: Palgrave Macmillan, 2017.

117. Heper, M. The State and Kurds in Turkey: The Question of Assimilation. Palgrave Palgrave, 2007.

118. Hinnebusch, R. The International Politics of the Middle East. Manchester: Manchester University Press, 2003.

119. Houlden, G., Zaamout, N. M. A New Great Power Engages with the Middle East: China’s Middle East Balancing Approach. China Institute, University of Alberta, 2019.

120. Ihsan, M. Nation building in Kurdistan: Memory, Genocide and Human Rights. New York: Routledge, 2017.

121. Ikenberry, J. G. "Between the Eagle and the Dragon: America, China, and Middle State Strategies in East Asia." Political Science Quarterly, 2016.

122. Ikenberry, G. J., Nexon, D. H. "The Dynamics of Hegemonic Orders." Security Studies, 2019.

123. International Court of Justice. Accordance with international law of the unilateral declaration of independence in respect of Kosovo. The Hague, July 22, 2010. https://www.icj-cij.org/en/case/141 (ბოლოს ნანახია 21.05.2022)

124. International Meeting of Experts on Further Study of the Concept of the Rights of Peoples. Paris, 1989. (https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000085152 (ბოლოს ნანახია 21.05.2022)

125. Iranian Kurds: Consequences of political activities in Iran and KRI. Copenhagen: Danish Immigration Service, 2020.

126. İhlas Haber Ajansı. „New Activities of the PKK and the Armenian Diaspora.“ Erzurum, 15 August, 2012. https://www.iha.com.tr/erzurum-haberleri/pkk-ve-ermeni-diasporasinin-yeni-faaliyetleri-203221/ (ბოლოს ნანახია 08.02.2023)

127. Jaff, N. PUK and KDP: A New Era of Conflict. Washington Institute, Dec 21, 2022. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/puk-and-kdp-new-era-conflict (ბოლოს ნანახია 03.05.2022)

128. Karasik, T., Blank, S. ed. Russia in the Middle East. Washington: The Jamestown Foundation, 2018. https://jamestown.org/wp-content/uploads/2018/12/Russia-in-the-Middle-East-online.pdf?x87069 (ბოლოს ნანახია 10.01.2022)

129. Kaválek, T., Sommer, F. "Russia's Imprint in Iraqi Kurdistan: Rosneft's Ascendancy." Middle East Policy, 2019.

130. Koohi-Kamali, F. The Political Development of the Kurds in Iran: Pastoral Nationalism. New York: Palgrave Macmillan, 2003.

131. Kounain, F., Minhas, A. S., Qumber, G. "Independent Kurdish State in Middle East: An Upcoming Epicenter of Middle East Power Politics." Global Social Sciences Review (GSSR), 2017.

132. Kozhanov, N. Russian Policy Across the Middle East: Motivations and Methods. London: Chatham House, The Royal Institute of International Affairs. February, 2018. https://www.chathamhouse.org (ბოლოს ნანახია 15.01.2022)

133. Kreyenbroek, P. G., Sperl, S. ed. The Kurds: A Contemporary Overview. London and New York: Taylor & Francis, 2005.

134. Leezenberg, M. The ambiguities of democratic autonomy: the Kurdish movement in Turkey and Rojava. Southeast European and Black Sea Studies, 16 (4), 2016.

135. Legrenzi, M., Lawson, F. H. "China's Gulf Policy: Existing Theories, New Perspectives." Middle East Policy, 2015.

136. Lindenstrauss, G., Eran, O. "The Kurdish Awakening and the Implications for Israel." Strategic Assessment, April, 2014.

137. Mahmod, H. The Kurdish factor in China-Iraq relations. Center for Studies on South Asia and the Middle East, August 31, 2020. https://cssame.nchu.edu.tw/2020/08/31/the-kurdish-factor-in-china-iraq-relations/ (ბოლოს ნანახია 16.01.2022)

138. Malik, O. What Is China's Endgame in Northern Iraq? Istanbul, March 16, 2021. https://politicstoday.org/china-northern-iraq-krg-economic-investments/ (ბოლოს ნანახია 16.01.2022)

139. McDowall, D. A Modern History of The Kurds. London: I.B.Tauris & Co Ltd, 2007.

140. McGlinchey, S. ed. International Relations. Bristol: E-International Relations Publishing, 2017.

141. Monshipouri, Mahmood. Middle east Politics: Changing Dynamics. New York: Routledge, 2019.

142. Moses, A. D., Duranti, M., Burke, R. eds. Decolonization, Self-Determination, and the Rise of Global Human Rights Politics. Cambridge: Cambridge University Press, 2020.

143. Murswiek, Dietrich. "The Issue of a Right of Secession - Reconsidered." In Modern Law of Self-Determination, edited by Christian Tomuschat, Martinus Nijhoff Publishers, 1993.

144. Nader, A., Hanauer, L., Allen, B., Scotten, A. G. Regional Implications of an Independent Kurdistan. Santa Monica: RAND Corporation, 2016.

145. Nathan, A. J., Scobell, A. China's Search for Security. New York: Columbia University Press. 2012.

146. Oeter, S. "The Kosovo Case - An Unfortunate Precedent." Heidelberg Journal of International Law, 2015. https://www.zaoerv.de/75_2015/75_2015_1_a_51_74.pdf (ბოლოს ნანახია 22.05.2022)

147. Organization for Security and Co-operation in Europe. "The Helsinki Final Act." Helsinki, August 1, 1975. https://www.osce.org/files/f/documents/5/c/39501.pdf (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

148. Parvizi, A. M. The Greater Middle East in Global Politics: Social Science Perspectives on the Changing Geography of the World Politics. Leiden: Brill, 2007.

149. Pelletiere, S. C. Oil and the Kurdish Question: How Democracies Go to War in the Era of Late Capitalism. Maryland: LEX, 2016.

150. Prott, V. The Politics of Self-Determination: Remaking Territories and National Identities in Europe, 1917−1923. Oxford: Oxford University Press. 2016.

151. Rafaat, A. "An Independent Kurdish State: Achievable or Merely a Kurdish Dream?" The Journal of Social, Political and Economic Studies, 2007.

152. Rafaat, A. Kurdistan in Iraq: The evolution of a quasi-state. London: Routladge, 2018.

153. Raic, D. Statehood and the Law of Self-Determination. Vol. XLIII. The Hague: Kluwer Law International, 2002.

154. Ramani, S. China in the Middle East: The Iraqi Kurdish Question. Washington, October 5, 2017. https://thediplomat.com/2017/10/china-in-the-middle-east-the-iraqi-kurdish-question/ (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

155. Romano, D., Gurses, M. Conflict, Democratization, and the Kurds in the Middle East: Turkey, Iran, Iraq, and Syria. Palgrave Macmillan, 2014.

156. Rubin, B. ed. The Middle East: A Guide to Politics, Economics, Society, and Culture. New York: Routledge, 2015.

157. Sarı, İ. "The United States Foreign Policy Towards Kurds." Middle Eastern Studies (Ortadoğu Araştırmaları Derneği) XI (2), 2019. https://www.orsam.org.tr//d_hbanaliz/5_ismailSarY_11-2__1.pdf (ბოლოს ნანახია 14.01.2022)

158. Schmidinger, T. (Translated by Michael Schiffmann). Rojava: Revolution, War, and the Future of Syria’s Kurds. Pluto Press, London, 2018.

159. Shareef, M. "China’s Dual Diplomacy: Arab Iraq and the Kurdistan Region." In Toward Well-Oiled Relations?, edited by Niv Horesh, Palgrave Macmillan, 2016.

160. Sherwani, K. A., Barlik, M. M. "The Present Status of Kurdish Language in Turkey; A Sociolinguistic Study of Van Community." Journal of Xi’an University of Architecture & Technology 14, N3. 2020.

161. Sitchinava, B. "Water Security in the Middle East on the Example of Iraqi Kurdistan." Ante Portas - Security Studies (University of Business and Entrepreneurship) XVI (I), 2021.

162. Taha, P. H., Abdurrahman, S. M. H. "Traumatic Events and Posttraumatic Stress Among Iraqi Kurdish “Anfal” Survivors." Duhok Medical Journal, 2020.

163. Taucher, W., Vogl, M., Webinger, P. The Kurds. Vienna: Austrian Federal Ministry of the Interior, 2015.

164. Tezcür, G. M., Asadzade, P. Ethnic nationalism versus religious loyalty: The case of Kurds in Iran. Nations and Nationalism, 2018.

165. The Kurdish population. The Kurdish Institute. https://www.institutkurde.org (ბოლოს ნანახია - 01.06.2021)

166. The United Nations General Assembly. "Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples." New York, December 14, 1960. https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/152/88/PDF/NR015288.pdf?OpenElement (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

167. The United Nations General Assembly. "Permanent Sovereignty over Natural Resources." New York, December 14, 1962. https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/ProfessionalInterest/resources.pdf (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

168. The United Nations General Assembly. "The Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States." Geneva, October 24, 1970. https://www.un.org/ruleoflaw/files/3dda1f104.pdf (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

169. The United Nations. "Charter of the United Nations and Statute of the International Court of Justice." San Francisco, California, October 24, 1945. https://treaties.un.org/doc/publication/ctc/uncharter.pdf (ბოლოს ნანახია 20.05.2022)

170. Toivanen, M., Baser, B. "Remembering the Past in Diasporic Spaces: Kurdish Reflections on Genocide Memorialization for Anfal." Genocide Studies International, November 12, 2019.

171. Tomuschat, C. "Self-determination in a Post-Colonial World." In Modern Law of Self-Determination, edited by Christian Tomuschat, 1-20. Martinus Nijhoff Publishers, 1993.
172. Torelli, S. M. Kurdistan an Invisible Nation. Milan: ISPI (The Italian Institute for International Politica lStudies), 2016.
173. Tugdar, E. E., Al, S. Comparative Kurdish Politics in the Middle East. Springer Nature, 2018.
174. Weissmann, M. "Chinese Foreign Policy in a Global Perspective: A Responsible Reformer "Striving For Achievement"." Journal of China and International Realtions- JCIR (Aalborg University Press) III, 2015. https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:817328/FULLTEXT01.pdf (ბოლოს ნანახია 15.01.2022)
175. Wimmer, A. "Democracy and ethno-religious conflict in Iraq." Working Paper, Discussion Papers on Development Policy, Center for Development Research (ZEF), Bonn, 2003.
176. Xinhua. Iraq's 1st Chinese language department to open in northern university. August 27, 2019. http://www.xinhuanet.com/english/2019-08/27/c_138343090.htm (ბოლოს ნანახია 15.12.2021)
177. Yildiz, K. The Kurds in Iraq: The Past, Present and Future. London, Ann Arbor: Pluto Press, 2004.
178. Yildiz, K. The Kurds in Syria: The Forgotten People. London: Pluto Press. 2005.
179. Yildiz, K. The Kurds in Turkey: EU Accession and Human Rights. London: Pluto Press, 2005.
180. Ziadeh, R. The Kurds in Syria: Fueling Separatist Movements in the Region? Washington: United States Institute of Peace, 2009.
181. Ментешашвили, А. Ирак в годы английского мандата: Постановка и историография проблемы. Тбилиси: Наука, 1970.
182. Ментешашвили, А. Курдистан в борьбе. Молодежь Грузии. Тбилиси: 27.10. 1964.
183. Ментешашвили, А. Курды: Очерки общественно-экономических отношений, культуры и быта. Москва: Наука, 1984.
184. Ментешашвили, А. Правое дело курдов: О положении в Иракском Курдистане. Вечерний Тбилиси, № 89 (125). Тбилиси: 08.02.1966.
185. Саакадзе, Д. Ирано-Иракские отношения и курды в 60-х-первой половине 80-х годов XIX века. Автореферат. Тбилиси: Тбил. гос. ун-т. 1988.
186. Таяри, М. Ирано-турецкие военные конфликты и курды в первой четверти XIX в. Автореферат. Тбилиси: Тбил. гос. ун-т. 1986.